პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—31.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—30 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

## დღიური

- ბერლინის მუნიციპალურ არჩევნებში კომუნისტებმა მენშევიკებზე მეტი ხმა მიიღეს.
- კანტონში მუშათა დემონსტრაციას 7 ნოემბერს ტყვიამფრქვევები დაუშინეს.
- იტალიელ ფაშისტების კავშირი გერმანელ ნაციონალისტებთან.
- ეკონომიური კრიზისი მანჯურიაში მწვავე ხასიათს იღებს.
- საფრანგეთმა მიიღო მიწვევა საზღვაო კონფერენციაზე.
- ფინ-იუი-სიანის ჯარების ახალი გამარჯვება.
- მზადდება უნგრეთის მემამულეთა საყოველთაო გაფიცვა.

სამშაბათი, 19 ნოემბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 266 (2612)

# შედეგები და პერსპექტივები

— საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახლად დამთავრებულმა პლენუმმა ჯამი გაუკეთა გასული სამეურნეო წლის უდიდეს პოლიტიკურ შედეგებს და დასახა ფართო პერსპექტივები სოციალისტური მშენებლობის იმ ახალი სტადიისა, რომელშიაც პარტია შედის.

პლენუმმა მოიწონა საკონტროლო ციფრები მიმდინარე წლისათვის. ამ საკონტროლო ციფრებს ყველაზე უფრო ახასიათებს სოციალისტური მეურნეობის განვითარების უდიდესი ტემპი, რომელიც არა თუ არ ჩამორჩება ხუთწლიანი გეგმის ვარაუდებს, არამედ თვალსაჩინოდაც სჭარბობს მათ. ლენინური ლოზუნგს— დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს — ჩვენ პრაქტიკულად ვანხორციელებთ და მიმდინარე სამეურნეო წლის დამლევისათვის ჩვენ უნდა გვექნეს მრეწველობის ომის წინადროინდელი პროდუქციის დაახლოებით ორმაგი რაოდენობა. საკონტროლო ციფრებში განსაკუთრებით მკაფიოდ ხაზგასმულია **მძიმე მრეწველობის ხელმძღვანელი როლი.** მის მთავარ დარგებში (ელექტრომშენებლობა, სათბობი მასალა, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და სხვ.) საკონტროლო ციფრები თვალსაჩინოდ სცილდებიან ხუთწლიანი გეგმის ფარგლებს. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ქიმიური მრეწველობა, რომელიც რამდენიმედ ჩამორჩება ხუთწლიან გეგმის ვარაუდს. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენად ბუმბერაზული მნიშვნელობა აქვს მრეწველობის ამ დარგს, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში. პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სოციალიზმის მშენებლობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს და უმოკლეს ვადაში მიაღწიოს იქ გადამჭრელ გარდატეხას.

პარტიის დიდი მიღწევები სოციალისტური მრეწველობის განვითარების საქმეში აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, მუშათა მასების აქტივობის მძლავრი ამოძრავებით, რამაც განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება ჰპოვა სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში. სწორედ **მუშათა კლასისა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების აქტივობის ზრდა და მათი უფრო და უფრო დარაზმვა პარტიის ირგვლივ და მისი გენერალური ხაზის საფუძველზე, წარმოადგენს მტკიცე დასაყრდენს განვითარების იმ სარეკორდო ტემპებისათვის, რომლებიც დასახულია საკონტროლო ციფრებში.** აუცილებელ პირობას ამ ტემპების შესრულებისათვის მიმდინარე წელს წარმოადგენს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება 11 პროცენტით. ეს საშუალებას მისცემს პარტიას არა თუ უზრუნველჰყოს კაპიტალური მნიშვნელობის, მრეწველობის რეკონსტრუქციისა და მისი პროდუქციის ზრდის დასახული გეგმა, არამედ თვალსაჩინოდ გაადიდოს მუშათა რეალური სამუშაო ხელფასიც (საშუალოდ 12 პროცენტით). **ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ერთი წუთიც არ უნდა დაჰკარგონ და უნდა გაშალონ უაღრესად ენერგიული მუშაობა თვითღირებულების შემცირებისათვის.**

სწორედ იმ გადამწყვეტმა შედეგებმა, რომლებსაც მიაღწია პარტიამ მძიმე ინდუსტრიის (კერძოდ, მანქანათმშენებლობის) განვითარების საქმეში და რომლებმაც გააძლიერეს მრეწველობის ხელმძღვანელი როლი სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში, პარტიის საერთოდ სწორ პოლიტიკასთან ერთად სოფლად, შექმნეს ხელსაყრელი პირობები პურის პრობლემის გადაჭრისათვის, იმ პრობლემის, რომელიც დიდ სიძნელეებს გვიქმნიდა ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულება მრავალ უდიდეს რაიონში და პურის დიდ მარაგის შექმნა სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოციალისტურად გარდაქმნის პროცესის ფართოდ გაშლის საფუძველზე, ყოველივე ეს, მიუხედავად იმისა, რომ მემარჯვენე უკლონისტები ყვავებივით დაგვჩხაოდნენ, უცილობლად მოწმობს, რომ **ჩვენ თავს ვაღწევთ პურის კრიზისს.**

**პარტიის წინაშე ამჟამად მთელი სიგრძე - სიგანით ისმება მესაქონლეობის პრობლემა.** ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრასთან დაკავშირებულია არა მარტო მშრომელთა მასების **სასურსათო მომარაგების** საკითხების რადიკალურად გადაწყვეტა, არამედ მტკიცე **სანედლეულო ბაზის** შექმნაც მრეწველობის სხვადასხვა დარგისათვის.

**პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღებით და გულდასმით განიხილა გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხები.** ის ჭეშმარიტად ბუმბერაზული შედეგები, რომლებსაც მიაღწია პარტიამ ამ საქმეში და რომლებმაც **ყველაზე ოპტიმისტურ ანგარიშებსა და ვარაუდებს გადააჭარბეს,** საშუალებას გვაძლევენ ეხლავე სავსებით რეალურად დავსვათ საკითხი იმის შესახებ, რომ სულ რაღაც წელიწად-ნახევარში, ან ორ წელიწადში მოხდეს საბჭოთა კავშირის უდიდესი, რამდენიმე ათეული მილიონით დასახლებული რაიონების (ჩრდილოეთ კავკასია, უკრაინა, ვოლგის ქვემო მხარე და სხვ.) საერთო კოლექტივიზაცია. მემარჯვენენი ამ ბოლო დრომდე ამტკიცებდნენ, რომ გლეხები კოლმეურნეობებში არ შევიდოდნენ; მათ პანიკიორობას და მახანჩალობას მართლაც ლახვარი ჩაეცა. მაგრამ გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის ბუმბერაზული ზრდა პარტიისათვის განსაკუთრებით რთულად და ძნელად ხდის კოლმეურნეობათა მშენებლობის მიმართ ხელმძღვანელობის ამოცანებს. სწორედ ეხლა მთელი სიმწვავით ისმება საკითხი კოლმეურნეობებში გაერთიანებულ გლეხურ მეურნეობათა სოციალისტურად გარდაქმნის შესახებ, რასთანაც განუყრელად დაკავშირებულია იმ წვრილმესაკუთრეობრივი განწყობილების საფუძვლიანად დაძლევა, რომელიც გლეხს თან მოაქვს კოლმეურნეობებში. მანქანების (განსაკუთრებით ტრაქტორების) მიწოდებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხები ხდებიან კოლმეურნეობათა მშენებლობის **გადამწყვეტ საკითხად.** პარტიამ სავსებით ნათლად უნდა შეიგნოს ისიც, რომ კულაკი, რომელიც დამარცხდა იმის ცდაში, რომ ღარიბი და საშუალო გლეხები შეეკავებინა მასიურად შესვლისაგან კოლმეურნეობებში, სცდილობს და მომავალშიაც შეეცდება გადაიტანოს თავისი გამძვინვარებული, ანტი-საბჭოთა მუშაობა კოლმეურნეობების შიგნით და შეჰქმნას იქ თავისი დასაყრდენი პუნქტები პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ. **ლაპარაკიც არ შეიძლება კულაკის მიღებაზე კოლმეურნეობაში. მეტიც, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთ გადაუდებელ ამოცანად უნდა დაისახონ კოლმეურნეობათა გაწმენდა კულაკურ ელემენტებისაგან.** კოლექტივიზაციის მასიური პროცესი, რომელიც მოედო სოფელს, პარტიამ უნდა გამოიყენოს კულაკის **საბოლოო და სრული პოლიტიკური იზოლაციისათვის.**

სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საერთო ამოცანების თვალსაზრისით პლენუმმა დღის წესრიგის განსაკუთრებული პუნქტის სახით განიხილა საკითხი უკრაინის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ ამ დარგში. საჭირო არ არის გავაგრძელოთ სიტყვა იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უკრაინას, როგორც იმ ბრძოლის ერთ-ერთ გადამწყვეტ ადგილს, რომელსაც აწარმოებს პარტია სოფლის მეურნეობის ფრონტზე. უკრაინის ველი წარმოადგენს იმ მძლავრ ბაზას სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის განვითარებისათვის, რომელსაც უახლოეს წლებშივე შეუძლია გაიტანოს მსოფლიო ბაზარზე რამდენიმე ასეული მილიონი ფუთი ხორბალი. უკრაინის მარჯვენა მხარე თავისი მუშა ხელის ვეებერთელა რეზერვუარებით წარმოადგენს ბაზას ინტენსიურ სოფლის მეურნეობისათვის. მაგრამ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანების განხორციელების დროს პარტიას უკრაინაში უხდება კულაკის განსაკუთრებით გაფთრებული წინააღმდეგობის დაძლევა. კულაკი აქ ეკონომიურად საკმაოდ ძლიერია და მას პოლიტიკური გამოცდილებაც აქვს, ამავე დროს კულაკთან ბრძოლის სიძნელეს ეროვნული საკითხიც ართულებს.

პლენუმმა მოიწონა უკრაინის პარტორგანიზაციის მუშაობა სოფლად, რომელსაც საკმაოდ ახასიათებს ის ფაქტი, რომ უკრაინაში პურის დამზადება წარმატებით დამთავრდა ვადამდე.

უდიდესი მნიშვნელობა პარტიის შემდგომი მუშაობის საქმეში სოფლის მეურნეობის ფრონტზე აქვს პლენუმის დადგენილებას **საკავშირო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დაარსების შესახებ.** საკავშირო მიწსახკომის შექმნას იმ ძირითად ამოცანასთან ერთად, რომ მან ხელმძღვანელობა გაუწიოს სწრაფი ზრდის გზაზე შემდგარ მსხვილ სოციალისტურ მიწათმოქმედებას—გვკარნახებს ის ამოცანაც, რომ დაჩქარდეს სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესი ჩამორჩენილ ნაციონალურ რესპუბლიკებში საბჭოთა კავშირის მოწინავე პროლეტარული რაიონების დახმარებით.

პლენუმმა განიხილა **სამეურნეო მუშაკთა კადრების საკითხი,** რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახლა, როდესაც, ერთის მხრით, სოციალიზმის მშენებლობის ტემპი სპეციალისტების უდიდეს საჭიროებას ჰქმნის და როდესაც, მეორეს მხრით, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ ძველი სპეციალისტების ერთი ნაწილი სოციალისტური მშენებლობის აქტიური მტრების ბანაკში გადაიყვანა და ამიტომ საჭირო შეიქნა მათი შეცვლა ახალი კადრებით. ჩვენ დღემდე მეტის-მეტად ნელა მიგვყავდა კადრების საკითხის გადაწყვეტის საქმე. **უსწრაფესი პრაქტიკული გატარება იმ ზომებისა, რომლებიც პლენუმმა გაითვალისწინა კადრების მომზადების საქმეში, ამჟამად პარტიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ხდება.** განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა ინჟინრების მომზადებას მეტალურგიისა და ქიმიისათვის, აგრონომების მომზადებას სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორისათვის და საშუალო ტექნიკური პერსონალის მომზადებას.

მე-16 კონფერენციის დღიდან ნოემბრის პლენუმამდე განვლილმა პერიოდმა განსაკუთრებული მკაფიობითა და სიცხადით დაადასტურა პარტიის გენერალური ხაზის სისწორე. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ამ პერიოდში მოხდა **სრული გახრწნა ტროცკიზმისა,** რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მედგრად ებრძოდა ჩვენი პარტიის პოლიტიკას. ამავე პერიოდმა პარტიისა და უაღრესად ფართო მასების წინაშე **გამოააშკარავა ანტი-ლენინური, ანტი - ბოლშევიკური და არსებითად ბურჟუაზიულ - ლიბერალური შინაარსი მემარჯვენე გადახრისა, რომელსაც ბუხარინი მეთაურობს;** ეს გადახრა ც.-ის აპრილის პლენუმის შემდეგ ჩამოყალიბდა იმ შეხედულებათა განსაზღვრულ სისტემად, რომლებიც **ძირიან-ფესვიანად** განსხვავდებიან პარტიის გენერალური ხაზისაგან. დამთავრებულმა პლენუმმა სწორედ ამიტომ აღიარა, რომ მემარჯვენე ოპორტუნიზმის შეხედულებათა და მასთან შემარიგებლობის პროპაგანდა **შეუთავსებელია** საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრობასთან.

ბუხარინის ოპოზიციის ანტი-ბოლშევიკური და ანტი - ლენინური ხასიათი და მისი ხაზის საბოლოო გაკოტრება ფაქტების პირუთვნელი შემოწმების დროს აშკარა გახდა თვით ბუხარინის ჯგუფის საუკეთესო ნაწილისათვისაც. პლენუმის დღის წესრიგის პირველი მუხლის განხილვის დროსვე მოსკოვის კომიტეტის ყოფილმა მეორე მდივანმა ამხ. კოტოვმა განაცხადა, რომ იგი ოპოზიციას შორდება. იმავე დროს ამხ. მიხაილოვმა განაცხადა, რომ იგი უყოყმანოდ აღიარებს პარტიის გენერალურ ხაზს. პლენუმის დახურვის წინ ბუხარინის ოპოზიციას გადაჭრით გაემიჯნენ ამხ. უგლანოვი და კულიკოვი. ამგვარად, **ოპოზიციას ჩამოშორდა მოსკოვის ძველი ხელმძღვანელობის მთელი ძირითადი კადრი.**

მაგრამ მემარჯვენე უკლონისტების ბელადები კვლავ ებღაუჭებიან თავიანთ შეხედულებებს, რომლებიც პარტიამ დაჰგმო. მემარჯვენე უკლონისტების ბელადები ბუხარინის მეთაურობით თვალთმაქცურად აცხადებენ, რომ პარტიის გენერალურ ხაზს ეთანხმებიან, რომ სპობენ უთანხმოებას პარტიასთან, შეძრწუნებულნი აღიარებენ ბურჟუაზიული კორესპონდენტებისა და ლიბერალური ეკონომისტების მსგავსად პარტიის წარმატებებს და ამავე დროს კადნიერდებიან და დემაგოგიურად სდებენ ბრალს პარტიას, რომ მან არ შეასრულა ნათესის გაფართოების გეგმები და სხვ., კვლავ სწორად მიაჩნიათ გაზაფხულზე შეთხზული რეცეპტები (პურის იმპორტი, სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა ფასის გადიდება) და, საგანგებო ზომების გაუქმების მომიზეზებით, ფაქტიურად მოითხოვენ პარტიისაგან, რომ მან შეტევა შესწყვიტოს კულაკის წინააღმდეგ. მემარჯვენე უკლონისტების ბელადებს არამც თუ უკან არ მიაქვთ თავიანთი წინანდელი ბრალდებანი პარტიის წინააღმდეგ, (სამხედრო - ფეოდალური ექსპლოატაცია, ტროცკიზმისაკენ დაქანება, ბიუროკრატიზმის დანერგვა და სხვ.), არამედ უმატებენ ახალ ბრალდებებსაც, რომლებიც თავის სიცრუითა და ცილისწამებით ყოველგვარ საზღვარს სცილდებიან. ისინი, მაგალითად, აცხადებენ, რომ პარტია და კომინტერნი იზიარებენ სოციალიზმთან კულაკის შეზრდის თეორიას.

მემარჯვენე უკლონისტების ორჭოფი ტაქტიკა შეუძლებელია პარტიამ სხვანაირად მიიჩნიოს, თუ არ ისეთ მანევრად, რომელსაც ტროცკისტები არა ერთხელ მიმართავდნენ; ეს მანევრია: დროებით უკან დახევა იმ მიზნით, რომ პარტიას თავს დაესხნენ პირველივე სიძნელეების დროს. ასე შეაფასა ეს ტაქტიკა ც. კ.-ის პლენუმმა. ც. კ.-ის პლენუმმა აღიარა, რომ მემარჯვენე ოპორტუნიზმისა და მასთან შემარიგებლობის პროპაგანდა შეუთავსებელია საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრობასთან და დაადგინა— გამოყვანილ იქნას პოლიტბიუროდან მემარჯვენე უკლონისტების მთავარი ლიდერი და სულის ჩამდგმელი ბუხარინი. მემარჯვენეების ყოველგვარ ცდას, რომ ბრძოლა განაგრძონ პარტიის ხაზის წინააღმდეგ, **აუცილებლად მოჰყვება შემდგომი ორგანიზაციული ზომები.**

პლენუმმა საჭიროდ სცნო, რომ განგრძობილ იქნას **ულმობელი ბრძოლა** მემარჯვენე ოპოზიციასთან და ამავე დროს საბოლოოდ დაძლეულ იქნას „მემარცხენე“ სოლისკვეთება, რომელიც თავს იჩენს პარტიის ზოგიერთ ნაწილებში; მან საჭიროდ სცნო, აგრეთვე, რომ საბოლოოდ დაძლეულ იქნას მათდამი შემარიგებელი დამოკიდებულება.

**ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ნათელ პასუხს იძლევიან მიმდინარე პოლიტიკის ძირითად საკითხებზე, ეს გადაწყვეტილებანი დიდ როლს შეასრულებენ პარტიის შემდგომს შემჭიდროებაში მისი გენერალური ლენინური ხაზის საფუძველზე და იმ უდიდესი ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც პარტიის წინაშეა დასახული სოციალისტური შეტევის ახლანდელ ეტაპზე.**

პრავდა, 18 ნოემბერი.

# ამხ. სოკოლნიკოვი--საბჭ. კავშირის ელჩი ინგლისში

## ინგლისის პრესა კმაყოფილებით შეხვდა ამხ. სოკოლნიკოვის დანიშვნას

## გერმანიის კომპარტიის გამარჯვება ბერლინის მუნიციპალურ არჩევნებში

### ამხ. გ. სოკოლნიკოვი--საბჭოთა ელჩი ინგლისში

**მოსკოვი,** 17 ნოემბერი. ინგლისის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომ ინგლისის ელჩად საბჭოთა კავშირში დაინიშნა ესმონდ ოვეი.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ აცნობა ინგლისის მთავრობას, რომ საბჭოთა კავშირის ელჩად ლონდონში დაინიშნა გ. ი. სოკოლნიკოვი. (ადს).

### ინგლისის პრესა კმაყოფილია გ. სოკოლნიკოვის დანიშვნით

**მოსკოვი,** 18 ნოემბერი. „იზვესტია“-ს ლონდონელი კორესპონდენტი ჯენკინსი იუწყება, რომ ლონდონის პრესა კმაყოფილებით შეხვდა გ. სოკოლნიკოვის დანიშვნას საბჭოთა კავშირის ელჩად ინგლისში. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამხ. სოკოლნიკოვს დიდი გამოცდილება აქვს ეკონომიურსა და ფინანსიურ საკითხებში და გამოსთქვამენ იმედს, რომ იგი შესძლებს ორივე ქვეყანას შორის განსახილველ საკითხების პრაქტიკულად და წარმატებით გადაჭრას.

ამხ. გ. სოკოლნიკოვი

—:—

### გერმანიის კომპარტიის გამარჯვება

ბერლინის მუნიციპალურ არჩევნებში

**ბერლინი,** 17 ნოემბერი. ბერლინში კომუნალურ არჩევნებს, რომლებშიაც საშუალოდ ამომრჩეველთა 70 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა, შედეგად მოჰყვა კომუნისტების თვალსაჩინო გამარჯვება და სოციალ-დემოკრატების მიერ ხმების მნიშვნელოვანი რიცხვის დაკარგვა. დღემდე მიღებული ცნობები შეეხება მხოლოდ შვიდ რაიონს, რომლებიც მუშებით არის დასახლებული. ეს რაიონებია: ვედინგი, ნეიკელნი, ფრიდრიხსჰეინი, პრენცლაუერბერგი, პანკოვი, ვეისენზე, და ბერლინის ცენტრი. ამ ოლქებში კომპარტიას ხმა მისცა — **317.000 ამომრჩეველმა, სოციალ-დემოკრატებს კი — 306.000 ამომრჩეველმა.** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომუნისტების გამარჯვება ვედინგსა და ფრიდრიხსჰეინში. (ადს).

**ბერლინი,** 17 ნოემბერი. 16 ნოემბერს კომუნალური არჩევნების წინ, ბერლინის ყველა რაიონში მოხდა მასიური კრებები, ხოლო ქუჩებში დემონსტრაციები კომპარტიის დროშებით. მუშათა რაიონები, განსაკუთრებით ვედინგი, მორთული იყო წითელი დროშებით, პროლეტარული სადეკლამაციო გუნდები დადიოდნენ მუშათა სახლებში და მოუწოდებდნენ მუშებს —ხმა მისცენ კომპარტიას.

**ბერლინი,** 16 ნოემბერი. მომავალი მუნიციპალური არჩევნების გამო, გერმანიის კომპარტია გაძლიერებულ კამპანიას აწარმოებს. კომპარტია განუმარტავს მშრომელ მასებს, რა განსხვავებაა იუნგის გეგმასა და საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიან გეგმას შორის.

განსაკუთრებით ენერგიულ კამპანიას გერმანიის კომპარტია აწარმოებს გერმანიის ინდუსტრიალურ რაიონებში—რურის ოლქში, შუა გერმანიაში და შუა რეინის ოლქებში,

### საბჭოთა სავაჭრო ფლოტი იზრდება

იაპონური გაზეთის წერილი

**ტოკიო,** 16 ნოემბერი. „ხოჩი“ საბჭოთა კავშირის სავაჭრო ფლოტის ზრდის შესახებ აღნიშნავს, რომ **ხუთწლიანი გეგმით საბჭოთა სავაჭრო ფლოტის საზოგადოებამ, ნავთსინდიკატმა და კასპიის საზოგადოებამ უნდა ააგოს 790.000 ტონა წყალწყვის ახალი გემები.** გარდა ამისა, გაზეთის სიტყვით, საბჭოთა მთავრობა საგრძნობ ტონაჟს იძენს საზღვარგარეთ; მაგალითად, მან ამას წინად ამერიკაში 25 გემი შეიძინა.

**„რუსეთი, — სწერს გაზეთი, — დღემდე საქონლის გადაზიდვაში იაპონიას წლიურად აძლევდა 3.500.000 იენზე მეტ შემოსავალს. ახლა რუსეთი სცვლის პოლიტიკას და აგებს საკუთარ გემებს“** (ადს).

### ფაშისტმა მინისტრმა დააჯილდოვა

„სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის“

**რიგა,** 16 ნოემბერი. სამხედრო მინისტრმა ოზოლსმა (ფაშისტი) სოციალ- დემოკრატიული სპორტსმენების ბელადს ბრუნო კალნინშს უბოძა ლეიტენანტობა „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის“.

ფაშისტური გაზეთი „ლატვის“ ამის გამო სწერს:

„კალნინშს ოფიცრობა ებოძა კომუნისტების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის, რაც ნათლად გამოჩნდა მიმდინარე წლის 1 მაისს“. (ადს)

### სისხლისღვრა კანტონში

მუშებს ტყვიამფრქვევები დაუშინეს

**ბერლინი,** 17 ნოემბერი. როგორც „როტე ფანე“ იუწყება, **7 ნოემბერს კანტონში მიტინგის შემდეგ გაიმართა მუშათა დიდი რევოლუციონური დემონსტრაცია,** რომელიც მოაწყო ჩინეთის კომპარტიამ ოქტომბრის 12 წლის თავის გამო. **დემონსტრანტებს თავს დაესხა პოლიციის ძლიერი რაზმი.** დემონსტრანტებმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს და მოხდა სერიოზული შეტაკება. პოლიციას ჯარი მიეშველა. **რამდენიმე საათის ხელჩართული ბრძოლის შემდეგ პოლიციამ ტყვიამფრქვევები აამუშავა.** მოკლულ იქნა 12 მუშა, მძიმედ დაიჭრა 21. მუშები აღშფოთებულნი არიან. ქალაქში გამოცხადებულია საალყო წესები. (ადს).

### პოლონეთის სეიმის კომფრაქციის სხდომა

**ვარშავა,** 16 ნოემბერი. 14 ნოემბერს შესდგა პოლონეთის სეიმის კომფრაქციის სხდომა. სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც პოლონეთის მუშათა სახელით ესალმება საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს ოქტომბრის 12 წლის თავის გამო. რეზოლიუციაში აღნიშნულია: პოლონეთის პროლეტარიატის ავანგარდს კარგად ესმის, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია ემზადება შეიარაღებული ძალით გაანადგუროს საერთაშორისო მუშათა კლასის სამშობლო; პოლონეთის მუშებს კარგად ესმით ისიც, თუ რა როლი უნდა ითამაშოს ამ საქმეში პოლონეთმა. კომუნისტი დეპუტატები, რევოლუციონურ პროლეტარიატთან ერთად, მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ არ დაუშვან შეიარაღებული თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. (ადს)

### პროფკავშირების რევოლუც. უმცირესობის ყრილობა

**ბერლინი,** 17 ნოემბერი. პროფკავშირთა რევოლუციონური უმცირესობის ყრილობის (30 ნოემბრიდან 1-ლ დეკემბრამდე გაგრძელდება) არჩევნები საწარმოებსა და მასიურ ორგანიზაციებში დიდის წარმატებით მიმდინარეობს, მიუხედავად რეფორმისტული ბიუროკრატიის იმ ტერორისა, რომელიც ყრილობის მონაწილეებს გამორიცხვით ემუქრება.

ერცგებირგე—ფოხტლანდის ოლქის პროფკავშირთა რევოლუციონური უმცირესობის კომიტეტმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქსონიის რევოლუციონური უმცირესობის საოლქო კომიტეტები. შეჯიბრება ითვალისწინებს გერმანიის პროფკავშირთა რევოლუციონური უმცირესობის საუკეთესოდ მომზადებას მომავალი ყრილობისათვის. (ადს)

## ჩინეთ-საბჭოთა საზღვარზე

### ემზადებიან საბჭოთა კავშირში შემოსაჭრელად

**შანხაი,** 16 ნოემბერი. ამერიკულ „ჩაინა უიკლი რევიუ“-ს ხარბინელი კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება, რომ, როგორც აცხადებს იაპონელთა სამხედრო მისია ჩრდილოეთ მანჯურიაში, **მუკდენელები დაუცხრომლად ემზადებიან იმისათვის, რომ შემოიჭრან საბჭოთა კავშირში, როგორც ეტყობა, ვლადივოსტოკის მიმართულებით.**

განაგრძობენ ჯარის თავმოყრას როგორც ხარბინში, ისე აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის აღმოსავლეთის შტოს გასწვრივ.

ამ ცოტა ხნის წინად ხარბინში მიღებულ იქნა დიდძალი სამხედრო მოწყობილება და მძიმე არტილერია. გირინის ჯარის დემობილიზაციის გამო, მუკდენი მის ადგილას თავის ჯარს გზავნის. (ადს).

### თეთრგვარდიელები თავდასხმას ამზადებენ

**ხაბაროვსკი,** 18 ნოემბერი. უკანასკნელ დღეებში ჩინელებს სახალინიდან სასწრაფოდ გააქვთ ქონება და გაჰყავთ მცხოვრებნი. ჩინელების გარნიზონი საომრად არის მომზადებული და საბრძოლველ ადგილებში სდგას. თეთრგვარდიელი ბანდიტები ამ რაიონში ემზადებიან, რომ კვლავ დაესხნენ საბჭოთა ნაპირს. (ადს)

**ხაბაროვსკი,** 18 ნოემბერი. სადგურ პოგრანიჩნაიასთან დაარსდა თეთრგვარდიელი კაზაკების სტანიცა ზარუბინსკაიას სახელწოდებით. სტანიცა აერთიანებს ამ ადგილას თავმოყრილ და დაბანაკებულ თეთრგვარდიელთა ელემენტებს. სტანიცაში შეუდგენ თეთრ გვარდიელთა ბანდის შედგენას. (ადს)

### ჩინელი ბანდიტები ამზადებენ თავდასხმას საბჭოთა კავშირზე

**ვლადივოსტოკი,** 16 ნოემბერი. 13 ნოემბერს სადგურ პოგრანიჩნაიას რაიონში, დილის 11 საათზე, ჩინელთა ბატალიონი შეეცადა გადმოსულიყო საბჭოთა ტერიტორიაზე. ჩვენმა სანაპირო რაზმმა ჩინელები უკუაგდო.

**ხაბაროვსკი,** 16 ნოემბერი. 14 ნოემბერს ჩინელმა ჯარისკაცებმა ისევ აუტეხეს სროლა ჩვენს სანაპირო საგუშაგოს ნერჩინსკის ქარხნის რაიონში, მდინარე არგუნზე. **საბჭოთა სანაპირო რაზმის საპასუხო სროლით ჩინელთა სროლა შესწყდა.** (ადს)

**ხაბაროვსკი,** 17 ნოემბერი. 12 ნოემბერს ჩვენს ტერიტორიაზე გამოქცეულმა ჩინელმა ჯარისკაცებმა განაცხადეს, **რომ ქალაქ მიშანფუს რაიონში ჩინელთა სარდლობამ თავი მოუყარა 400-ზე მეტ შეიარაღებულ თეთრგვარდიელს.** ამ ბანდებს ჩინელთა სარდლობა იყენებს სისტემატიური თავდასხმებისათვის პრიმორიეს ტერიტორიაზე. იმავე ჯარისკაცების ჩვენებით, **ხდება ცხენოსანი და ქვეითა ნაწილების გაძლიერებული გადაყვანა მიშანფუს რაიონში.** მიშანფუს რაიონში უკვე მოვიდა ცხენოსანთა ექვსი პოლკი, ორი ბრიგადა და გზაშია მულინის, მაღაროებსა და მიშანფუს შუა. ჩინელი ჯარისკაცების სიტყვით, ამ გადაჯგუფების მიზანია ჩინელთა სარდლობის გადაწყვეტილება— დაიწყოს ფართო აქტიური ოპერაციები პრიმორიეში. (ადს)

### ბანდიტების თავდასხმა

**ტოკიო,** 17 ნოემბერი. ხაილარში (აღმოსავლეთ -ჩინეთის რკინის გზის დასავლეთ ხაზზე) უკანასკნელი დღეების განმავლობაში მოხდა ჩინელი ჯარისკაცების მრავალი თავდასხმა უცხოეთისა და ჩინეთის სავაჭრო -სამრეწველო საწარმოებზე, აგრეთვე კერძო ბინებზე. თავდასხმის დროს ხდებოდა ცემა-ტყეპა და ძარცვა-გლეჯა.

სოფელ ჯიძინორში ჯარისკაცთა რაზმმა დაიპყრო ყველა სახლი, ხოლო მცხოვრებნი გააძევა. (ადს)

### დეზერტირობა ჩინეთის ჯარში

**ტოკიო,** 17 ნოემბერი. დაირენის იაპონური ორგანოს „დაირენ სიმბუნ“-ის ცნობით, ჩინეთის არმიაში საზამთრო ტანისამოსის დიდი ნაკლებობაა. ამის გამო მეტად გაძლიერდა დეზერტირობა. (ადს)

### ფინანსიური კრიზისი მანჯურიაში

**ტოკიო,** 17 ნოემბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, ჩინეთის ბანკებმა მუკდენში შესწყვიტეს მრეწველობისა და ვაჭრობისათვის კრედიტების გაცემა. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის დღიდან ოქტომბრამდე მუკდენში გაკოტრდა 800-ზე მეტი ფირმა. ეს შემთხვევები პირდაპირი შედეგია ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტისა. (ადს)

## გენერლების ბრძოლა ჩინეთში

**ტოკიო,** 16 ნოემბერი. ხანკოუდან მიღებული ცნობით, **ფინ-იუი-სიანის ჯარმა დაიჭირა ლაოხეკოუ** (დაახლოვებით 40 კილომეტრის მანძილზე სინიანიდან) ხუბეის პროვინციაში. (ადს).

# საკ. კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმი

## საინფორმაციო ცნობა

**მოსკოვი,** 18 ნოემბერი. 10-დან 17 ნოემბრამდე შესდგა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები: 1) დირექტივები სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესახებ 1929—30 წლისათვის; 2) კოლმეურნეობათა მშენებლობის შედეგები და შემდგომი ამოცანები; 3) უკრაინის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ; 4) საკავშირო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შესახებ; 5) ცენტრალური კომიტეტის ივლისის (1928 წლის) პლენუმის იმ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ, რომელნიც ეხებოდნენ ტექნიკური კადრების მომზადებას.

გარდა ამისა, პლენუმმა განიხილა საკითხი მემარჯვენე უკლონისტების ჯგუფის (ბუხარინის ჯგუფი) შესახებ. დაეყრდნო რა კომინტერნის აღმასკომის მე-10 პლენუმის გადაწყვეტილებას ბუხარინის გამოყვანის შესახებ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის შემადგენლობიდან და მიიღო რა მხედველობაში, რომ მემარჯვენე უკლონისტების ლიდერებმა (ბუხარინმა, რიკოვმა და ტომსკიმ) დღემდე არ უარჰყვეს თავიანთი შეცდომები, პლენუმმა დაადგინა — გამოიყვანოს ბუხარინი, რომელიც არის მემარჯვენე გადახრის იდეოლოგი, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობიდან, ხოლო დანარჩენთ მისცეს გაფრთხილება, რომ იმ შემთხვევაში, თუ მათ ოდნავ მაინც სცადეს განაგრძონ ბრძოლა კომინტერნის აღმასკომის და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხაზისა და გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, პარტია არ დააყოვნებს მიიღოს მათ მიმართ სათანადო ორგანიზაციული ზომები.

ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, ამხ. კოტოვმა, მიხაილოვმა, უგლანოვმა და კულიკოვმა განუცხადეს პლენუმს, რომ ისინი სწყვეტენ კავშირს მემარჯვენე უკლონისტებთან.

მორიგი პარტიული ყრილობის მოწვევის ვადათ პლენუმმა დანიშნა 1930 წლის მაისი.

პლენუმმა დაადგინა — შეიყვანოს ამხ. გამარნიკი (მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი) საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს შემადგენლობაში, ხოლო ამხ. შვერნიკი — საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს კანდიდატად (ადს).

# მემარჯვენეთა დაშლის დასაწყისი

## ამხ. კოტოვის განცხადება

### საკ. კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმზე

1929 წლის 12 ნოემბერს

**მოსკოვი,** 18 ნოემბერი. ამხანაგებო! ამჟამად მიმდინარეობს უდიდესი მშენებლობა მთელი ჩვენი მეურნეობის გარდასაქმნელად. მუშათა კლასი, კომპარტიის ხელმძღვანელობით, რაზმავს თავის ძალებს ჩვენი სოციალისტური მეურნეობის სწრაფად გასაშლელად ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძველზე და სწრაფი ტემპით აშენებს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს. მაგრამ ჩვენი მეურნეობის წარმატებით განვითარებისა და შემდგომი წინსვლის ძირითად პირობას უნდა წარმოადგენდეს მუშათა კლასის მთლიანი ნებისყოფა და, რაც მთავარია, მთლიანობა ჩვენი პარტიის რიგებში და მის ცენტრალურ კომიტეტში. და ეს მთლიანი ნებისყოფა მიმართული უნდა იყოს პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებისაკენ.

უკანასკნელ პლენუმზე, აპრილში, მე გამოვედი და ვთქვი, რომ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებები ჩემთვის სავალდებულოა და რომ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს მე კეთილსინდისიერად შევასრულებ. აპრილის პლენუმის შემდეგ მე მართლაც ასე ვიქცეოდი. მთელ ჩემ პრაქტიკულ მუშაობაში და ყოველ ჩემ გამოსვლაში უაღრესად კეთილსინდისიერად ვიცავდი და ვანხორციელებდი პარტიის ხაზს. მაგრამ ამავე დროს, ამხანაგებო, არ შემიძლია ამჟამად არ გითხრათ, ამ ხაზის გატარებისა და, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური გამოსვლების დროს, მე ვგრძნობდი ერთგვარ ყოყმანს, ვგრძნობდი რაღაც გულგატეხილობას, მე არ შემიძლია, ამხანაგებო, არა ვთქვა ეს აქ, თუ მსურს მართლაც კეთილსინდისიერად გავანხორციელო პარტიის გადაწყვეტილებანი.

და სწორედ ეს შინაგანი ყოყმანი და გულგატეხილობა უთუოდ თავს იჩენდა ჩემში, როგორც ახლა თანდათან უფრო ირკვევა, ჩვენი პარტიის ძირითად საკითხების ირგვლივ, მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობის და ჩვენს ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის შემდგომი განვითარების ტემპის საკითხების ირგვლივ. და აი, მიუხედავად მთელი იმ ენერგიისა, რომლითაც მე ზოგჯერ შემიძლია გამოსვლა, მე მაინც მეჩვენებოდა: ხომ არ არის აქ რაიმე გადახვევა, ხომ არ არის რაიმე დამახინჯება? ხაზი, მართლაც, შეიძლება სწორი იყოს, მაგრამ მეთოდებში შესაძლებელია ესა თუ ის დეფექტები. გულში მაინც იბადებოდა ეჭვები: ვითომ სწორია ეს?

მე დიდხანს ვფიქრობდი ამ საკითხებზე და მაინც მივედი იმ დასკვნამდე, რომ საქმე ამა თუ იმ დეფექტებში კი არ არის, საკითხი იმაში როდია, თუ სად რა მეტია და რა ნაკლებია, ვის მეტად შეეხენ და ვის ნაკლებად ან ვის უფრო მოხვდა და ვის მეტი ჩამოერთვა. საქმე იმაშია, რომ თუ დარჩა ის ყოყმანი, რომელიც არის, მაშინ, უდავოა, საკითხი შეეხება არა ყოყმანს ცალკე საკითხებში, არამედ მთელ ხაზს.

თუ ეს ყოყმანი დარჩა, უნდა გადასწყვიტო: რა უარესია და სად მიგიყვანს ეს ყოყმანი. და მე პირადათ, როდესაც ამაზე ვფიქრობდი, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ამ ყოყმანს ვერ მოიშორებ, თუ არ გადასწყვიტე ძირითადი საკითხი, საკითხი პარტიის ხაზის შესახებ.

პირადათ მე მიმაჩნია, რომ ის ხაზი, რომელიც აიღო მე 15 ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის შემდგომმა პლენუმმა, სწორია და ეს ხაზი უნდა განვახორციელოთ. ეს ცხადჰყო ამ უკანასკნელი წლის პრაქტიკამ. სწორედ ამ პრაქტიკამ გაფანტა მთელი ჩემი ყოყმანი. მე ვაღიარებ, რომ ეს ყოყმანი შემცდარი იყო. პოლიტიკური თვალსაზრისით ჩემი ყოყმანი შემცდარი იყო, მე სათანადოთ ვერ ვაფასებდი იმ პირობებს, რომლებშიაც ჩვენ ვანვითარებთ ჩვენს მეურნეობას, და ვანხორციელებთ მთელი ჩვენი მეურნეობის მართლაც ძირფესვიან გარდაქმნას. ჩვენ სწრაფი ტემპით ვანხორციელებთ ჩვენი მრეწველობის რეკონსტრუქციას და ამ რეკონსტრუქციის საფუძველზე სოფლის სოციალისტურად გარდაქმნას. ის, რაც ამჟამად, უკანასკნელ წელს კეთდება სოფლად, მოწმობს, რომ ზოგიერთი ამხანაგის და, შესაძლებელია, ზოგიერთი ორგანიზაციის ცალკე შეცდომების (ამის დაფარვა არ შეიძლება—ყოველივე ეს არის) მიუხედავათ, სოფლად მაინც იქმნება და კეთდება უდიდესი სოციალისტური საქმე, ხდება მთელი სოფლის ნამდვილად გარდაქმნა, კაპიტალიზმის ფესვების ნამდვილად ამოფხვრა. მართლაც, ჩვენ თავს ვაღწევთ მეურნეობის მამაპაპურ წესებს. სწარმოებს უდიდესი ბრძოლა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, მანქანებისა და ორგანიზაციების საშუალებით იმ დახავსებასა, ჩამორჩენილობასა და უკულტურობასთან, რასაც ადგილი აქვს სოფლად. ამიტომ სავსებით გასაგები და ბუნებრივია, რომ ეს ჩვენი მუშაობა, რომელსაც პარტია გადაჭრით ატარებს, იწვევს კულაკების გაფთრებას, იწვევს კულაკების გაფთრებულ ბრძოლას და გლეხობის შეძლებული ნაწილის წინააღმდეგობას; კულაკები აჩერხებენ ჩაითრიონ ბრძოლაში სოფლის არაკულაკური ნაწილები.

ამ პირობებში, სოფლად კაპიტალისტურ ელემენტებზე გაძლიერებული შეტევისა და მთელი ჩვენი მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის პირობებში, მემარჯვენე საფრთხე წარმოადგენს ძირითად საფრთხეს. ამიტომ მერყეობა ჩვენს წრეში ობიექტიურად აძლიერებს ამ მემარჯვენე საფრთხეს და ხელს უწყობს მის ჩამოყალიბებას.

ამიტომ ცენტრალური კომიტეტის ხაზი მემარჯვენე საფრთხესთან, მემარცხენე გადახვევებთან და მათდამი შემარიგებელ დამოკიდებულებასთან ბრძოლაში მე მიმაჩნია სწორად პარტიის ინტერესებისათვის, მთელი ჩვენი მეურნეობის შემდგომი სოციალისტური განვითარებისა და შემდგომი განმტკიცების ინტერესებისათვის, მუშათა კლასის მთლიანი ნებისყოფისათვის გამძაფრებულ მშენებლობაში და პროლეტარიატის მიერ ამ მშენებლობაში მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა და მათთან დაკავშირებული საშუალო გლეხობის ჩაბმისათვის. ყველა ის ამხანაგი, ვისაც შეიძლება ჰქონდეს ზოგიერთი ყოყმანი და უთანხმოება ცალკე საკითხების ირგვლივ, უნდა გამოვიდეს და ობიექტიურად სთქვას, რომ ეს ყოყმანი იყო. როდესაც ეს ამხანაგები ასეთ ყოყმანში იყვნენ, შესაძლებელია მათ მხედველობაში არ ჰქონდათ, რომ ეს ყოყმანი დიდ უთანხმოებას გამოიწვევდა. იმ ბრძოლის მიხედვით, რომელსაც პარტია აწარმოებდა ყოველგვარ ოპოზიციასთან, ჩვენ ვიცით, რომ პირველად მცირე უთანხმოებანი პრაქტიკაში ყოველთვის იწვევდნენ და გამოიწვევენ ბრძოლის შემდგომ გამწვავებას პარტიის შიგნით, რაც ფაქტიურად აფერხებს ჩვენი მეურნეობის განვითარებას. აი რატომ არ არის საჭირო ორჭოფული განცხადებები; უნდა გამოვიდეთ და ვთქვათ პირდაპირ და გულახდილად, რომ იყო არა მარტო ყოყმანი, არამედ შეცდომებიც. კერძოდ, ბუხარინი, ტომსკი და რიკოვი უნდა გამოვიდნენ და განაცხადონ, რომ ძირითადი შეცდომები გვქონდა, რომ ვაღიარებთ ამ შეცდომებს; აღარ გავიმეორებთ მათ, უარვყოფთ ამ შეცდომებსა და ჩვენს შეხედულებებს, მთელ პარტიასა და მუშათა კლასთან ერთად მთელი ჩვენი ენერგიითა და უნარით ისევ ვებმებით მუშაობაში და ვიმუშავებთ მთელ პარტიასთან ერთად პროლეტარიატის დიქტატურის და მისი ბაზისის—სოციალისტური მეურნეობის განსამტკიცებლად (ადს).

## ამხ. მიხაილოვის განცხადება

### საკ. კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმზე

1929 წელს, 12 ნოემბერს

**მოსკოვი,** 18 ნოემბერი. არის თუ არა საჭირო მთელი ყურადღება გადაჭრით შემოიკრიბოს მემარჯვენე საფრთხის, მემარჯვენე გადახრის ან, როგორც უკრაინაში ამბობენ, „პრავი უხილ“-ის წინააღმდეგ ბრძოლის ირგვლივ? ამხანაგებო, მე მგონია, რომ არ შეიძლება ამან ვინმეში რაიმე ეჭვი გამოიწვიოს. თუ გვსურს უდიდეს წარმატებას მივაღწიოთ სოციალისტური მშენებლობის გზაზე, ჩვენ უნდა გადაჭრით შევებრძოლოთ, როგორც მემარჯვენე გადახრას, ისე მასთან შემარიგებლობას.

მე უნდა ვთქვა, რომ ცალკე საკითხებში მე მქონდა ზოგიერთი შეცდომა და გაურკვევლობა. კერძოდ, თავის დროზე ამხ. სტალინთან ჩვენ გვქონდა დავა ზოგიერთი საკითხის შესახებ. ზოგჯერ მიდიხარ მუშათა კრებაზე, გადმოგილაგებენ ფაბრიკისა და ქარხნის განწყობილებას და შენც, შენის მხრით, კრიტიკული მიდგომის გარეშე, გადმოალაგებ ყოველსავე უარყოფითს და დადებითს. უკანასკნელად, როდესაც ჩვენ ვილაპარაკეთ (მე, უგლანოვმა და კოტოვმა), ამხ. სტალინმა სთქვა: „ფრთხილად, ასეთი განწყობილებით შეიძლება ოპორტუნიზმამდე დაეშვათ“-ო. შენიშვნა გაფრთხილება იყო და ის შემდეგში გამართლდა. ასე რომ ცალკე საკითხებში მე განვიცდიდი ერთგვარ გაურკვევლობას და ყოყმანს.

ამას გადაჭრით უნდა შევაქციოთ ზურგი. მე უკვე აღვნიშნე ჩემი გამოსვლების დროს ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე, რომ სოციალისტური მშენებლობის მთელ რიგ საკითხებში მე არ ვეთანხმები იმ პოზიციას, რომელზედაც სდგას სამეული—ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი, მაგრამ პროფმოძრაობის საკითხში ერთგვარი ეჭვები მეც მქონდა. რა თქმა უნდა, პროფმოძრაობაში ტრედ-უნიონისტური ხაზი არ ყოფილა; მაშინ მე ეჭვით შევხედე—არის თუ არა პროფმოძრაობაში ტრედ-უნიონისტური ტენდენციები. მე მგონია, თვითკრიტიკის ტალღამ ამჟამად ნათლად გამოაშკარავა, რომ პროფკავშირთა ზოგიერთ აპარატში არის ტრედ-უნიონისტური ტენდენციები, პროფკავშირთა როლის შეუფასებლობა სოციალისტური მშენებლობის გაშლაში, პარტიის როლის შეუფასებლობა, აგრეთვე აპოლიტიკური განწყობილების არსებობა.

ამიტომ ცენტრალური კომიტეტი სრულიად სამართლიანად იქცევა, როდესაც ყურადღებას აქცევს იმას, რომ გაძლიერებულ იქნას ხელმძღვანელობა პროფმოძრაობის მიმართ.

მე მგონია, ის დოკუმენტი, რომელიც ამხ. რიკოვმა გამოაქვეყნა, ორჭოფულია. აქ საჭიროა: ან ერთი, ან მეორე. ამ საკითხის გამო არ შეიძლება მიკიბულ-მოკიბულობა. მე მგონია, ყველაზე უკეთესი იქნება, თუ ამხ. რიკოვი, ბუხარინი და ტომსკი ხელს აიღებენ იმ შემცდარ ხაზზე, რომელსაც ისინი ადგნენ ზოგიერთ საკითხებში, „გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაცია“—ამას გვერდს ვერ აუვლი, „ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ“—ამას გვერდს ვერ აუქცევ, და მთელი რიგი სხვა საკითხები, რომლებიც მოითხოვენ პირდაპირ და ნათელ პასუხს. საჭიროა ამ საკითხზე ერთგვარი გარკვეულობის შეტანა, ორჭოფობა აქ საქმეს არ უშველის; მე მგონია, ლამაზი პოზა შეუფერებელია და ეს არავითარ სარგებლობას არ მოიტანს.

ფაქტია, რომ პურის დამზადების საქმეში ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს. შემოკლდა პურის დასამზადებელი დრო, სამუშაო წლის საკმაოთ დიდი ნაწილი თავისუფალია პურის დამზადების საქმისაგან, მაშინ, როდესაც წინად მთელ წელიწადს პურის დამზადებას ვახმარდით. ამრიგად, სამუშაო წლის განსაზღვრული ნაწილი თავისუფალი გვაქვს პურის დამზადებისაგან და ეს საშუალებას მოგვცემს მეტი ყურადღება მივაქციოთ სოციალისტური მშენებლობის სხვა დარგებს.

საგანგებო ღონისძიებანი, რასაკვირველია, მუდმივ მოვლენას არ წარმოადგენენ, მაგრამ ეს ერთგვარი მანევრია, რომელიც განმეორდება ჩვენი განვითარების ზოგიერთ საფეხურზე. ჩვენი პარტია ხომ არასოდეს არ ამბობდა უარს მოეხდინა ერთგვარი ზეგავლენა ჩვენი მეურნეობის ამა თუ იმ ფორმებზე. მთელი უთანხმოების საგანი საგანგებო ღონისძიებებზე მეტად წვრილმანია იმ ამხანაგებისათვის, რომელთაც მთელ რიგ საკითხებში სხვა პოზიცია ეჭირათ, ვიდრე პარტიას, რასაც ჩვენ ვხედავთ იმ დოკუმენტში, რომელიც ცენტრალური კომიტეტის წარსულ პლენუმზე გამოქვეყნდა.

დასასრულ, საჭიროა გადაჭრით გამიჯვნა იმ ამხანაგებისაგან, რომლებიც კომინტერნის წინააღმდეგ იბრძვიან. ავიღოთ თუნდაც ჩილბუმის ჯგუფი, რომელიც კომინტერნის წინააღმდეგ გაუგონარი ფორმებით იბრძვის და პოლიციის დახმარებასაც კი მიმართავს. ჩილბუმს კომინტერნში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა და იგი უკანასკნელ როლს არ თამაშობდა. აი სანამდის მიდის იგი კომინტერნის ხაზის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ ამ საკითხში საჭიროა სრულიად გარკვეულად და აშკარად გამიჯვნა მემარჯვენე ელემენტებისაგან.

არ შეიძლება დავეყრდნოთ ზოგიერთ გადახვევებს კრიტიკაში. „ტყეს სჩეხენ, ნაფოტები ცვივა“. ნაკლი, რა თქმა უნდა, ბევრი გვაქვს, ხშირია უთავბოლობის შემთხვევებიც, მაგრამ არ შეიძლება თითო-ოროლა ნაკლი მთელის ადგილას დავაყენოთ. მაგონდება, როგორ გამოვიდა ერთხელ ამხ. ზინოვიევი ტრიბუნაზე სადღაც ყუბანში გამოცემული გაზეთით ხელში და სთქვა: „აი შეხედეთ, რა სახელს გვიწოდებენ“-ო. შეიძლება ამა თუ იმ გაზეთში ასე გვიწოდებენ, მაგრამ ეს ხომ ძირითადი არ არის. შეცდომების დაყენებით განმეორება კი არა, მათი გულახდილად აღიარებაა საჭირო. აქეთკენ მოვუწოდებ მე ამხ. უგლანოვს, ჩემს ყოფილ თანამებრძოლს მოსკოვის მუშაობაში

ჩვენი შემდგომი ხაზის მხოლოდ სრული გარკვეულობით შევსძლებთ უფრო ჩქარის ტემპით წავიდეთ სოციალისტური გზით ჩვენი მეურნეობის ყველა დარგებში.

## ამხ. უგლანოვის და კულიკოვის განცხადება

### საკ. კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმზე

1929 წელს, 17 ნოემბერს.

**მოსკოვი,** 18 ნოემბერი. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოეხსენება, რომ ჩვენ მას არ ვეთანხმებოდით ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის საკითხებში.

განსაკუთრებით ჩვენ გვაწუხებდა უთანხმოების ჩამოვარდნის შესაძლებლობა მუშათა კლასსა და საშუალო გლეხობას შორის.

განვლილ სამეურნეო წელს პურის დამზადების შედეგებმა დაგვანახვა, რომ ჩვენ ვცდებოდით, რის შესახებ საჭიროდ მივვაჩნია განვუცხადოთ პარტიას.

პარტიის წინაშე დგანან სოციალისტური მშენებლობის დიდი ამოცანები და კლასობრივი მტრების წინააღმდეგობის დაძლევის დიდი სიძნელეები.

პარტია და მუშათა კლასი მით უფრო ადვილად შესძლებენ მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრას და დაბრკოლებათა დაძლევას, რაც უფრო მეტი ერთობა და შემჭიდროება იქნება პარტიის რიგებში პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე და რაც უფრო გადამჭრელი ბრძოლა გამოეცხადება პარტიის მემარჯვენე გადახრას და მასთან შემარიგებლობას.

ჩვენს წინაშე ისმება კითხვა: როგორ მოვიქცეთ? დავსცილდეთ პარტიას და მუშათა კლასს და მხარი დავუჭიროთ ბუხარინს, რიკოვს და ტომსკის, თუ ვიყოთ მთელ პარტიასთან ერთად? ჩვენ საჭიროდ მივვაჩნია ვიყოთ პარტიასთან და მუშათა კლასთან და ძლევამოსილად ვიბრძოლოთ სოციალისტური მშენებლობისათვის (ადს).

## სხვადასხვა

● **საფრანგეთ-გერმანიის** მოლაპარაკება საარის ოლქის შესახებ ახლო ხანში დაიწყება.

● **პოლონეთის ელჩი** საბჭოთა კავშირში პატეკი 16 ნოემბერს მოსკოვს გამოემგზავრა.

● **ევრეიული გაზეთი** „მომენტ“-ი იუწყება, რომ ამ დღეებში ოდესიდან ვარშავაში არალეგალურად ჩავიდა ამას წინეთ ვერაგულად მოკლულ ვოიკოვის ცოლი. პოლონეთის ხელისუფლებამ, გაიგო რა ეს, წინადადება მისცა ვოიკოვის ცოლს 24 საათის განმავლობაში დაეტოვებია პოლონეთი.

(დეპეშების გაგრძ. იხ. მე-2 გვერდზე)

დღეს, 19 ნოემბერს, დილის 12 საათზე მთავრობის სასახლეში

დანიშნულია

**საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და ეკონომიური საბჭოს გაერთიანებული სხდომა**

რომელზეც მოსმენილი იქნება

თბილისის მუშკოოპის გამგეობის მოხსენება თავის მოქმედების შესახებ; თანამომხსენებელი—თბილისის აღმასკომის ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილება.

სხდომაზე საქ. პროფკავშირის მეშვეობით მოწვეული არიან აგრეთვე თბილისის ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლები.

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს საქმეთა მმართველი **პრ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გლეხკომების გადარჩევისათვის

## საქართველოს კომპარტიის (ბ) ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის დადგენილების თანახმად, დეკემბერში მოხდება გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა კომიტეტების გადარჩევა.

გლეხკომების ახლანდელი მუშაობა სრულებით ვერ აკმაყოფილებს სოფლის სოციალისტური გარდაქმნის პერიოდის მოთხოვნილებას. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ხელის შეწყობის, კოოპერაციაში გაერთიანების და საწარმოო დახმარების საკითხები ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ გლეხკომების მუშაობის ყურადღების ცენტრს; გლეხკომების მთელი მუშაობა აგებული იყო, უმთავრესად, იმაზე, რომ ისინი წვრილ ინდივიდუალურ დახმარებას უწევდნენ ღარიბ და ხელმოკლე გლეხთა ცალკე მეურნეობებს, იმასაც სამომხმარებლო საჭიროებისათვის; მათ საექსპლოატაციოდ ჰქონდათ ზოგიერთი საწარმოები (წისქვილები, სამჭედლოები და სხვ.) და მიწის ნაკვეთები; კომერციული განხრით გატაცებულმა გლეხკომებმა ვერ დარაზმეს საზოგადოებრიობა ამ საწარმოთა კოლექტიური გამოყენებისა და მიწის ნაკვეთების კოლექტიური დამუშავების გარშემო.

ამიტომ მომავალ გადარჩევის კამპანიას დიდი მნიშვნელობა ექნება ამ ნაკლთა აღმოფხვრისა და გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების მოქმედების გამოცოცხლების საქმეში.

საარჩევნო კრებებმა ფართოდ გაშლილი თვითკრიტიკის საფუძველზე უნდა გამოააშკარაონ გლეხკომების მუშაობის ყველა უარყოფითი მხარე და მიაღწიონ გარდატეხას მომავალ მუშაობაში იმ მიზნით, რომ გლეხკომები ჩადგნენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პირველ რიგებში.

როგორც საბჭოების არჩევნების დროს, კულაკები ახლაც ეცდებიან ჩაშალონ გლეხკომების საარჩევნო კრებები და თავიანთი კაცები გაიყვანონ კომიტეტების ახალ შემადგენლობაში. ასეთ ცდას გადაჭრით უნდა შეებრძოლონ მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა შეკავშირებული მასები.

საარჩევნო კამპანიამ უნდა გააუმჯობესოს გლეხკომების სოციალური შემადგენლობა და ამით უზრუნველჰყოს მტკიცე კლასობრივი ხაზი მათს შემდგომს მოქმედებაში.

გლეხკომების გადარჩევის კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით, ც. კ.-ი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს —დაუყოვნებლივ შეუდგნენ წინასწარი მოსამზადებელი კამპანიის გაშლა- განვითარებას, რისთვისაც საჭიროა:

1. საოლქო აღმასკომებთან და სოფლის საბჭოებთან შეიქმნას საარჩევნო კომისიები და ამ კომისიებში შეყვანილ იქნან გლეხკომების, პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციების, აღმასკომების, პროფორგანიზაციების (მიწატყის კავშირი), ქალთა დელეგატების, ღარიბ გლეხთა ჯგუფების და კოოპერაციის წარმომადგენელნი.

2. მოწვეულ სოფლის ყრილობებზე, ღარიბ გლეხთა კრებებზე, საბჭოების სხდომებზე, ქალთა დელეგატების კრებებზე და სხვა საჭიროა მოსმენილ იქნას გლეხკომების საანგარიშო მოხსენებანი მათი წარსული მუშაობის შესახებ და ყოველმხრივ გამოირკვეს, თუ რა მონაწილეობა მიიღეს გლეხკომებმა მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებაში, თესვის კამპანიის და ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების კოლექტივიზაციის გატარებაში და სხვ.; ფართოდ უნდა იქნას განხილული აგრეთვე ახალი განწესების პროექტები, რომლებსაც საარჩევნო კრებები ამტკიცებენ; განწესები უნდა შეიცავდნენ მკაფიო მითითებას გლეხკომების შემდგომი მუშაობის შესახებ საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის 1929 წლის 6 აგვისტოს იმ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, რომლებიც „გლეხკომების მუშაობას" შეეხებიან.

3. გლეხკომების ორგანოებისათვის წამოყენებული კანდიდატურები გულდასმით უნდა შემოწმდნენ და განხილულ იქნან ღარიბი გლეხობის ჯგუფებსა და კრებებზე საშუალო გლეხობის აქტივის მონაწილეობით; საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოჯამაგირე ქალებისა და ღარიბ გლეხ-ქალების დაწინაურებას გლეხკომების ხელმძღვანელ ორგანოებში.

4. გლეხკომების გადარჩევის ლოზუნგი უნდა იყოს შემდეგი ამოცანების უზრუნველყოფა: „ყოველნაირად ხელი შეუწყოს ხელმოკლე გლეხობის მეურნეობათა კოლექტივიზაციასა და კოოპერაციაში გაერთიანებას, პირველ რიგში, თავიანთ წევრთა გაერთიანებას, გადამწყვეტი ბრძოლა ღარიბი გლეხობის გასანთავისუფლებლად კულაკური ექსპლოატაციისაგან, საწარმოო დახმარების გაძლიერება ღარიბ გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობათათვის; ამ მიზნით უნდა მოწესრიგდეს ხარ-კამეჩითა და ურმით დახმარების საქმე, სათესლე მასალის მიწოდება, ხელის შეწყობა და მონაწილეობის მიღება სასოფლო- სამეურნეო მანქანებისა და იარაღების გამქირავებელი პუნქტების ორგანიზაციაში და სხვ." (საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის დადგენილებიდან).

საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მდივანი: **კახიანი,**
სოფლად მუშაობის განყოფილების გამგე: **არუთინოვი.**

# „საბჭოთა კავშირი—ნამდვილი მუშურ-გლეხური სახელმწიფოა"

## ძველი ს.-დ. ინჟენერი გადავიდა კომპარტიაში

**ბერლინი,** 16 ნოემბერი. „როტე ფანე"-ში გამოქვეყნებულია ინჟენერ გიშეს წერილი. გიშე 21 წლის განმავლობაში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო და ეხლა კომპარტიაში გადავიდა.

იგი აღნიშნავს, რომ მისი გადაწყვეტილება ემყარება იმ გამოცდილებას, რომელიც მან მიიღო საბჭოთა კავშირის სამთო მრეწველობაში ხანგრძლივი მუშაობის დროს.

გიშე აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი მუშურ - გლეხური სახელმწიფოა; იგი დარწმუნდა, თუ რამდენ სიყალბეს სჩადიან სოც.-დემოკრატები, როცა ისინი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ილაშქრებენ. გიშე მოუწოდებს სოციალ-დემოკრატ მუშებს — წაბაძონ მის მაგალითს. (ადს).

# კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე

### აფრიკა

### სამხედრო წესები ბატხერსტზ..

**ლონდონი,** 16 ნოემბერი. ბატხერსტში (დასავლეთი აფრიკა), გაფიცვასთან დაკავშირებით, სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა. შეიარაღებული პოლიცია დაედევნა გაფიცულებს, ასტეხა სროლა ქუჩაში და დახვრა მშვიდობიანი გამვლელნი. ქალაქში ფაქტიურად სამხედრო წესებია გამოცხადებული.

საწარმოები დაკეტილია. გაფიცვა გამოცხადდა იმის გამო, რომ მრეწველები შეეცადნენ დაეშალათ ადგილობრივ მკვიდრთა პროფკავშირი.

### უნგრეთი

### მემაღაროეთა გენერალური გაფიცვის წინ

**ვენა,** 16 ნოემბერი. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობებით, შალგოტარიანის (უნგრეთი) გაფიცულმა მაღაროს მუშებმა აირჩიეს ახალი საგაფიცვო კომიტეტი დაპატიმრებულის ნაცვლად. გაფიცულებმა ჟანდარმთა სამმართველოს წინ გამართეს დემონსტრაცია და მოითხოვეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება. ჟანდარმერიის უფროსი დასთანხმდა იმ პირობით, თუ გაფიცვა შესწყდებოდა. მუშებმა ეს გადაჭრით უარჰყვეს.

როგორც „როტე ფანე" იუწყება, გაფიცულებმა წამოაყენეს არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური მოთხოვნებიც, კერძოდ, მოთხოვნა კომპარტიის ლეგალიზაციის შესახებ.

# აკრძალული კომუნისტური გაზეთი გამოდის

## პოლიციის ღონისძიებათა მიუხედავათ

**ბერლინი,** 17 ნოემბერი. აკრძალული კომუნისტური გაზეთი ჰამბურგერ ფოლკსცეიტუნგ"-ი რამოდენიმე დღეა რეგულიარულად გამოდის და, მიუხედავად პოლიციის ღონისძიებებისა, ძალიან ვრცელდება მუშებ შორის.

პოლიცია მასიურ ჩხრეკას ახდენს იმ არალეგალური სტამბის აღმოსაჩენად, სადაც გაზეთი იბეჭდება, მაგრამ მისი ცდა უშედეგოდ რჩება. (ადს).

# იტალიელ ფაშისტების კავშირი

## გერმანელ ნაციონალისტებთან

**ბერლინი,** 17 ნოემბერი. მემარცხენე გაზეთ „ბერლინ ამ მორგენ"-ში დაბეჭდილია ცნობები ბერლინიდან იტალიის საელჩოს მთელი შემადგენლობის გაწვევის შესახებ, რაც გამოიწვია იტალიის საელჩოდან დიპლომატიური შიფრის მოპარვამ. გაზეთი აღნიშნავს, რომ მოპარული შიფრი და მრავალი საბუთი ბერლინში შეძლიეს უცხოეთის ერთ-ერთ საელჩოს. საბუთები ადასტურებენ, რომ იტალიის ბერლინელ წარმომადგენლობასა და გერმანელ ნაციონალისტებს შორის არსებობდა მჭიდრო კავშირი, რაც იმას ამტკიცებს, რომ მუსოლინი მხარს უჭერს გერმანელ ნაციონალისტთა ანტი-ფრანგულ ტენდენციებს. გაზეთის ცნობით, გერმანელმა ნაციონალისტებმა იუნგის გეგმის საწინააღმდეგო კამპანიის ჩასატარებელი სახსრები იტალიურ წყაროებიდან მიიღეს. (ადს).

# საპროტესტო დემონსტრაცია ათინაში

**ვენა,** 16 ნოემბერი. როგორც ათინიდან იუწყებიან, იქ გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაციები მუშათა რევოლუციონური ორგანიზაციების სხდომებზე პოლიციელთა თავდასხმის წინააღმდეგ.

პოლიციამ წაიღო დიდი თანხები, რომლებიც თანაგრძნობის ნიშნად საბერძნეთის პროლეტარიატმა შეაგროვა საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხებისათვის.

დააპატიმრეს დემონსტრაციის ოცზე მეტი მონაწილე. (ადს)

# მოსკოვი

## (ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

### თეთრგვარდიელები თანაგრძნობას უცხადებენ მემარჯვენე უკლონისტს ა. აიხენვალდს

**მოსკოვი,** 18 ნოემბერი. თეთრგვარდიელთა გაზეთი „რულ", რომელიც ბერლინში გამოდის, თანაგრძნობას უცხადებს უკლონისტ ა. აიხენვალდს და აღნიშნავს, რომ „სამწუხაროა ყმაწვილი პროფესორ ა. აიხენვალდის — ჩვენი განსვენებული თანამშრომლის ი. აიხენვალდის შვილის ხვედრიო. თავისი წიგნი „საბჭოთა ეკონომიკა" ა. აიხენვალდმა გაუგზავნა თავის მამას თავხედური წარწერით: „გაუსწორებელ მამას „რულ"-ისათვის რუსეთის სინამდვილის გაცნობის სუსტი იმედით". „ამის შემდეგ ერთ წელიწადზე ცოტა მეტი გავიდა და გამოირკვა, რომ რუსეთის სინამდვილესთან გაუცნობელი იყო თვით ა. აიხენვალდი. ის ახლა იმყოფება დაპატიმრებისა და გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს მარქსისტულ მეთოდებთან პრაქტიკულად გაცნობის საფრთხის წინაშე"-ო.

### „იზვესტია" „საბა"-ს შესახებ.

**მოსკოვი,** 18 ნოემბერი. „იზვესტია" კინო-მიმოხილვაში „საბჭოთა ფილმები" მიუთითებს, რომ მთელ რიგ ერთნაირ ხასიათის სურათებიდან მხოლოდ საქართველოს სახ. კინომრეწველობის მიერ გამოშვებული სურათი „საბა" აღმოჩნდა თანამედროვე იდეოლოგიურ და ფორმალურ მოთხოვნათა სიმაღლეზე. რეჟისორმა მ. ჭიაურელმა დიდის ოსტატობით დაძლია თავი ზერელე ეგზოტიზმსა და იაფ-ფასიან მელოდრამატიულობას. ალკოჰოლიზმი გამოაშკარავებულია, როგორც ნამდვილი ბოროტება, რომელიც მოითხოვს ბრძოლას. ჭიაურელი, გაზეთის სიტყვით, არის კულტურული ხელოვანი, რომელსაც კარგათ აქვს შესწავლილი მონტაჟის ხერხები.

# ამხ. აქსენტიევსკი თბილისის რკინისგზელებთან

წითელი ჯარი მედგრად სდგას საბჭოთა სადარაჯოზე.—თბილისის მუშები ყოველ წუთს მზად არიან გვერდში ამოუდგენ წითელ არმიას.

სრულ სამ საათზე გაისმა საყვირის ხმა და ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ სახელოსნოების მუშებმა იწყეს ჯგუფ-ჯგუფად დენა ამწყობ საამქროსაკენ. მალე თავი მოიყარა 2.000-მდე მუშამ.

გამოჩნდა კავკასიის წითელდროშოვან არმიის სარდალი ამხ. ავქსენტიევსკი. მუშები მას შეხვდნენ ტაშის გრიალით და ვაშას ძახილით.

„ნება მომეცით,—მიმართა ამხ. ავქსენტიევსკიმ მუშებს,—გადმოგცეთ მხურვალე სალამი კავკასიის წითელდროშოვან არმიის უმაღლეს და უფროს მეთაურთა ყრილობისაგან, რომელიც ამჟამად თბილისში მიმდინარეობს.

მე მოხარული ვარ გავაკეთო მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე თქვენთან, მუშებთან. თქვენ, მუშებმა, დაამსხვრიეთ ძველი ქვეყანა და ეხლა აშენებთ ახალ, სოციალისტურ სამყაროს".

არმიის სარდლის ეს სიტყვები მქუხარე ტაშმა დაფარა.

შემდეგ ამხ. ავქსენტიევსკი შეეხო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ საკითხებს. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი სცდილობდა და სცდილობს მოსპოს საბჭოთა კავშირი—პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანა. ამხ. ავქსენტიევსკიმ გაიხსენა მუშებს ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეები და თეთრგვარდიელთა და მუშების ბრძოლა, ბლოკადა, რომლითაც იმპერიალისტური სახელმწიფოები სცდილობდნენ საბჭოთა ქვეყნის დამარცხებას და აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება და ჩინელ-ხუნხუზების და თეთრგვარდიელთა თარეში წარმოადგენს იმპერიალისტების პოლიტიკის გაგრძელებას.

წითელი არმია მტკიცედ სდგას საბჭოთა კავშირის საზღვრების სადარაჯოზე. შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმია მედგრათ იცავს საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის საზღვრებს და ებრძვის ჩინელ ხუნხუზების და რუს თეთრგვარდიელების ბრბოებს.

საბჭოთა კავშირს არა სურს ომი, საბჭოთა კავშირის მშრომელები ჩაბმულნი არიან უდიდეს სოციალისტურ მშენებლობაში, მაგრამ, თუ კი ვინმე გაბედავს თავდასხმას და ამ მშენებლობისათვის ხელის შეშლას, მუშურ-გლეხური წითელი არმია თავზარს დასცემს მათ.

ამხ. ავქსენტიევსკიმ განაცხადა, რომ მთელი მუშურ-გლეხური წითელი არმია და კერძოდ — კავკასიის წითელ დროშოვანი არმია საუკეთესოდ არის მომზადებული და შეიარაღებული.

„უნდა გაცნობოთ,—ამბობს ამხ. ავქსენტიევსკი,—რომ ჩვენი წითელი არმია გაცილებით მაღლა სდგას იმპერიალისტური ქვეყნების არმიებზე".

წითელი არმია დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელები, ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, მიაღწევენ სრულ გამარჯვებას სოციალიზმის მშენებლობაში. წითელი არმია არ იზიარებს ზოგიერთ სულმოკლე და ძიდალი ამხანაგების—ე. წ. მემარჯვენეთა შეხედულებას, რომლებსაც ეჭვი ეპარებათ მუშათა კლასის ძლიერებაში.

თავის სიტყვის დასასრულს ამხ. ავქსენტიევსკიმ მოუწოდა მუშებს მედგრად იმუშაონ სოციალისტურ აღმშენებლობის დარგში, დაეხმარონ სოფელს სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნაში, გააძლიერონ დამკვრელი ბრიგადების საქმიანობა და ხელი შეუწყონ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს.

ამასთან ერთად,—მიმართავს ამხ. ავქსენტიევსკი მუშებს,—თქვენ უნდა იყვეთ ფხიზლად, რადგან მტერს არ სძინავს. თქვენ უნდა იყვეთ მზად, რომ პარტიისა და ხელისუფლების დახმარებაზე თქვენი მუშური ტანსაცმელი შესცვალოთ რუხ ფარაჯაზე და მუშურ-გლეხურ წითელ არმიასთან ერთად იბრძოლოთ საბჭოთა კავშირის მტრების წინააღმდეგ.

ამხ. ავქსენტიევსკის შემდეგ ილაპარაკეს შრომის გმირმა ამხ. კუპრაშვილმა და ახალგაზრდა მუშამ ამხ. მაკაროვმა. მათ განაცხადეს, რომ მუშები მზად არიან, თუ კი ეს საჭირო იქნება, გვერდში ამოუდგენ წითელ არმიას და იბრძოლონ მასთან ერთად.

ამხ. მაკაროვმა სთქვა, რომ ამხ. სტალინის სახელობის სახელოსნოში ჩამოყალიბებულია 150 ახალგაზრდა მუშისაგან შემდგარი რაზმი, რომელიც იწვრთნება სამხედრო ხელოვნებაში და რომელიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს სოციალიზმისათვის.

მუშების საერთო კრებამ ამხ. ავქსენტიევსკის მოხსენების შემდეგ მიიღო რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ, საჭირო დროს, ამხ. სტალინის სახელობის სახელოსნოების მუშები დაიცავენ ოქტომბრის მონაპოვარ თავისუფლებას და სათანადო პასუხს გასცემენ საბჭოთა კავშირის მტრებს.

## დეპეშა ამხ. სტალინს

კრების დასასრულს მუშებმა ამხ. სტალინს გაუგზავნეს შემდეგი შინაარსის დეპეშა:

**„ძვირფასო ამხანაგო! ჩინელ გენერლების თავხედურ მოქმედებათა საპასუხოდ, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ სახელოსნოს მუშებმა ჩამოაყალიბეს მოხალისეთა მებრძოლი რაზმი, რომელშიაც შედის 300 მუშა-მოხალისე, უწოდეს მას შენი, როგორც ლენინის საუკეთესო და ღირსეული მოწაფის სახელი.**

**ჩვენ ყოველდღიურად ვეცდებით განვამტკიცოთ სოციალისტური მშენებლობა, ავწიოთ შრომის ნაყოფიერება სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე, რითაც გავაძლიერებთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობას. ჩვენ ვარწმუნებთ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას, რომ, თუ კი საჭირო იქნება, ყოველ წუთს მზად ვართ მტკიცედ დავიცვათ დიდი ოქტომბრის რევოლუცია და ჭკუა ვასწავლოთ ჩინეთის გენერლებს და რუსეთის თეთრგვარდიელთა უბადრუკ ნამსხვრევებს".**

# ახალგაზრდათა კომინტერნის 10 წლის თავისათვის

## გერმანიის კომკავშირის სამზადისი

**ბერლინი,** 17 ნოემბერი, გერმანიის კომკავშირი ემზადება ახალგაზრდათა კომინტერნის ათი წლის თავისათვის შემდეგი ლოზუნგებით: „მუშათა ახალგაზრდობის მობილიზაცია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად", „საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობისა და ხუთწლიანი გეგმის პოპულიარიზაცია მუშათა უფართოეს მასებში", „გადამჭრელი ბრძოლა ფაშიზმისა და სოც.-ფაშიზმის წინააღმდეგ", ბრძოლა კაპიტალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ", „მუშა-ახალგაზრდობის ჩაბმა ეკონომიურ ბრძოლაში", „ბრძოლა ახალგაზრდობის განსაკუთრებული მოთხოვნებისათვის" და „ახალგაზრდათა კომინტერნის ისტორიის პროპაგანდა". (ადს).

# ხუთწლიანი გეგმა 4—3½ წელიწადში

## სახალხო მეურნეობის 1920—30 წლის საკონტროლო ციფრები

### ამხ. კვირინგის მოხსენება

**მოსკოვი,** 17 ნოემბერი. საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმზე ამხ. კვირინგმა გააკეთა მოხსენება 1929—30 წლის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესახებ. რადგან ეს ციფრები უკვე გამოქვეყნებული და ფართოდ ცნობილია, ამიტომ მომხსენებელი შეეხო მხოლოდ იმ ძირითად მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებენ საკონტროლო ციფრებს და განსაზღვრავენ 1929—30 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებს.

**განვლილმა 1928—29 წელმა სავსებით გაამართლა გათვალისწინებული ტემპები; გადაჭარბებით შესრულდა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული სოციალისტური მშენებლობის ზრდის ტემპი.** წელს ცხოვრებას ხუთწლიან გეგმაში შეაქვს რამდენიმე ახალი შესწორება, რომლებიც ხელს შეუწყობენ სახალხო მეურნეობის განვითარებას. **განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლა პროდუქციის წლიურ გამოსავალს გაადიდებს 6 პროცენტით. საგრძნობლად დაჩქარდება მსხვილ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა.** ორი წლის განმავლობაში აიგება ის ქარხნები, რომელთა ასაგებადაც გათვალისწინებული იყო 4 და მეტი წელიწადი. ამიტომ სოციალისტური მშენებლობის ზრდა, საკონტროლო ციფრების მიხედვით, მიაღწევს 32 პროცენტს.

**1929—30 წელს ახალი საწარმოები გამოიმუშავებენ ერთნახევარი მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქციას, ე. ი. ომის წინადროინდელზე ორჯერ მეტს. ამ მხრივ ჩვენ წინ ვუსწრებთ ამერიკას, რომელმაც პროდუქციის გამოშვება მიიყვანა ომის წინადროინდელის 180 პროცენტამდე.**

**კაპიტალურ მშენებლობაზე დაბანდებული თანხა აყვანილი იქნება 3.800 მილიონ მანეთამდე, ნაცვლად 2.400 მილიონისა, რომელიც ხუთწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული. ეს ორჯერ მეტია იმ თანხაზე, რომელიც 1928—29 წელს იყო დაბანდებული.**

მთელი გასული ხუთი წლის განმავლობაში კი კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯა 3.500 მილიონი მანეთი.

**მთელი სახალხო მეურნეობის კაპიტალურ მშენებლობაზე დაბანდებული იქნება 12 მილიარდი მანეთი, შარშანდელი 8 მილიარდი მანეთის ნაცვლად. დაბანდებათა ზრდა, წარსულ წელთან შედარებით, უდრის 51 პროცენტს, ჩვენი მეურნეობის კერძო სექტორის სრული სტაბილიზაციის პირობებში.**

მიმდინარე წელს კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანდება სამ მილიონამდე გლეხური მეურნეობა. ეს შეადგენს მთელი გლეხური მეურნეობის 12 პროცენტს.

როგორია საკონტროლო ციფრების ძირითადი სიძნელენი?

1929—30 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა უეჭველად ზედმეტად არის დატვირთული. მაგრამ ეს გეგმა სავსებით რეალურია, მისი განხორციელების სიძნელეთა გადალახვა შესაძლებელია და ისინი უნდა გადავლახოთ კიდეც. წინასწარი ვარაუდით, მომავალ წელს კაპიტალური დაბანდება მიაღწევს 5—6 მილიარდ მანეთს. ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად საჭიროა კიდევ 3.500 მილიარდი მანეთი; ეს სახსარი დაგროვდება მეოთხე წლის განმავლობაში, შეიძლება მეოთხე წლის პირველი ნახევრის განმავლობაშიც.

**მაშასადამე, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა შეიძლება ოთხ ან სამნახევარ წელიწადში განხორციელდეს.**

# საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის ფინანსიური გეგმა

### ამხ. ბრიუხანოვის მოხსენება

შემდეგ გამოვიდა ამხ. ბრიუხანოვი, რომელმაც გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მთლიანი საფინანსო გეგმის შესახებ. იგი შეიცავს არა მარტო ჩვენს ბიუჯეტს, რომლის ხვედრითი წონა ჩვენი ქვეყნის მეურნეობაში ყოველწლიურად იზრდება, არამედ მეურნეობის ცალკე დარგების გეგმებსაც.

**ბიუჯეტის ზრდა წელს შეადგენს 3.500 მილიარდ მანეთს, ე. ი. 45 პროცენტით მეტს, შარშანდელ ბიუჯეტზე.**

მთლიანი საფინანსო გეგმა, რომელიც სახალხო მეურნეობის საფინანსო დაბანდებათა ჯამს წარმოადგენს, შეიცავს 18 მილიარდ მანეთს. **სახალხო მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის მთელი ჯამი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით 34 მილიარდი მანეთი იქნება.** გასულ წელს სახალხო მეურნეობის შემოსავლის საერთო თანხიდან, რომელიც 30 მილიარდს უდრიდა, მხოლოდ 17 მილიარდი მანეთის მობილიზაცია შევძელით. აქედანვე 10 ნახევარი მილიარდი ხმარდება სახალხო მეურნეობას და 4 მილიარდზე მეტი კულტურულ- სოციალურ საჭიროებას. **მაშასადამე, მთელი სახსრების თითქმის 85 პროცენტი ხმარდება სახალხო მეურნეობას და კულტურულ- სოციალურ საჭიროებას.**

მართვა- გამგეობისა და ჩვენი ქვეყნის დაცვის ხარჯები, წარსულ წელთან შედარებით, შემცირებულ იქნა 14-დან 10 ნახევარ პროცენტამდე. ეს ახასიათებს ჩვენს საფინანსო პოლიტიკას.

# 1929—30 წლის სახ. ბიუჯეტი

### ამხ. კრუმინის მოხსენება

1929—30 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კრუმინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ **ხუთწლედის პირველ წელიწადს ბიუჯეტი სახელმწიფო შემოსავლის ყოველ ნაწილში წარმატებით იქნა შესრულებული. 1929—30 წელს ბიუჯეტი აკეთებს არაჩვეულებრივ ნახტომს —იზრდება 1.890 მილიონით და წარსული წლის საბიუჯეტო გეგმას აჭარბებს 3 ნახევარი მილიარდით.**

მეფის რუსეთს 45 წელიწადი დასჭირდა იმისათვის, რომ ბიუჯეტი სამი მილიარდით გაედიდებინა. **მიმდინარე წლის ბიუჯეტი აგებულია სახალხო სამეურნეო გეგმების საფუძველზე** და სავსებით შეთანხმებულია მათთან. 1929—30 წლის ბიუჯეტს სრული უფლებით შეიძლება ვუწოდოთ ინდუსტრიალიზაციის და კულტურული განვითარების ბიუჯეტი.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისთვის საჭიროა მთლიანად განხორციელდეს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება 11 პროცენტით. მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტიური დახმარების მნიშვნელობა სახელმწიფო სესხის რეალიზაციის საქმეში. (ადს)

# სოციალისტური მშენებლობა და კლასთა ბრძოლა კახეთის ოლქში

## კულაკები ცეცხლითა და მახვილით ღარიბ და საშუალო გლეხების წინააღმდეგ

## კულაკების თავდასხმა ვარდისუბნის კოლექტივზე

## დავრაზმოთ ღარიბი და საშუალო გლეხობა მედგარი შეტევისათვის სოციალისტური მშენებლობის მთელ ფრონტებზე

კოლმეურნეობათა მშენებლობა კახეთის ოლქში დღითი-დღე იზრდება. მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო გლეხობა მასიურად ერთიანდება კოლექტიურ მეურნეობებში.. კახეთის ოლქში თანდათანობით იშვიათი ხდება ისეთი სოფელი სადაც არ იყოს დაარსებული კოლექტიური მეურნეობანი. ბევრ სოფელში დაარსებულია 4—5 სამეურნეო კოლექტივი, ზოგან მთელი რაიონებიც გაერთიანებულნი არიან კოლექტიურ მეურნეობებში. უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობებს დღეს უკვე უმეტეს შემთხვევაში კი არ აარსებენ, არამედ კოლმეურნეობანი თავისით არსდებიან.

კოლმეურნეობათა კახეთის საოლქო კავშირის დაარსებამ (ა. წ. სექტემბრის თვიდან) უფრო მეტად შეუწყო ხელი კოლმეურნეობათა მშენებლობას ადგილებზე. ამჟამად კახეთის ოლქში არსებობს 228 კოლექტიური მეურნეობა: საშუალო კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებულია ოლქის მშრომელი მოსახლეობის 8,31 პროცენტი; ამ ორი თვის წინეთ კი ოლქში არსებობდა 190 კოლექტიური მეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანებული იყო ოლქის მშრომელი მოსახლეობის 4 პროცენტი. აქედან აშკარა ხდება, რომ კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული მოსახლეობის რიცხვი ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ერთი-ორად გაზრდილა, თუმცა კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი მხოლოდ რამდენიმე პროცენტით გადიდდა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ოლქში ჩქარის ტემპით მიმდინარეობს წვრილი კოლექტიურ მეურნეობების გამსხვილება. ასე მაგ., ს. ბოდბისხევის კოლექტივი ორი თვის წინად აერთიანებდა 9 გლეხურ მეურნეობას, ამჟამად კი იგი აერთიანებს 64 გლეხურ მეურნეობას, სოფ. ქვემო-კალოების კოლექტივი აერთიანებდა 14 მეურნეობას, ამჟამად კი აერთიანებს—120 მეურნეობას, სოფ. შილდის კოლექტივი 18 წევრის მაგიერ აერთიანებს 70 წევრს და სხვ. ეს ფაქტები გვიმტკიცებენ იმას, რომ ღარიბი და საშუალო გლეხობა მასიურად ერთიანდება. კოლექტივებში, უნდა აღინიშნოს, რომ გლეხობის საკმაო ნაწილი თვითონ აღიარებს წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილების აუცილებლობას. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა აფენის რაიონი.

### აფენის რაიონის მისაბაძი მაგალითი

ამ შემოდგომით აფენის რაიონის მთელი მოსახლეობის 80 პროცენტი გაერთიანდა კოლექტიურ მეურნეობებში; კოლექტივების გარეშე დღეს დარჩენილია მხოლოდ კულაკობა და რამოდენიმე ათეული საშუალო გლეხური მეურნეობა. აფენის რაიონის 26 სოფელს ჰყავს თავისი საკუთარი სატრაქტორო რაზმი —17 ტრაქტორით, გარდა ამისა, ამავე რაიონში ტრაქტორებთან ერთად მუშაობს 114 რკ. გუთანი; ნიადაგის მოხვნა სწარმოებს 17 ტრაქტორით და 114 გუთანით ერთად. ეს უდიდეს გავლენას ახდენს გლეხებზე. 16 ნოემბრისათვის ტრაქტორების მიერ მოხნულია ათასამდე ჰექტარი მიწის ფართობი და დაფარცხულია და დათესილი 800 ჰექტარი, ხვნა-თესვა გრძელდება.

**ილიკო და ისაკა შავხელაშვილები (ალვანის მეცხვარეთა კოლექტივის წევრები, მწყემსი-მოჯამაგირეები).**

— : —

### ქედის კომუნის მიღწევები

სოფ. ქედის კომუნა აერთიანებს 67 მეურნეობას. კომუნა მისდევს მემინდვრეობა-მესაქონლეობას. მას აქვს ხუთი ტრაქტორი, სხვადასხვა სამეურნეო მანქანა-იარაღები, ჰყავს 300-მდე ძროხა, 1.440 სული ცხვარი (მათ შორის ჯიშიანებიც); 1 ნოემბრისათვის კომუნამ მოხნა და დათესა 250 ჰექტარი მიწა, განზრახული კი აქვს შემოდგომის თესვის დროს 500 ჰექტ. მიწის მოხვნა და დათესვა. ამჟამად კომუნა თავისი საკუთარი საშუალებით აშენებს 40 ოთახიან შენობას. აგვისტო-სექტემბრის განმავლობაში ქედის კომუნამ ხელისუფლებას ჩააბარა 13 ათასი ფუთი პური; გარდა ამისა ქედის კომუნა დახმარებას უწევს ღარიბ კოლექტივებს პურით, აარსებს ახალ კოლმეურნეობებს და სხვ.; რაიონის მახლობელ სოფლის მოსახლეობის კრებებზე ხშირად დაინახავთ კომუნის ხელმძღვანელს კობა ჩოხელს, რომელიც ატარებს მოხსენება-საუბრებს კოლმეურნეობათა მნიშვნელობის შესახებ. ამ ერთი თვის წინეთ ქედის კომუნის ინიციატივით ალვანში ჩამოყალიბდა მწყემს-მოჯამაგირეთაგან მეცხვარეთა კოლექტივი.

რასაკვირველია ჩვენ ამით, სრულიადაც არ გვინდა ზურგი ვაქციოთ იმ დეფექტებს—რომელიც ახლავს კოლმეურნეობათა მშენებლობას კახეთის ოლქში; როგორიცაა არის: კულტურული მუშაობის მეტად სუსტად წარმოება კოლმეურნეობებში, არაა საკმაო ხელმძღვანელობა კოლექტივებზე, როგორც ცენტრის, ისე ადგილობრივ ორგანიზაციების მხრით, სასოფლო-სამეურნეო მანქანა- იარაღების სიმცირე, სუსტი აგროდახმარება, ზოგ კოლექტივებში ანტისაბჭოთა ელემენტების მოკალათება და სხვ.

აფენის სატრაქტორო რაზმი

**კოლექტივის წევრთა ჯგუფი კოლმეურნეობათა კახეთის საოლქო კავშირის თავმჯდომარე კ. გოგოლაშვილთან ერთად.**

— : —

### როგორ ხვდება კულაკობა კახეთში სოფლის კოლექტივიზაციას

კოლმეურნეობათა გაძლიერებული მშენებლობა კახეთის ოლქში და მშრომელი გლეხობის ახალ-ახალი მიღწევები სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ადგილობრივ კულაკობას და ანტისაბჭოთა ელემენტებს მოსვენებას უკარგავს. ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, კახეთის ოლქშიც კულაკობა წინააღმდეგობას უწევს კოლმეურნეობებს. კულაკობა კახეთში სისტემატიურ ფარულ და აშკარა ბრძოლას აწარმოებს კოლექტივებში გაერთიანებულ ღარიბი და საშუალო გლეხობის წინააღმდეგ. აი მაგალითები: სოფ. ბაკურციხის ახლად დაარსებული კოლექტივის მეურნეობაში კულაკებმა ამას წინეთ შერეკეს საქონელი და მთლიანად გაანადგურეს, სოფ. ახალშენის სასოფლო-სამეურნეო არტელს დაუწვეს თივები, სოფ. ვეჯინის არტელს „ნაპერწკალს" გაუკაფეს 860 ძირი ნამყენი ვაზი, მოჰკლეს სოფ. მუკუზანის კოლექტივის ხელმძღვანელი, სოფ. არაშენდის კოლექტივის ღარიბ წევრებს კულაკები აძლევდნენ პურს, რომ თავი დაენებებინათ მათ კოლექტივისათვის. ამ უკანასკნელ ხანებში კულაკებმა უკვე აშკარა ტერორს მიმართეს კოლექტივების წინააღმდეგ.

აი რას მოგვითხრობენ კოლექტივების წევრი გლეხები კულაკების თავგასულობის შესახებ.

—ვითვლები სოფ. შაბაინის კოლექტივ „მნათობის" ხელმძღვანელად—აცხადებს ამხ. **ჩეკურაშვილი.** ჩვენი კოლექტივი აერთიანებს 20-ე მეურნეობას, მივსდევთ მევენახეობა-მეღვინეობას; კოლექტივის ყველა წევრები ვმუშაობთ ერთგულად და მუყაითად, მაგრამ კულაკები არ გვასვენებენ. ამ ათიოდე დღის წინეთ კულაკებმა კოლექტივში შემოგვიგდეს უსახელო წერილი, რომლითაც წინადადებას გვაძლევენ, რომ თუ ორი კვირის განმავლობაში არ დავტოვებთ კოლექტივებში გაერთიანებულ მიწებს—კოლექტივს საყასბოდ გადავაქცევთო.

სოფ. ვარდისუბანში მომხდარ ამბების გამო, ამბობს ამხ. **მჭედლიშვილი,** მოვიწვიეთ 16 ნოემბერს ღარიბი და საშუალო გლეხობის და კოლექტივის წევრთა სამგლოვიარო კრება. კრებაზე დამსწრე ღარიბი გლეხები, გამოსთქვამდნენ რა მწუხარებას დაღუპულ ამხანაგების გამო, მოითხოვდნენ, რომ ხელისუფლებამ გადამჭრელი ზომები მიიღოს კულაკების წინააღმდეგ. კრებას თურმე დასწრებიან კულაკებიც. ისინი მოურიდებლად გამოვიდნენ და დაგვემუქრნენ, შემდეგი სიტყვებით,—კულაკებს თქვენც თან გამოგაყოლებთო.

აი რას სწერს ბაკურციხის კოლექტივი კოლმეურნეობათა კახეთის საოლქო კავშირს:—

—გაცნობებთ, რომ ბაკურციხეში მცხოვრები კულაკები და შეძლებული გლეხები არ გვასვენებენ და ხელს გვიშლიან ყოველდღიურ მუშაობაში. ისინი შეურაცყოფას აყენებენ კოლექტივის წევრებს და სიკვდილით ემუქრებიან. ა. წ. 10 ნოემბერს, საღ. 11 საათზე, კულაკებმა მოამწყვდიეს ჩვენი არტელის წევრი ალექსი ადუაშვილი, ამავე სოფლის მცხოვრებ ძმებმა ილიკო და დათა სამადაშვილებმა, რომელთაც სურდათ თავისი ბოროტი განზრახვის სისრულეში მოყვანა. გთხოვთ მიიღოთ საჭირო ზომები, რათა მოგვეცეს საშუალება ჩვენი საქმის გასაგრძელებლად.

რამოდენიმე თვეა—რაც ქედის კომუნის ხელმძღვანელობით, აღნიშნავენ ილიკო და ისაკი შავხელაშვილები,—მოჯამაგირე მწყემსებმა დავაარსეთ მეცხვარეთა კოლექტივი, ამჟამად გვყავს 500-ე ცხვარი, დანარჩენი ცხვრების მოცემას მთავრობა გვპირდება; ქედის კომუნა, გარდა იმისა, რომ მან ჩამოგვიყალიბა კოლექტივი, გვეხმარება პურით. ჩვენი კოლექტივი თავდაპირველად 27 წევრს აერთიანებდა, დღეს კი აერთიანებს მხოლოდ 20 წევრს. კოლექტივის წევრები შეგვიმცირდა იმიტომ, რომ კულაკებმა დაგვიწყეს ლაპარაკი: „თქვენი მთავრობა მალე გადატრიალდება და თქვენ, სათითაოდ ყელს გამოგჭრით. ზოგიერთი წევრი მართლა შეშინდა და თავი მიანება კოლექტივს; მაგრამ ჩვენ ვერ შეგვაშინებენ კულაკები, ჩვენ კოლექტივის მუშაობას ერთი-ათად გავაძლიერებთ და ჩავაბამთ კოლექტივში სხვა მოჯამაგირე მწყემსებსაც.

ყველა ეს ამბები წინ უსწრებდა იმ საშინელებას, რომელიც ჩაიდინეს კულაკებმა ვარდისუბნის კოლექტიური მეურნეობის მიმართ.

**შ. თუშიშვილი**
მოჰკლეს კულაკებმა

**შაქრო ჯაშიაშვილი**
მოჰკლეს კულაკებმა

— : —

### კულაკების თავდასხმა ვარდისუბნის კოლექტივზე

სოფ. ვარდისუბანი მდებარეობს ქ. თელავიდან ორი კილომეტრის მანძილზე დაშორებით. აქ, 1927 წელს კულაკების ინიციატივით დაარსდა სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელშიაც გაერთიანდა 29 მეურნეობა. კოლექტივის წევრთა უმრავლესობა შეადგენდნენ კულაკები. ამ კოლექტივის ხელმძღვანელობა ხელთ იგდეს კულაკებმა. 1928 წელს ღარიბებმა გამოაძევეს კულაკები და შეადგინეს ცალკე კოლექტიური მეურნეობა. კულაკები დაიშალნენ, ხოლო კოლექტივის წევრებმა—ღარიბმა გლეხებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი კოლექტივის მუშაობის გაუმჯობესებას. უკანასკნელად კოლექტივი აერთიანებდა 14 წევრს, უმთავრესად ახალგაზრდებს.

კოლექტივის ეკონომიურად მოღონიერება, უფრო კი მის მიერ მოპოვებული გავლენა მშრომელ გლეხობაში კულაკებს შურით ავსებდა. კოლექტივში მათ დაინახეს თავისი უძლიერესი კლასობრივი მტერი. კოლექტივსა და კულაკებს შორის წარმოებული ჩუმი ბრძოლა აშკარა ხასიათს ღებულობდა, მაგრამ ეს მდგომარეობა უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც კოლექტივმა თავისი სახსრებით და საშუალებებით მოაწყო ადგილობრივ საკუთარი საარაყე. ამავე დროს კულაკებმა და შეძლებულმა გლეხებმა ადგილობრივი მასწავლებლების ხელმძღვანელობით მოახერხეს ამავე სოფელში საბჭოდან ნებართვის აღება და გახსნეს კოლექტივის საარაყის მახლობლად თავიანთი საკუთარი საარაყე, რომელიც მალე ფინსახკომის არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების მიერ მიკეტილ იქნა.

ამ მოვლენამ საშინლად აღაშფოთა კულაკები და მათ თავიანთი საარაყის დახურვა დააბრალეს ადგილობრივ კოლექტივის წევრებს. 13 ნოემბერს, კოლექტივის წევრები თავიანთ საარაყეზე ჩვეულებრივად აწარმოებდნენ არაყის გამოხდას. საარაყეზე მორიგეობდა კოლექტივის ოთხი წევრი ამხ. **შ. თუშიშვილი, სერგო ჯაშიაშვილი, შაქრო ჯაშიაშვილი და არჩილ სოზაშვილი.** საარაყეზე იმყოფებოდა აგრეთვე ის გლეხი (არა კოლექტივის წევრი), რომლის ჰაჰაც იხდებოდა.

ნაშუაღამევისას, მუშაობისაგან დაქანცულ კოლექტივის წევრებს ცოტა წაისძინებოდათ, ხოლო ჰაჰის პატრონი გლეხი კი თვალყურს ადევნებდა არაყის გამოხდას. დაახლოებით პირველ საათზე, საარაყეზე მისულან უცნობი პირები, რომლებსაც თოფის ტყვიებით ამოუხოცავთ მძინარე ახალგაზრდები, ჰაჰის პატრონი გლეხი კი მსუბუქად დაჭრებულა. შემდეგ, ბოროტმოქმედებს დაუტვრევიათ არაყით სავსე ბოჭკები. დაღვრილ არაყით გაჩენილი ცეცხლი წაკიდებია ორი მოკლულის გვამს. ვინ გააქრო ცეცხლი არავინ იცის, კოლექტივის დანარჩენ წევრებს ეს ამბავი გაუგიათ მხოლოდ გათენებისას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კოლექტივის საარყე მოთავსებული ყოფილა სოფლის ცენტრში, რომლის ირგვლივაც დასახლებულნი არიან საშუალო და შეძლებული გლეხები და საკვირველია, რომ ამ უბედურების დროს გარეთ არავის გამოუხედავს. ეს ამბავი კახეთის ოლქის მშრომელ გლეხობას ელვის სისწრაფით მოედო. მშრომელი გლეხობა მეტად აღელვებულია კულაკების საზიზღარი მოქმედებით და მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ მიიღოს მკაცრი ზომები კულაკების წინააღმდეგ.

### ღარიბ გლეხთა პასუხი კულაკებს

17 ნოემბერს, ვარდისუბნის ღარიბი გლეხები: ამხ. სანდრო ფარეიშვილი, სანდრო კობაშვილი, გიორგი ქევხიშვილი, თ. ქურციკიშვილი, გიორგი ჯაშიაშვილი, მ. კობიაშვილი და შაქრო სოზაშვილი—კულაკების საპასუხოთ ჩაეწერნენ კოლექტივ „მტევანი"-ს წევრებად.

ალ. გედიაშვილი.

# კულაკების მსხვერპლთა დაკრძალვა

**თელავი,** 18 ნოემბერი. 17 ნოემბერს დაკრძალეს კოლექტივი „მტევნის" ოთხი წევრი, რომლებიც კულაკებმა დახოცეს.

პროცესიაში მონაწილეობა მიიღო 10.000 კაცზე მეტმა, მათ შორის, კახეთის ოლქის 200-ზე მეტი კოლექტივის წარმომადგენლებმა. ორატორები აღნიშნავდნენ ულმობელი ბრძოლის საჭიროებას შეტევაზე გადმოსულ კულაკებთან. მხეცური მკვლელობის საპასუხოთ ღარიბი და საშუალო გლეხები ასობით შედიან კოლექტივ „მტევან"-ში. კოლექტივ „მტევნის" წევრები ფიცსა სდებენ— განაგრძონ კოლექტივიზაციის საქმე, რომელიც დაღუპულებმა დაიწყეს.

გამოირკვა, რომ კულაკებმა მკვლელები მოისყიდეს. დაპატიმრებულია დაახლოებით 30 კაცი. გამოძიება სწარმოებს. საოლქო და სარაიონო (თელავის) აღმასკომებში კვლავ დეპეშები მოდის— მოითხოვენ ზომების მიღებას ბანდიტი მკვლელების აღმოსაჩენად და მათ დასასჯელად. (ადს)

# ამხ. ფ. მახარაძე კახეთში

**თელავი,** 18 ნოემბერი. 17 ნოემბერს თელავში ჩამოვიდა ამხ. ფ. მახარაძე, რომელიც იმავე დღეს გაემგზავრა ალაზნის არხზე იქ წარმოებული სამუშაოების გასაცნობად. (ადს).

# მემარჯვენე კაპიტულიანტები უნდა მოიხსნან ხელმძღვანელ თანამდებობიდან

რუსეთის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის პარტორგანიზაციები განაგრძობენ მემარჯვენე ოპორტუნისტების ფრაქციული მუშაობის ერთსულოვნად დაგმობას. ბრიანსკის საოლქო კომიტეტის პლენუმს საჭიროდ მიაჩნია, რომ სოციალისტური რეკონსტრუქციის გეგმის განსახორციელებლად ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღოს ოპოზიციის მიმართ აპრილის პლენუმის მიერ გათვალისწინებული ორგანიზაციული ზომები.

ციმბირის ფაბრიკებისა და ქარხნების უჯრედები მიღებულ რეზოლიუციებში საჭიროდ სთვლიან მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღებას და მათ მოხსნა ხელმძღვანელ თანამდებობებიდან.

როსტოვის გარნიზონის ნაწილების პარტიულმა კრებამ ერთსულოვნად დაჰგმო მემარჯვენე ოპორტუნისტების გამოსვლები, რომელნიც ანტილენინურ პოზიციებს დაადგნენ სოციალისტური მშენებლობის ძირითად საკითხებში.

„კრასნი პუტილოვეც"-ის ორგანიზაციის პარტკონფერენცია მხურვალე სალამს უძღვნის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს. ქარხნის კომუნარები აცხადებენ, რომ თავიანთი მიღწევებით ისინი ანადგურებენ მემარიგებლებსა და საბოლოოდ ასამარებენ ტროცკიზმის კონტრ - რევოლუციონურ ნაშთებს. (ადს)

# მემარჯვენე პროფესორის გამოსვლა

ვორონეჟის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულ და კომკავშირულ კრებაზე მემარჯვენე გადახრის იდეოლოგების დასაცავად გამოვიდა რექტორი **შაპოშნიკოვი.** თავის გამოსვლაში შაპოშნიკოვი ვითომ თავს ესხმოდა მემარჯვენეებს, მაგრამ იმავე დროს ამბობდა, რომ ბუხარინი არასოდეს არ ყოფილა მემარჯვენე. შეკითხვებზე შაპოშნიკოვმა პასუხი არ გასცა, აგრეთვე უარი განაცხადა გამიჯნოდა მემარჯვენე ფრაქციონერებს და ბუხარინის ოპორტუნისტულ თეორიას. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც გმობს შაპოშნიკოვის ორჭოფობას. (ადს)

# ხელფასის გაცემა ყოველ 10 დღეში

**მოსკოვი,** 17 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისია სახკომსაბჭოს უდგენს პროექტს იმის შესახებ, რომ 1930 წლის 1 იანვრიდან მუშებსა და მოსამსახურეებს ხელფასი მიეცეთ დეკადობით, ე. ი. ყოველ 10 დღეში. (ადს).

# თათბირი შავი ჭირის წინააღმდეგ

**ბაქო,** 18 ნოემბერი. ბაქოში გაიხსნა კავკასიის პირველი თათბირი შავი ჭირის წინააღმდეგ, რომელსაც ესწრებიან აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და ამიერ- კავკასიის რესპუბლიკათა საცდელი დაწესებულებების წარმომადგენლები, საოლქო ბეითლები და სხვები. თათბირზე მოისმინეს აზერბეიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების ვეტერინარულ სამმართველოთა მოხსენებები. (ადს)

# ამ.-კ. რკინის გზების თბილისის უბნის საწარმოო კონფერენცია

## მუშები ამოწმებენ განვლილ სამეურნეო წლის შედეგებს

კვირას, 17 ნოემბერს ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიხსნა ა.-კ. რკ. გზების თბილისის უბნის საწარმოო კონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: გზის გამგეობის მუშაობა 1927—28 წელში და პერსპექტივები და მოხსენება სოციალისტური შეჯიბრების და კოლხელშეკრულების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ.

პირველი საკითხი კონფერენციამ ამოსწურა პირველ ორ სხდომაზე.

როგორც გამოირკვა ინჟ. ბერიძის მოხსენებიდან, განვლილი საოპერაციო წელში ა.-კ. რკინის გზამ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ.

განვლილ სამეურნეო წელში, როგორც მომხსენებელმა განაცხადა, გზას მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა გადაზიდვის პროგრამის შესრულება. მიუხედავათ ამისა პროგრამა შესრულებულ იქნა გადაჭარბებით. ნაცვლად პროგრამით მოცემული 1.600 ვაგონისა, წლის განმავლობაში გადაზიდულ იქნა 1.727 ვაგონი ტვირთი. წინა სამეურნეო წელთან შედარებით ეს პროგრამა გადიდებულია 28 პროცენტით.

ამ შემთხვევაში აღსანიშნავი ის გარემოებაა, რომ მუშაობის ხარისხი გაუმჯობესდა. უკეთესად იყო გამოყენებული მოძრავი შემადგენლობა. გასულ წელში საბარგო ვაგონები დღეში აკეთებდნენ 11 კილომეტრით მეტს, ვინემ 1927—28 წელში. ასევე ითქმის ორთქლმავლებზედაც.

დიდი მნიშვნელობა აქვს რკინის გზების წარმატებით მუშაობისათვის მატარებლების ცხრილის მიხედვით მოძრაობას. ამ მხრივ ა.-კ. რკინის გზებზე მდგომარეობა ვერ ჩაითვლება სანუგეშოდ. ამას ხელს უშლის მთელი რიგი ადგილობრივი პირობები: ერთი ხაზი, გზის ცუდი პროფილი და სხვა, მაგრამ მიუხედავად ამისა მუშაობა საანგარიშო წელში მაინც დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. მატარებლების 63,7 პროცენტი ცხრილის მიხედვით მოძრაობდნენ. ზოგიერთ უბნებზე იყო მიღწეული უკეთესი შედეგებიც. ყველაზე უკეთესად ამ მხრივ ითვლება ქუთაისის უბანი, სადაც მატარებლების 88,3 პროცენტი წესიერად მოძრაობენ. ყველაზე ცუდად მუშაობს ბაქოს უბანი (33,3 პროც.). ეს აიხსნება გზის აგენტების დაბალი კვალიფიკაციით.

ეხლა გზებზე ტარდება მთელი რიგი ღონისძიებებისა: მეორე ხაზების დაგება, ახალ სადგურების გახსნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ გზის მუშაობის ამ მხარის კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

დიდი წარმატებები დაეტყო განვლილ საანგარიშო პერიოდში საორთქლმავლო და სავაგონო მეურნეობას. ამ მხრივ მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. ცენტრი ყოველთვის ამას უსაყვედურებდა ა.-კ. რკ. გზას, რომ მას არ შეუძლია ორთქლმავლების შეკეთება. ახლა ამ მხრივ დიდი ნაბიჯია გადადგმული წინ და ცენტრიდანაც ნაკლები საყვედურები ისმის.

მომხსენებელი შეეხო გზის ყველა დარგში ჩატარებულ მუშაობას და აღნიშნა თვალსაჩინო მიღწევები.

— : —

მოხსენების გარშემო გაიმართა ცოცხალი აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მუშები საქმიანი მიდგომით კრიტიკას ატარებდნენ გზის გამგეობის მუშაობას. ისინი აღიარებენ, რომ გზის მუშაობას გაუმჯობესება დაეტყო, რაც მდგომარეობს გზათა კომისარიატის მიერ მიცემულ პროგრამების შესრულებაში.

ამავე დროს მიუთითებენ ზოგიერთ მანკიერებებზე, რომლებიც ხელს უშლიან სატრანსპორტო მეურნეობას და რომელთა გამოსწორებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ეს არის უმთავრესად წარმოების უზრუნველყოფა მასალებით და მუშების კანონიერი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ოთხშაბათს 20 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო მეურნეობის მუშაკთა საქმიან კლუბში (რუსთაველის პრ. № 21)

შესდგება

**საქ. კომპარტიის (ბ) თბ. საოლქო კომიტეტის**
**მე-8 გაფართოებული პლენუმი**

საქ. კ. პ. (ბ) თბილ. საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი.

# კოლხელშეკრულებათა დადების კამპანია

## გადავაქციოთ მუშათა ფართო მასების სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმის საშუალებათ

## ხელშეკრულებების შესრულების შემოწმებამ გამოააშკარავა მათი დარღვევის მრავალი ფაქტი

## მთელ რიგ წარმოებებში ადმინისტრაცია 3-4 თვით აგვიანებს ხელფასის გაცემას

## ნაკლები ყურადღება ექცევა შრომის დაცვის საკითხებს

### შრომის ხელფასის მომატების საკითხი

(კოლექტიურ ხელშეკრულებათა მიმდინარე კამპანიისათვის)

მიმდინარე სამეურნეო წელში მრეწველობის წინაშე სდგას მთელი რიგი ფრიად რთული ამოცანები, რომელთა გადაჭრა დიდ მუშაობას მოითხოვს. საბჭოთა კავშირში მრეწველობაზე დაიხარჯება 8 მილიარდ მანეთზე მეტი, მაშინ, როცა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო ამ წლისათვის 2 ნახევ. მილიარდის გაღება. სამრეწველო პროდუქციის ზრდა, თუ გასულ 28—29 წელში უდრიდა 24 პროცენტს, მიმდინარე წელში, ის უნდა იქნეს საშუალოდ ყველა დარგებისათვის 32 პროცენტი. თვითღირებულების შემცირება გასულ წლისათვის ნავარაუდევი იყო საბჭოთა კავშირში საერთოდ 7 პროცენტით, საქართველოსათვის 8 პროცენტით (საქართველოში ეს დავალება შესრულებულია), მიმდინარე წლის საკონტროლო ციფრებით კი დასახულია თვითღირებულების შემცირება 11 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდა ნაცვლად გასული წლის 17—18 პროცენტისა, დასახულია 23 პროცენტით.

ნორმალური ზრდა მიმდინარე 29—30 წლისათვის საკონტროლო ციფრებით დასახულია 9 პროცენტით, რეალური ხელფასის კი 14 პროცენტით.

თუ სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება დასახულ რაოდენობით ვერ შევამცირეთ, ეს ხელს შეუშლის ნავარაუდევ კაპიტალურ დაბანდებათა გატარებას და ამასთან ერთად შეაფერხებს ხელფასის ზრდასაც, ასევე ითქმის შრომის ნაყოფიერების შესახებაც. ჩვენი ყურადღება იქითკენ უნდა იქნეს მიმართული, რომ ეს წონასწორობა არ იქნეს დარღვეული.

ხელფასის მომატების საკითხში მთავარი სიძნელე იქნება რეალური ხელფასის დასახულ რაოდენობით გაზრდა. გასულ 28—29 წელში რეალური ხელფასის ზრდის მხრივ ჩვენ ვერ მივიღეთ სასურველი შედეგები და დასახული გეგმა ვერ შევასრულეთ. მიმდინარე წლისათვის რეალური ხელფასის 14 პროც. გაზრდა ფრიად რთულ ამოცანას წარმოადგენს. რეალური ხელფასის ზრდა არ ტარდება მექანიკურათ, ის პირდაპირ არ არის დამოკიდებული კოლექტიურ ხელშეკრულებიდან და ამ საკითხის მთლიანად გადაჭრა კოლექტიურ ხელშეკრულებათა გადასინჯვის დროს ვერ მოხერხდება. იმ რეალური ხელფასის დასახული ზრდა (14 პროც.) შეიძლება მიღწეული იქნეს, ნომინალური ხელფასის 9 პროც. გაზრდით და დანარჩენი ნაწილი კი შეიძლება შესრულდეს მუშების სურსათით მომარაგების საშუალებით. ამ მხრივ საჭირო იქნება მთელი რიგი ღონისძიებების ჩატარება, რომ კოოპერაციამ ეს დავალება შეასრულოს. პროფესიონალური კავშირების და მუშათა საზოგადოებრიობის კოოპერაციის მუშაობაში უშუალო მონაწილეობას შეუძლია მოგვცეს გარდატეხა და უზრუნველჰყოს რეალური ხელფასის დასახული რაოდენობით გაზრდა.

სავაჭრო აპარატის რაციონალიზაცია, საცალო ფასების შემცირება, მუშათა რაიონების წინასწარ განსაზღვრული გეგმით სასურსათო მომარაგება; სასოფლო სამეურნეო პროდუქციის დამზადების საქმის გაუმჯობესება; ამ დარგში (მებაღჩეობა, მერძეობა და სხვ.) საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობა; კოოპერატიულ იაფ სასადილოების ქსელის შექმნა და სხვ.—აი მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები, რომელთა გადაჭრით მხოლოდ შეიძლება დასახულ რაოდენობით რეალურ ხელფასის გაზრდა. ადგილობრივათ ყველა ორგანიზაციები ახლავე უნდა შეუდგენ ამ საკითხების დამუშავებას. ზევიდან დირექტივების და დადგენილებების საშუალებით მათი გადაჭრა შეუძლებელია.

ნორმალური ხელფასის 9 პროცენტით ზრდა არ მოხდება მექანიკურად. ნაწილობრივად ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებების დადების დროს იქნება გატარებული მუშების ხელფასის მექანიკური მომატება, დანარჩენი ნაწილი კი—მთელი წლის განმავლობაში შრომის ნაყოფიერების გაზრდის საშუალებით (ნარდი მუშაობის დროს). რამოდენიმე წლის პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ წლის განმავლობაში ხელფასის თავისთავად ზრდა (შრომის ნაყოფიერების ზრდასთან დაკავშირებით) ფრიად საგრძნობია. გასულ წელში მთელ რიგ წარმოებებში მექანიკურად ხელფასის მომატება 3—4 პროცენტს არ აღემატებოდა, მაგრამ წლის განმავლობაში ხელფასი ნამდვილად გაიზარდა 10—12 პროცენტით.

1929—30 წელში ხელფასის მექანიკურ ზრდისათვის საბჭოთა კავშირის სამრეწველო დარგებისათვის გადადებულია 40 მილიონი მანეთი. საქართველოში ხელფასის მექანიკურ ზრდაზე დაახლოებით ნავარაუდევია 600 ათას მანეთამდე, როგორც რესპუბლიკანურ ისე ადგილობრივ მრეწველობისათვის.

უმთავრესად ხელფასის მექანიკური მომატება გატარდება მნიშვნელოვან საწარმოო დარგებში (მძიმე ინდუსტრია) და იქ, სადაც ხელფასის დონე შედარებით მცირეა. საქართველოში ხელფასის მომატება უმთავრესად გატარდება ჭიათურის შავი ქვის წარმოებებში, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში, აბრეშუმის ძაფის ამხვევ ქარხნებში, ჩაის მრეწველობაში, სამთო დარგის მრეწველობაში და სხვ. ხელფასის მომატების დროს უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, პირველ ყოვლისა, წარმოებებში ისეთი პირობების შექმნა, რომ მუშა დაინტერესებული იქნეს თავის კვალიფიკაციის აწევაში.

უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ ერთი და იმავე კვალიფიკაციის მუშას განსაზღვრულ რაიონში, ექნეს დაახლოვებით ერთნაირი ხელფასი, რომ ადგილი არ ექნეს კვალიფიციურ მუშების ხშირ გადასვლას სამუშაოდან სამუშაოზე.

დეფიციტიან კვალიფიკაციის მუშების ხელფასი უნდა იქნეს გადიდებული, რომ ამით შევქმნათ სტიმული ამ პროფესიის და კვალიფიკაციის შესწავლისათვის. ამჟამად ხშირია შემთხვევა, რომ მთელ რიგ კვალიფიკაციისათვის მომზადების სურვილი ბევრს არ აქვს, ვინაიდან მომზადებისათვის დახარჯულ ენერგიას არსებული ხელფასი არ ფარავს.

უნდა ჩატარებული იქნეს მუშაობა ნარდათ და არა ნარდათ მომუშავეთა ხელფასის გადაჭარბებული განსხვავების შემცირებისათვის. ეს შეიძლება მოხდეს უმთავრესათ ნორმების და შეფასებათა სწორ დაწესებით.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა მიმდინარე კამპანიის დროს უნდა დამთავრდეს სატარიფო რეფორმა (ახალი სატარიფო ცხრილები და საკვალიფიკაციო ცნობარები). ამისათვის საჭირო იქნება, ზოგიერთ შემთხვევაში ხელფასის მომატების დანიშნულ ფონდიდან განსაზღვრულ ნაწილის გადადება.

ხელფასის მექანიკურად მომატების ფონდების განსაზღვრა ხდება კავშირებისა და სამეურნეო ორგანოების შეთანხმებით. ადგილებზე არ უნდა იქნეს დაშვებული ამ შეთანხმებების დარღვევა და დასახულ ფონდების შეცვლა, არც მოკლებისა და არც მომატების მხრივ. წინააღმდეგ შემთხვევაში გეგმიანობა დაირღვევა და მთელ რიგ უარყოფით შედეგებს მივიღებთ.

გამომუშავების ნორმების და შეფასებათა გადასინჯვა უშუალოდ კოლექტიურ ხელშეკრულებასთან არ იქნება დაკავშირებული. ხელშეკრულებებში უნდა იქნეს აღნიშნული მხოლოდ მათი გადასინჯვის საერთო პრინციპები. დეტალურად გადასინჯვის საკითხი უნდა გადაიჭრას კოლექტ. ხელშეკრულებათა დადების შემდეგ კავშირისა და სამეურნეო ორგანოების ცალკე წერილობით შეთანხმების საშუალებით. მიმდინარე წელში ნორმების გადასინჯვის საკითხს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენში ჯერ კიდევ ეს საკითხი ვერ დგას სათანადო დონეზე (ხრონომეტრაჟის სწორი გატარება და სხვ.). სერიოზული მუშაობის ჩატარებით, არაკამპანიის სახით, არამედ მთელი წლის განმავლობაში უნდა მოხდეს ნორმების გადასინჯვა, იქ, სადაც ეს საჭიროა. ისე რომ უზრუნველყოფილ იქნეს გეგმით დასახული შრომის ნაყოფიერების 23 პროცენტით გაზრდა.

ს. გ.

### კოლხელშეკრულებათა შესრულების შემოწმების შედეგები

#### როგორ მიმდინარეობს კოლხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება

საქართველოს პროფსაბჭო კოლხელშეკრულებათა შესრულების შემოწმების კამპანიას შეუდგა საკავშირო პროფსაბჭოს და ს.მ.უ.ს. დირექტივის გამოქვეყნებისთანავე. დირექტივის თანახმად შემოწმება უნდა დამთავრებულიყო ოქტომბერში, მაგრამ პროფკავშირებმა რამდენიმედ დაიგვიანეს, რადგან ამავე პერიოდში ტარდებოდა სამეურნეო-პოლიტიკურ ხელშეკრულებების შესრულების შემოწმება და ახალი ხელშეკრულებების დადება, რამაც მიიპყრო საკავშირო ორგანიზაციების და პროფაქტივის მთელი ყურადღება.

ამჟამად ინტენსიური მუშაობა სწარმოებს როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. მსხვილ წარმოებებში მუშაობა უკვე მთლიანად დამთავრებულია, დანარჩენებში კი დამთავრებული იქნება 20 ნოემბრისათვის.

შემოწმების ჩატარება მინდობილი ჰქონდა მუშათა ბრიგადებს, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებების შესრულებას იკვლევდნენ.

შემოწმების შედეგად მიღებულ მასალებს იხილავდნენ მუშების საერთო კრებებზე. მუშაობა ყველაზე უფრო კარგად არის ჩატარებული სამთამადნო მუშების, მელითონეების და მბეჭდავთა კავშირში, ხოლო ყველაზე უფრო სუსტად განათლების, მეტყევეთა და სახალხო კვების მუშაკთა კავშირებში; სახალხო კვების მუშაკთა კავშირი მხოლოდ ეხლა შეუდგა მუშაობას.

ჩატარებული კამპანიის ძირითადი ნაკლია შემოწმების ცალმხრივობა, სახელდობრ — მუშათა ბრიგადები არკვევდნენ მხოლოდ ხელშეკრულებების დარღვევას ადმინისტრაციის მიერ, იმას კი ყურადღება არ ექცეოდა, თუ რამდენად სრულდებოდა ვალდებულებები მუშების მხრიდან (შრომის დისციპლინა, შინაგანი წესრიგის წესების დარღვევა და სხვა), თუმცა ხელშეკრულების დარღვევის ასეთი შემთხვევები სწრაფად მცირდება სოც. შეჯიბრების ხელშეკრულებათა განხორციელების შედეგად.

#### სად ირღვეოდა კოლხელშეკრულებები

ადმინისტრაციის მიერ ხელშეკრულებების დარღვევის შემთხვევების დიდი უმეტესობა მოდის შრომის დაცვის დარგზე. ეს დარღვევა გამოიხატება შემდეგში: სპეცტანსაცმლის დროზე არ მიცემა და, ამ ტანსაცმელის ცუდი ხარისხი, სანიტარულ-ჰიგიენურ ღონისძიებების გაუტარებლობა, საჭირო ვენტილიაციის არ მოწყობა, მუშების საცხოვრებელი ბინების მოუწყობლობა და სხვ.

ხელშეკრულებების დარღვევის ასეთი შემთხვევები აღნიშნულია მელითონეთა, გემო-კვების მუშაკთა, ფეიქართა, მემაღაროეთა, მბეჭდავთა, ხეზე მომუშავეთა და საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირებში.

ხელშეკრულებების მეორე სერიოზული დარღვევაა ხელფასის დროზე არ მიცემა. მიუხედავათ მთელ რიგ კატეგორიულ დირექტივებისა, ზოგიერთ წარმოებებში დღემდე ადგილი აქვს ხელფასის სისტემატიურად დაგვიანებას. ასეთი დარღვევის შემთხვევები აღმოჩენილი იქნა ტყიბულში, სატყეო ტრესტში, მუხრანის საბჭოთა მეურნეობაში და საკურორტო სამმართველოს წარმოებებში, სადაც ხელფასს აგვიანდება 3—4 თვე; ხელფასის გაცემას სისტემატიურად აგვიანდება აგრეთვე მაზრების სკოლებში, ხელფასის რამდენიმე დღით დაგვიანების შემთხვევებს ადგილი აქვს ბორჯომის გაზის და ტკეჩების ქარხანაში, მარელისის ფაბრიკაში, პოლიგრაფტრესტის წარმოებებში, განსახკომში, განათლების განყოფილებაში და თბილისის აღმასკომში.

ხელშეკრულებების სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს აგრეთვე გამომუშავების ნორმების და განაკვეთების დაწესება ადმინისტრაციის მიერ; ეს ნორმები და განაკვეთები ცხოვრებაში ტარდება მათი შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მიერ დაუმტკიცებლად. ასეთი შემთხვევები აღმოჩენილია ჭიათურის მარგანეცის ტრესტში და ტყიბულში.

დიდ წარმოებებში დღემდე ხშირად აქვს ადგილი სავალდებულო წესების დარღვევას მუშა-მოსამსახურეების მიღება - დათხოვნის დროს. ასე, მაგალითად, ითხოვენ კავშირის წევრებს, როცა არის იმავე კვალიფიკაციის არა კავშირის წევრებიც, არ იცავენ მარტოხელა ქალების დათხოვნის შესახებ არსებულ წესებს, სამუშაოზე მიღება სწარმოებს შრომის ბირჟის გარეშე და სხვა. ასეთი შემთხვევები აღნიშნულია ჭიათურის მარგანეცის ტრესტში, სამთოქიმტრესტში, აბრეშუმის ტრესტში, აგურის ქარხნებში, სააღმშენებლო მასალების ტრესტში, „ზაკტპო“-ში, იუსტიციის კომისარიატში, სოცუზრუნველყოფის კომისარიატში, შინსახკომში, განსახკომში, თბილისის განათლების განყოფილებაში და სხვ.

არის აგრეთვე ხელშეკრულებების დარღვევის შემთხვევები მოწაფეობის საკითხის მოწესრიგების დარგში.

#### ღონისძიებები ახალი ხელშეკრულებების დასადებად

ძველი კოლხელშეკრულებების შესრულების შემოწმებასთან ერთად, საქართველოს პროფსაბჭო და კავშირები აწარმოებენ მუშაობას ახალი ხელშეკრულებების დასადებად. უკვე ყველა კავშირების ხაზით დაწყებულია მუშაობა ხელფასის ფონდების გამოსარკვევად. სმკუ. საბჭოს, თბილისის აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების, „ზაკავტოპრომტორგ“-ის წარმოებებში, სამკ. მეურნეობის ტრესტში, სახკინმრეწვში და „საქართველოს ჩაი“-ში უკვე დაყოფილია ფონდი ხელფასის გასადიდებლად; ეს ფონდი გამოიხატება 630.000 მანეთში, აქედან ს.მ.უ.ს. წარმოებებზე მოდის 465.000 მანეთი.

რეალური ხელფასის გადიდების უზრუნველსაყოფად კოოპერატიულ ორგანიზაციებთან იდება სპეციალური შეთანხმება მთელ რიგ ისეთი ღონისძიებების გასატარებლად, რომლებიც ხელს შეუწყობენ სურსათ-სანოვაგის და პირველი მოთხოვნილების საგნების ფასების შემცირებას. ამასთანავე პროფკავშირებიც თავის მხრივ კისრულობენ მთელ რიგ ვალდებულებებს, როგორიცაა, მაგალითად, განსაზღვრული რაოდენობის ახალი წევრების ჩაბმა კოოპერაციაში, საპაიო გადასახადების აკრეფისათვის ხელის შეწყობა და სხვ.

ამასთან ერთად საქართველოს პროფსაბჭო ამჟამად აწარმოებს კოლხელშეკ. პუნქტების გადასინჯვას, რათა გამორიცხული იქნეს ხელშეკრულებებიდან ყველა ისეთი მუხლები, რომლებიც მოიპოვება კანონმდებლობაში, და შეტანილი იქნეს მათში ახალი პუნქტები წარმოების განუწყვეტელ მუშაობაზე გადაყენებასთან შეფარდებით.

### კოლხელშეკრულების შესრულება რკ. გზაზე

ამჟამად ა.-კ. რკინის გზებზე ტარდება კოლექტიურ ხელშეკრულების შესრულების შემოწმება. გზის მეურნეობის ყოველ დარგში გამოყოფილია მუშათა შემმოწმებელი ბრიგადები, რომლებიც აწარმოებენ ხელშეკრულებების პირობების შესრულების შემოწმებას. ისეთ დიდ საწარმოო ერთეულებში, როგორიცაა სტალინის სახელობის ქარხანა—თბილისში, მთავარი სახელოსნოები—ბაქოში და სხვა, მუშათა ბრიგადები ჩამოყალიბებულია ცეხებში.

წარმოებებში და დარგებში შექმნილია აგრეთვე დროებითი საკონტროლო კომისიები, რომელთაც ბრიგადები აწვდიან შემოწმების მასალებს და თავის მხრივ აჯამებენ, ამუშავებენ და გამოაქვთ საბოლოო დასკვნები.

შემოწმებიდან ირკვევა, რომ ადმინისტრაცია არ ასრულებს კოლხელშეკრულების მთელ რიგ მუხლებს.

არის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაცია ხსნის მუშებს სამუშაოდან პროფორგანიზაციასთან შეუთანხმებლად. ადგილი აქვს სპეცტანსაცმელის თავის დროზე არ მიცემას. არ აძლევენ მუშებს საგზაო ფულს ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანის დროს. სამუშაოს შეფასება ხდება მუშისათვის მისი დაკვეთის დროს, რაც აგრეთვე დარღვევაა ხელშეკრულების, რადგან იქ ნათქვამია, რომ სამუშაოს შეფასება უნდა მოხდეს მისი შესრულების შემდეგ.

ირკვევა აგრეთვე პირობების დარღვევა ზედმეტ საათებში მუშაობის შესახებ, სამუშაოს საათის მიხედვით დამატებით შეღავათების მიცემის მხრივ და სხვა.

ბრიგადები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე მუშების დასვენების საკითხს. ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ მუშას, რომელმაც მოიხადა სასჯელი, და გამართლდა და ამის გამო სამსახურში გაცდენა ექვს თვეზე მეტი, კომპენსაცია ეძლევა მხოლოდ ექვსი თვის. მუშები კმაყოფილნი არ არიან ამ პუნქტით და მოითხოვენ ახალ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას, რათა გამართლებულ მუშას მიეცეს კომპენსაცია მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მან გააცდინა, სასჯელის მოხდის გამო. გარდა ამისა, მუშათა ბრიგადებს ხელშეკრულებაში შეაქვთ მთელი რიგი სხვა ახალი შესწორებებისა.

გარდა მუშათა ბრიგადებისა გზის ცალკე უბნებზე შექმნილია საუბნო ბრიგადები, რომელთა წევრები მიმაგრებული არიან წარმოება-დაწესებულებებზე და ხელმძღვანელობენ მუშათა ბრიგადებს.

ბრიგადების მუშაობის დამთავრების შემდეგ ჩატარებული იქნება კოლხელშეკრულების პოლიტიკური მნიშვნელობის განმარტება. ამის შემდეგ მოხდება ახალი კოლხელშეკრულების პროექტის განხილვა სპეციალურად მოწვეულ საერთო კრებებზე.

მიღებულ ხელშეკრულებას განიხილავს საუბნო კომიტეტი, საგზაო კომიტეტი და ამგვარად დამუშავებით იგი გადაეცემა რკინისგზელთა ცეკას.

ა. ქ.

### როგორ მიმდინარეობს შემოწმება

პროფკავშირების ცენტრალური გამგეობის და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების თათბირმა განიხილა საკითხი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის და კოლხელშეკრულებათა შემოწმების შედეგებზე.

თათბირზე პირველად მოსმენილ იქნა ამხ. უსტიაშვილის საინფორმაციო მოხსენება. მან აღნიშნა, რომ რკ. გზებზე სოც. შეჯიბრების მსვლელობა და კოლხელშეკრულების შესრულების შემოწმება მიმდინარეობს ფართო მასების მონაწილეობით. შემმოწმებელ ბრიგადებს უშუალო კავშირი აქვთ მუშებთან. იყო შემთხვევა, როდესაც მუშაობის შეუმოწმებელ ბრიგადებს დაუწყიათ ახალ ხელშეკრულებათა დადება; ეს ნაკლი დროზე იქნა გამოსწორებული. ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანია უნდა ჩატარდეს ორმხრივ ვალდებულებათა საფუძველზე, ე. ი. ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელია როგორც ადმინისტრაცია, ისე საქარხნო კომიტეტიც.

გემოკვების კავშირის ცენტრალური გამგეობის წარმომადგენელმა ამხ. ივანოვმა აღნიშნა, რომ დავალება სოც. შეჯიბრების და კოლექტიურ ხელშეკრულებათა შემოწმების შესახებ 15 ოქტომბრამდე, ხოლო ახალ ხელშეკრულებათა დადების კამპანიის დამთავრება 4 ნოემბრამდე ვერ იქნა შესრულებული. დღემდე კავშირი აწარმოებდა მუშაობას მხოლოდ ხელშეკრულებათა შესამოწმებლად; საერთოდ სოც. შეჯიბრების მიმდინარეობის შემოწმებამ გამოარკვია, რომ თამბაქოს ქარხნებში საკმაოდ გადიდდა პროდუქციის თვითღირებულება, განმტკიცდა შრომის დისციპლინა და აგრეთვე გადიდდა შრომის ნაყოფიერება.

მელითონეთა კავშირის წარმომადგენელმა ამხ. ფერიაშვილმა აღნიშნა, რომ მელითონეთა კავშირმა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების და შრომის ნაყოფიერების გადიდების ციფრების გამორკვევა ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო. ადმინისტრაციას ეს ცნობები ჯერ კიდევ არა აქვს დამზადებული. საერთოდ ქარხნებში მუშათა ბრიგადები აქტიურად მუშაობენ.

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის წარმომადგენელის სიტყვით ტრამვაის ადმინისტრაციამ 100 პროცენტით შეასრულა კოლექტიური ხელშეკრულება.

მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ სოციალისტურ შეჯიბრებას არ უწევდნენ საკმაო ხელმძღვანელობას, ადმინისტრაცია არ ღებულობს მონაწილეობას სოციალისტურ შეჯიბრებაში, მათ სოც. შეჯიბრება მხოლოდ პარტიულ და პროფორგანოების საქმედ მიაჩნიათ, ზოგიერთი ადმინისტრაცია უხეშად არღვევდა კოლხელშეკრულებას და სხ.

დასასრულ თათბირმა მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი სოციალისტური შეჯიბრების და ახალ კოლხელშეკრულებათა დადების ირგვლივ.

### კოლხელშეკრულება არ სრულდება

(თბილისის წყალსადენი)

წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, რომელსაც დაესწრო მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა კოლხელშეკრულების შესრულების შემოწმების შესახებ მოხსენებით გამოვიდა წყალსადენის დირექტორი ამხ. თავდგირიძე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ადმინისტრაცია ყოველ ღონისძიებას ხმარობდა კოლხელშეკრულების შესასრულებლად.

მუშათა შემმოწმებელ ბრიგადის თავმჯდომარემ ამხ. უმიკაშვილმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებაში შეტანილი იყო მუხლი, რომლის ძალითაც ადმინისტრაციას უნდა გაეგზავნა ინჟენერ-ტეხნიკოსთა ერთ-ერთი წევრი მოსკოვში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მაგრამ ადმინისტრაცია მხოლოდ ეხლა გზავნის შრომის კანონმდებლობის თანახმად, მუშას შაბათი დღის ორი საათის ხელფასი ეძლევა საშუალო რაოდენობით. ადმინისტრაციას ამისათვის არ მიუქცევია ყურადღება.

ხელშეკრულების განხილვამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი. კამათში მუშების გარდა მონაწ. მიიღო კავშირის წარმომადგენელმა ამხ. ცაბაძემ, რომელმაც აღნიშნა კავშირის ცენტრ. გამგეობის ძველი შემადგენლობის შეცდომა წყლის ფულის ხელშეკრულებაში შეუტანლობის გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ კავშირის ხელმძღვანელობა ამ დარგში კარგი იყო. კრებას კავშირის გამგეობის სრული შემადგენლობა დაესწრო და მხურვალე მონაწილეობა მიიღო ხელშეკრულების განხილვაში.

კომკავშირელი.

# საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის პლენუმი

პირველი [illegible]

გუშინწინ, საღამოს 7 საათზე, ხელოვნების სასახლეში გაიხსნა საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის. პლენუმი. პლენუმი გახსნა ამხ. ს. თოდრიამ. პლენუმმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1) პროლეტარულ მწერალთა ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში, 2) კინოს საკითხები, 3) ქართული პროლეტარული პროზა, 4) პროლეტარული მწერლობის ახალი კადრების შესახებ და 5) თანამედროვე ოსეთის მწერლობა.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბ. ბუაჩიძე.

## პროლეტარულ მწერალთა ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში

(ამხ. ბ. ბუაჩიძის მოხსენება)

დღევანდელი პერიოდი ხასიათდება სოციალისტური შეტევით კაპიტალისტურ ელემენტებზე როგორც ქალაქად, ისე სოფლად. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის წინაშე დღეს დასმულია უდიდესი ამოცანა: მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნა სოციალისტურ საფუძვლებზე, ახალი სოციალისტური აღმშენებლობა—მძიმე ინდუსტრიის განვითარება სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია. ამ ღონისძიებებში კლასობრივი მტერი ხედავს თავის დასამარებას და ამიტომ გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევს, გადმოდის კონტრ-იერიშებზე, ჰკლავს საზოგადოებრივ მუშაკებს, ცეცხლს უკიდებს კოლექტივების ძნას და სხვ.

ისეთივე რეკონსტრუქცია, როგორიც სახალხო მეურნეობაში, უნდა მოხდეს იდეოლოგიაშიც, კერძოდ მხატვრულ მწერლობაში. მწერლობის ბურჟუაზიული ფრთა, რომელიც ანტი-პროლეტარული იდეოლოგიის გამომხატველია, ცხადია წინააღმდეგობას გაუწევს და უწევს კიდევაც მათ, ვინც იერიშს მიიტანს მათზე. მწერლობის ბურჟუაზიული ფრთის წინააღმდეგ იერიში უნდა მიიტანოს პროლეტარულმა მწერლობამ. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ დღეს ლიტერატურულ ფრონტზე?

მდგომარეობას მომხსენებელი შემდეგნაირად ასურათებს: პროლეტარულ მწერლობისა და მათ „თანამგზავრების“ ზრდასთან ერთად აქტივობას იჩენს მემარჯვენე მწერლობაც. ეს აქტივიზაცია უნდა გავიგოთ ისე, რომ მათ გაამწვავეს ბრძოლა, სცდილობენ თავისი კლასობრივი პოზიციების გამაგრებას; ამ პოზიციების გამაგრებისათვის ისინი ხშირად ძალიან დიდს მოხერხებას და სიფრთხილეს იჩენენ. მაგალითისათვის შეიძლება აკადემიურ მწერალთა ასოციაციის დასახელება. ეს მწერლები კარჩაკეტილი არიან რა თავის ორგანიზაციაში, ამ „ლაბარატორიაში“ თავის საქმეებს აჩახრაკებენ. მათი პრაქტიკული საქმიანობა გამოიხატება „ქართული წიგნი“-ს გამომცემლობაში (რომელიც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვეობას), ბეჭდავენ აბაშელს, დადიანს, გამსახურდიას და კლასიკოსებს და მათი გამოცემის ზურგს უკან მალავენ თავის ნამდვილ ფიზიონომიას. რაც შეეხება თანამგზავრებს, ჩვენ ისინი უნდა დავიახლოვოთ. მაგრამ ამავე დროს სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს ყალბ „თანამგზავრებს“.

აღსანიშნავია რომ საბჭოთა მწერლების ფედერაციაშიაც გაერთიანებული არიან ისეთი მწერლები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო საბჭოთა მკითხველთან. საბჭოთა მწერალი აქ გაგებულია გეოგრაფიულად. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ფედერაციაში შემავალმა წევრმა იკისროს პასუხისმგებლობა „საბჭოთა მწერლის“ სახელისათვის და ამიტომ უნდა გამოვიყვანოთ სათანადო ორგანიზაციული დასკვნაც. რომ ამ მხრივ საბჭოთა მწერალთა ფედერაცია დაუშვებელ დაუდევრობას იჩენს, სჩანს იმ ფაქტიდანაც, რომ ამ ორგანიზაციის სიიდან დღემდე ამოშლილი არ არის, თუმცა წვრილფეხა, მაგრამ მაინც მწერალი—სტეფანე ქასრაძე, რომელიც საზღვარგარეთ გავიდა და ემიგრანტულ პრესაში თანამშრომლობს. ეს ხდება იმ დროს, როცა პილნიაკი და ზამიატინი ორგანიზაციიდან გარიცხეს იმის გამო, რომ საზღვარგარეთ გააგზავნეს თავიანთ ნაწერი.

თანამგზავრთა რიცხვში მოიპოვებიან ისეთი მწერლებიც, რომლებსაც სურთ პროლეტარიატთან თანამშრომლობა, მაგრამ ჯერ ვერ მიუღწევიათ აქამდე. ერთ-ერთმა ასეთმა მწერალმა თქვა: „ორშაბათს გავიღვიძე და ორშაბათი არ იყოო“. განუწყვეტელი საწარმოვო კვირის შემოღებამ ის გააოცა. მიუხედავად თავისი სურვილისა, ასეთი მწერლები ფეხდაფეხ ვერ მისდევენ დღევანდელ ცხოვრებას და პროლეტარული მწერლობა უნდა შეეცადოს დაიახლოვოს ისინი. ასეთი ტენდენცია ემჩნევა მაგ. ქიაჩელს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ გზაშია შეჩერებული. ბევრს მათგანს ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ, მაგ. გორგაძე, ცეცხლაძე, გვეტაძე და სხვ. სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს „მემარცხენე“ ტენდენციებს, რომლებიც საკმაოდ ვერ აფასებენ თანამგზავრობის როლს.

ეხლა პროლეტარულ მწერლობაზე: თუ მერყეობას აქვს ადგილი მემარჯვენე მწერალთა ბანაკში, ამგვარი მოვლენებიდან არც პროლეტარულ მწერალთა ნაწილია თავისუფალი. ეს არც საკვირველია, რადგან პროლეტარული მწერლობა ჯერ განვითარების პროცესშია და იგი არ შეიძლება დაცული იქნეს გადახრებისაგან. ზოგიერთ პროლეტ. მწერალზე გარკვეულ გავლენას ახდენს წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგია. ამხ. ვაკელის უკანასკნელი წიგნი ამის მაჩვენებელია. ამ წიგნში ვაკელი ოცნებობს ქალის ყურ-ბალიშად გადაქცევაზე, ნიშნავს ფანტასტიურ „პაემანს“ და სხვ. ჩვენს პროლეტმწერალთა წრეში ადგილი აქვს ნაციონალისტურ, მეშჩანურ, წვრილ-ბურჟუაზიულ-ანარქისტულ გადახრებსაც, ზოგჯერ ესტეტიზმით გატაცებას იდეოლოგიის დავიწყების ხარჯზე (მაგ. კალაძე). პოლუმორდვინოვმა თავის „რკინის ძმებში“ შეიტანა ისეთი პორნოგრაფია, რომლითაც შეიძლება კონკურენცია [illegible].

წვრილ-ბურჟუაზიულ მწერალთა ამ ხერხით ზოგიერთს პროლეტარულ მწერალს უნდა მკითხველის ყურადღების მიპყრობა, რაც დაუშვებელ მეთოდად უნდა ჩავთვალოთ. როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ გადახრებს? ზოგიერთ მემარცხენე მწერალს მიზანშეწონილად მიაჩნია ასეთი ამხანაგების გარიცხვა ორგანიზაციიდან, რაც სწორი არაა. გადახრა არაა დასრულებული რამ, რის გამოსწორებაც არ შეიძლება, ამიტომ „წაქცეულს კი არ უნდა ურტყათ“, არამედ შევეცადოთ მის აყენებას. მაშასადამე ჩვენს ერთად-ერთ სწორ ღონისძიებად ჩაითვლება აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობის წარმოება. ჩვენ უნდა მივუთითოთ იმ ამხანაგებს, რომ ისინი სცდებიან და დავაყენოთ სწორ გზაზე. პროლეტარული მწერლობა თვალსაჩინოდ გაიზარდა, რის მაჩვენებელიცაა, თუ გინდ ის ფაქტები, რომ გაიზარდა ამ მწერლობის ნაწარმოებთა მკითხველების კადრი, გაიზარდა ჟურნალის და წიგნების ტირაჟი, იგი (მწერლობა) სცდილობს და ხშირად აყენებს სადღეისო აქტუალურ საკითხებს, პროლეტმწერლობა შეიჭრა დრამატურგიაშიც და სხვ., მაგრამ ამ მიღწევებმა ჩვენ არ უნდა დაგვაკმაყოფილოს. რეკონსტრუქტიულ პერიოდთან დაკავშირებით და შეფარდებით პროლეტმწერლობამ უნდა შეითვისოს ახალი ამოცანები, დააკმაყოფილოს მუშა-მკითხველის გაზრდილი მოთხოვნილებები, აღზარდოს მეშჩანური იდეოლოგიისაგან განთავისუფლებული და პროლეტარული იდეოლოგიით შეიარაღებული ახალი მკითხველი. ახალი მკითხველი ითხოვს არა მარტო თანამედროვე სინამდვილის მხატვრულად გადმოცემას, არამედ მომავალი გზის, იმ პერსპექტივის განათებასაც, რომელიც რეალობად უნდა გადაიქცეს. მკითხველს უნდა მხატვრულად შესრულებული გაზეთი, ამიტომ პროლეტარულმა მწერლებმა უნდა ითანამშრომლონ ჩვენ ყოველდღიურ გაზეთშიც, პროლეტარული ნაკადი შეიტანონ თეატრში და კინოშიაც. ჩვენში არის ჯანსაღი ტენდენცია, რომ პროლეტარული მწერლები გადავისროლოთ ქარხნებში და კოლმეურნეობებში. საჭიროა ამ ლოზუნგის განხორციელება, რადგანაც მწერლები საკმაოდ კარგად არ იცნობენ იმ აღმშენებლობას, რომელიც დღეს ვითარდება. ამასთანავე სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი სწავლას, რომ ამით უფრო გაგვიადვილდეს ჩვენი მისიის შესრულება. უფრო უნდა გაძლიერდეს მარქსისტული კრიტიკა ლიტერატურაში. სათანადო ხელმძღვანელობა უნდა გაეწიოს პროვინციაში მყოფ ამხანაგებსაც.

## კ ა მ ა თ ი

გუშინდელ დილის სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. ბუაჩიძის მოხსენების გარშემო. კამათში გამოსული ორატორები იზიარებდნენ მომხსენებლის დებულებებს. ყველა ორატორი გამოსთქვამდა თავის აღშფოთებას „საბჭოთა მწერლების ფედერაციის“ მიმართ, რომელმაც თავის წევრთა სიიდან არ ამოშალა საზღვარგარეთელი ბურჟუაზიული პრესის თანამშრომელი ქასრაძე. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პროვინციალური განყოფილებების წარმომადგენლები უსაყვედურებდნენ ცენტრალურ გამგეობას, რომ იგი სათანადო ხელმძღვანელობას არ უწევს თავის ქვედა ორგანიზაციებს, რის გამო უკანასკნელები შეცდომებს უშვებენ. ეხებოდნენ რა პროლეტარულ მწერლობის როლს რეკონსტრუქციის პერიოდში, ორატორები აღნიშნავდნენ, რომ პროლეტარულ მწერლობას კიდევ საკმაოდ ვერ მოუხერხებია დღევანდელი ცხოვრების ასახვა, რაც მიეწერება იმას, რომ ეს მწერლობა საკმაოდ ახლოს არ სდგას და არ იცნობს ჩვენს მშენებლობას ქალაქად და სოფლად. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მათ მიზანშეწონილად მიაჩნდათ პროლეტმწერალთა გადასროლა წარმოებებში და სოფლად კოლმეურნეობებში.

## საქ. სახკომსაბჭოში

### ქიმიზაციის კომიტეტი

სახკომსაბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტი დამტკიცებულია შემდეგი სახით: ინჟ. ბ. ჭიჭინაძე (სმუს), პროფ. პისარჟევსკის (განსახკომი), ხაჭაპურიძე (შინსახკომი), ინჟ. ე. ალშიბაია (საგეგმო კომისია), ფრანგულიანი (ჯანსახკომი), პროფ. რობენშერგი, პროფ. მოსეშვილი, პროფ. ნიკოლაძე, პროფ. ქუთათელაძე, პროფ. ზავრიევი, პროფ. პისარჟევსკი (განსახკომი), ხაჭაპურიძე ჯანდიერი, პროფ. თვალჭრელიძე, პროფ. წულუკიძე, დოცენტი შალამბერიძე, ქიმიკოსი ნიკოლაძე, ინჟ. ქართველიშვილი, ინჟ. კაკაბაძე, ქიმიკოსი ფილატოვი, ბურჯანაძე, ბერიძე, ქიმიკოსი გოცირიძე და ქიმიკოსი კუპცისი.

### დასასვენებელი სახლების აგება კურორტ შამშოვში

საქართველოს კურორტთა მთავარ სამმართველოს გადაეცა 10.000 მანეთი კურორტ შამშოვში დასასვენებელი სახლის ასაგებად.

### სასაკლაოების ექსპლოატაცია

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო დაარსდეს სააქციო საზოგადოება სასაკლაოებისა და სასაკლაო დაწესებულებათა ექსპლოატაციისათვის.

### თევზის ექსპლოატაცია

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო დაარსდეს სააქციო საზოგადოება საქართველოს თევზის სიმდიდრეთა საექსპლოატაციოდ.

## ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი

### საკონტროლო ციფრი დაფარულია 12 პროცენტის გადაჭარბებით

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, 10 ნოემბრისთვის საქართველოში გასაღებული იყო ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის 13.445.950 მანეთის ობლიგაცია; რაც შეადგენს საკონტროლო ციფრის 112,04%. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ უკანასკნელი ათი დღის (1-ლიდან 10 ნოემბრამდე) რეალიზაციის შესახებ კომისარიატს გუშინ ცნობები მიღებული არ ჰქონდა ახალ-ქალაქის, ახალციხის და სენაკის მაზრებიდან, აჭარისტანიდან, სამხრეთ-ოსეთიდან და გორის ოლქიდან. ცხადია ამ რაიონებთან ერთად რეალიზაციის თანხა გაცილებით მეტი იქნება.

მიღებულ ცნობების მიხედვით, რეალიზაციის კამპანიაში პირველი ადგილი უკავია კოლექტიურ სექტორს. 10 ნოემბრისთვის ამ სექტორში (მუშა-მოსამსახურეთა შორის) გასაღებული იყო 12.030.790 მანეთის ობლიგაცია და ამ სექტორის საკონტროლო ციფრი (9.150.000 მან.) **დაფარულია 81,48 პროცენტის გადაჭარბებით.**

კერძო სექტორში გასაღებული იყო 411.080 მან. ობლიგაცია, რაც შეადგენს ამ სექტორის საკონტროლო ციფრის 91,35%.

საგრძნობლად გამოსწორდა რეალიზაციის საქმე გლეხებს შორისაც. 10 ნოემბრისთვის გლეხებს შორის (იმ რაოდენობის გამოკლებით, საიდანაც ცნობები არ მოსულა) გასაღებული იყო 1.344.185 მანეთის ობლიგაცია, რაც შეადგენს ამ სექტორის საკონტროლო ციფრის 56 პროცენტზე მეტს.

### სესხის გავრცელება რკინისგზელთა შორის

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გასაღებას ამ.-კავკასიის რკინისგზელები ფართოდ გამოეხმაურენ. გზისათვის მიცემული საკონტროლო ციფრი 3.276.655 მანეთის რაოდენობით დაფარულ იქნა სავსებით ჯერ კიდევ ოქტომბერში.

რესპუბლიკების მიხედვით სესხზე ხელმოწერილი თანხა შემდეგნაირად ნაწილდება: საქართველოში—2.116.875 მანეთი. აზერბეიჯანში—781.230 მან. და სომხეთში—378.550 მანეთი; კერძოდ თბილისში ხელისმოწერა რკინისგზელთა შორის გამოიხატება 1.295.440 მანეთში.

აღსანიშნავია, რომ სესხის რეალიზაცია ადგილებზე ვერ სწარმოებდა ისე წარმატებით, როგორც ცენტრებში. ადგილებზე სესხის გამსაღებელ კომისიების მუშაობა მოისუსტებს. განსაკუთრებით სუსტად მიმდინარეობს მუშაობა სეზონურ მუშებსა და რკინის გზის მახლობლად მცხოვრებ გლეხებს შორის სესხის გასასაღებლად.

აღსანიშნავია ის, რომ სესხის გასაღება ძალიან სუსტად მიმდინარეობს რკინის გზის სეზონურ და დროებით მუშა-მოსამსახურეთა შორის.

კომისიების მუშაობა ამ მიმართულებით სწარმოებს მეტად სუსტად; ამის გამო მათ მიცემული აქვს დირექტივა მთავარი ყურადღება მიაქციონ ამ კატეგორიის რკინისგზელთა შორის მუშაობის გამოცოცხლებას.

# კულტურული მშენებლობა ეროვნულ უმცირესობათა შორის

(მომავალი თათბირისათვის)

> „გაძლიერებულ იქნას კულტურული და, კერძოდ, სასკოლო მშენებლობა ეროვნულ რაიონებში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს უფრო ჩამორჩენილ რაიონებს“.
>
> (პარტიის მე-15 ყრილობის რეზოლიუციიდან)

რამდენიმე წელიწადია უკვე ვლაპარაკობთ უთანაბრობაზე სახალხო მეურნეობასა და კულტურას შორის, ვლაპარაკობთ იმაზე, რომ კულტურული მშენებლობის ტემპი თვალსაჩინოდ ჩამორჩება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის და ინდუსტრიალიზაციის ამოცანებს, სოციალისტური მეურნეობისათვის საჭირო კადრების მომზადების ამოცანებს, მაზრების, ოლქების, რაიონების ეკონომიურ მოთხოვნილებებს, კულტურული რევოლიუციის ამოცანებს, იმ ამოცანებს, რომ კულტურულად ჩამორჩენილი ეროვნებანი უფრო მალე დაეწიონ უფრო განვითარებული ერის პროლეტარულ კულტურას, ჩამორჩება სამეცნიერო ტეხნიკისა და პედაგოგიური აზროვნების უახლოეს მიღწევებს, აგრეთვე მარქსისტულ - ლენინურ (ინტერნაციონალურ) პრინციპებზე აღზრდილ ახალი ადამიანის გამომუშავების ამოცანებს.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენ დღემდე ვერ მოვახდინეთ გარდატეხა იმ შტაბის მუშაობაში, რომელიც კულტურულ რევოლიუციას ახორციელებს—ვერ მოვახდინეთ გარდატეხა განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობაში.

ქალაქისა და სოფლის სოციალისტური ზრდის ტემპი უშუალოდ დამოკიდებულია კულტურული ძალების ფართო კადრების შექმნაზე. იმ ტემპის პირობებში, რომელიც აღებული აქვს განათლების სახალხო კომისარიატს კულტურულად უფრო ჩამორჩენილ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ, კულტურული ფრონტი შეაფერხებს სოციალისტური მშენებლობის ტემპს ეროვნულ უმცირესობათა მაზრებსა და ოლქებში. მართალია, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უდიდესი მიღწევები გვაქვს ეროვნულ უმცირესობათა სახალხო განათლების საქმეში, მაგრამ ამ წერილში ჩვენ განზრახული გვაქვს შევეხოთ კულტურული ფრონტის მხოლოდ დეფექტებს, ამავე დროს მხედველობაში გვექნება ის მემკვიდრეობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო.

საქართველო წარმოადგენს მრავალერიან ქვეყანას, სადაც მოსახლეობის საერთო რიცხვი უდრის 2.645.000-ს (უცხოეთის ქვეშევრდომთა გამოკლებით), აქედან კომპაქტურად მცხოვრებია 20-მდე სხვადასხვა ეროვნება, რომელნიც ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად მოსახლეობის 34,9 პროცენტს შეადგენენ. ეს ეროვნებანი ეკონომიური, კულტურული, ენობრივი და ყოფა-ცხოვრებითი მდგომარეობის სხვადასხვა საფეხურებზე დგანან, რასაც ვერ ვხედავთ საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა რესპუბლიკებში. რელიგიისა და ყოფა-ცხოვრების მხრივ ეროვნულ უმცირესობებში ვხედავთ რელიგიურ რწმენათა და დახავსებული ყოფა-ცხოვრების ნაშთების მეტის მეტ სიჭრელეს.

ამას უნდა დავძინოთ ისიც, რომ ჯერ კიდევ საგრძნობლად დარჩენილია წარსულის (ცარიზმის დროისა და მენშევიკების ბატონობის) მძიმე მემკვიდრეობა — დიდი განსხვავება ეროვნულ უმრავლესობასა და ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ დონეს შორის.

მაშინ, როდესაც წერა-კითხვის ცოდნა ქართველებს შორის (ოზურგეთის მაზაში) აღწევს 70 პროცენტს, გერმანელებს შორის 99,8 პროცენტს, რუსებს შორის 77,1 პროცენტს, სომხებს შორის 46,2 პროცენტს, ოსებს შორის იგი არ აღემატება 14,4 პროცენტს, აფხაზებს შორის 12,7 პროცენტს, თურქებს შორის 4,3 პროცენტს და ქურთებსა, ასირიელებსა, ბერძნებსა, ლეკებსა, ინგუშებსა, თარაქამებსა და სხვათა შორის 1-2 პროცენტს. აქ წერა-კითხვის ცოდნის პროცენტი აღებულია მთელ მოსახლეობაზე — როგორც ქალაქის, ისე სოფლის,—ხოლო თუ ავიღებთ მარტო სოფლის მოსახლეობას და, განსაკუთრებით, ეროვნულ უმცირესობათა შორის წერა - კითხვის უცოდინარობის პროცენტი მეტად დიდ ციფრებს მიაღწევს. აქედან ცხადია, რომ ეს პირობები ძალზე ართულებენ და აძნელებენ კულტურულ მუშაობას მათ შორის. იგივე პირობები გვიკარნახებენ უაღრესად სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ეროვნულ უმცირესობათა შორის სახალხო განათლების საკითხებს.

ეროვნული პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში მუდამ მიმართული იყო იქითკენ, რომ კულტურულად გაძლიერებულიყვნენ და განვითარებულიყვნენ უფრო ჩამორჩენილი ეროვნული უმცირესობანი. და მართლაც, კულტურულ - საგანმანათლებლო ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ეროვნულ უმცირესობათა მაზრებში სამ წელიწადში (1925-26 — 1928-29) 45,7-დან 193,6 პროცენტამდე გაიზარდა.

მაგრამ ასეთი ტემპის შენარჩუნებაც კი საკმაო არ არის იმისათვის, რომ შენელებულ იქნას ის განსხვავება, რომელიც არსებობს კულტურულ რაიონებსა და ეროვნულ უმცირესობათა რაიონებს შორის.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში არსებობდა 1.572 სკოლა, რომლებშიაც სწავლობდა 131.880 მოწაფე, 1927-28 წელს იყო უკვე 2.477 სკოლა, 269.796 მოწაფით. მასწავლებელთა რიცხვი უდრიდა—4.262-ს, გახდა 10.229, ხოლო ეროვნულ უმცირესობათა შორის 1927-28 წელს ყველა ტიპის სკოლების რიცხვი მხოლოდ 759-ს შეადგენდა.

თუმცა სასკოლო ქსელი ძალიან იზრდება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ზრდა თანაბრად არ მიმდინარეობს და ზოგიერთ რაიონში იგი ჩამორჩება ეროვნული მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნილებებს.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება — პროპორცია ეროვნულ უმცირესობათა სკოლების პირველ და მეორე საფეხურებს შორის შეადგენს 1:90. სოციალური აღზრდის სკოლებსა და ინტერნაციონალური ათწლედის გარდა ითვლება პროფგანათლების ხუთი სკოლა (სომხური და თურქული პედაგოგიური ტექნიკუმები, ჰიდრო - ტექნიკური ტექნიკუმი, სომხური და რუსული მუშფაკები). გარდა ამისა, ავტონომიურ ოლქებში არსებობს თითო პედაგოგიური ტეხნიკუმი.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა 22,8 პროცენტს ეროვნულ უმცირესობებიდან გამოსული სტუდენტები შეადგენენ, მაგრამ ძალიან ცოტაა სტუდენტობა ჩამორჩენილ ეროვნულ უმცირესობებიდან. არსებული სასკოლო ქსელი ეროვნულ უმცირესობათა მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს: საქართველოში სასკოლო ქსელი აკმაყოფილებს სასკოლო ასაკის ბავშვთა მხოლოდ 47 პროცენტს, ქართველების ჩათვლითაც, ხოლო თუ ავიღებთ ცნობებს ცალკე ეროვნებებსა და ცალკე მაზრებზე, კულტურულად ჩამორჩენილ მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით თურქების, აჭარლების, ბერძების, ქურთების, რუსების (დუხობორები და მოლოკანები), ასირიელების, ყაზახელი თათრებისა და ლეკებისათვის, მეტად ცუდ შედეგებს მივიღებთ. ახალციხის მაზრაში სასკოლო ქსელი თურქთა ბავშვების მხოლოდ 16,1 პროცენტს აკმაყოფილებს.

სასკოლო ქსელის შემდგომ განვითარებას და განმტკიცებას აბრკოლებენ შემდეგი მიზეზები: პედაგოგიური პერსონალის დიდი ნაკლებობა და მასწავლებელთა აკადემიურად და სოციალურად არადამაკმაყოფილებელი შემადგენლობა ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში.

თურქებსა და ოსებში მასწავლებელთა უმრავლესობა შინაური და დაბალი განათლებისაა; კომუნისტური ფენა მათ შორის უმნიშვნელოა. მხოლოდ სამხრეთ - ოსეთში მასწავლებელთა უმრავლესობას კომკავშირელები შეადგენენ. მრავალი სიძნელე სწავლების სისტემაში (კომპლექსური მეთოდი), 3 ენის სწავლება პირველი საფეხურის სკოლაში, სახელმძღვანელოებისა და ხელსაწყოების ნაკლებობა, ბიბლიოთეკების ნაკლებობა და მათი ცუდი ხარისხი, ფიზიკური კაბინეტების, მოწყობილობის და საჭირო ინვენტარის ნაკლებობა, სასკოლო შენობების სავალალო მდგომარეობა, სკოლებთან პრაქტიკული მუშაობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების უქონლობა (ხოლო სადაც ასეთი ნაკვეთებია, მათ რატომღაც კერძო პირებს აძლევენ იჯარით), მეცადინეობის ცვლა სასკოლო შენობების უქონლობის გამო — ყოველივე ეს საშინლად აფერხებს მუშაობას.

ძალიან საგრძნობია მასწავლებელ ქალთა ნაკლებობა ეროვნულ უმცირესობათა ქალებისათვის ( თურქი, ქურთი, აჭარელი, ასირიელი, ბერძენი ქალებისათვის). აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა სკოლების არასრულკომპლექტიანობა, განსაკუთრებით სამხრეთ-ოსეთში (ორწლედები), პედაგოგიურ ტეხნიკუმებთან პრაქტიკუმების უქონლობა. ბევრ ადგილას სკოლები მოთავსებულია ბოსლებში (სამხრეთ - ოსეთი), ეკლესიებში და მღვდლების სახლებში (აფხაზეთი), მიწურებში (ბორჩალო და ახალციხე) და ეკლესიების გალავნებში.

პედაგოგიურ პერსონალში ძალიან დიდია დაბალი და შინაური განათლების მქონეთა პროცენტი: ზოგიერთი მასწავლებელი ოთხ არითმეტიკულ მოქმედებაშიაც კი ძლივს ერკვევა და სხვ.

პედაგოგიური პერსონალის მომზადება და გადამზადება სწარმოებს სუსტად, უგეგმოდ და ეროვნულ უმცირესობათა მოთხოვნილებების აღურიცხავად.

სომხური და ბერძნული (აფხაზეთი) და გერმანული (ბორჩალო) სკოლები მოსახლეობის ხარჯზე ინახება, ამიტომ სკოლის ცხოვრებაზე დიდი გავლენა აქვს მოსახლეობის შეძლებულ ფენას. საქმე იქამდე მიდის, რომ სკოლებში ბელადების სურათებთან ერთად შეძლებულთა სურათებსაც ჰკიდებენ (აფხაზეთი, სოფ. ანდრეევსკო) და ანტირელიგიურ თემებზე სწავლებას ჰკრძალავენ.

საკითხი ეროვნულ უმცირესობათა შორის სასკოლო მშენებლობის შესახებ პირველ რიგში უნდა გადაიჭრას. ბევრ ადგილას დღემდე არ არის გამოყოფილი სასკოლო მშენებლობის ფონდი. გლეხების თვითდაბეგვრა სასკოლო მშენებლობისათვის ჯერ კიდევ არ ატარებს კლასობრივ ხასიათს. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ბავშვების მიღების დროს კლასობრივი მიდგომა სუსტად არის დაცული. საექიმო მეთვალყურეობის უქონლობის გამო ჩვენი სკოლა ხშირად ავადმყოფობათა (ტრახომა, სიქაჩლე, ეგზემა, ქეცი და სხვ.) კერას წარმოადგენს. სკოლებში მუშათა და მოჯამაგირეთა შვილების არასაკმაოდ ჩაბმა და სკოლებიდან მათი გამოსვლა შეიძლება აიხსნას პირველ ყოვლისა ღარიბთა ფონდის უქონლობით, აგრეთვე იმით, რომ მათ არ ეძლევათ სახელმძღვანელოები, ცხელი საუზმე, ფეხსაცმელი, ტანისამოსი და მიმოსვლის საშუალებანი. ყოველივე ეს გათვალისწინებულ უნდა იქნას ხუთწლიან გეგმაში საყოველთაო სავალდებულო სწავლასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით მძიმე და სტაბილურ მდგომარეობაშია ეროვნულ უმცირესობათა შორის სკოლამდელ აღზრდა ქსელის ზრდის მხრივ. საერთოდ მთელი სასკოლო ქსელი ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში საჭიროებს გადასინჯვას ისეთი ტიპის სკოლების გავრცელების მიზნით, რომელნიც რაიონის ეკონომიურ მოთხოვნილებებს უნდა შეეფერებოდნენ.

როგორც ვიცით, კულტურული რევოლიუციის ერთ-ერთი ფაქტორია ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, ამიტომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს. თუმცა ეროვნულ უმცირესობათა ზოგიერთ რაიონში იზრდება ხარჯები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, მაგრამ ეს მაინც საკმაო არ არის იმისათვის, რომ ახლო მომავალში აღმოიფხვრას წერა-კითხვის ის ანბანური უცოდინარობა, რომელიც გაბატონებულია ეროვნულ უმცირესობათა უმრავლესობაში.

არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. მიზეზები: ბინების, სამკითხველოების მუშაკთა და კლუბების ხელმძღვანელთა ნაკლებობა ეროვნულ უმცირესობათა შორის, მასიური ხელმისაწვდომი და პოპულიარული ლიტერატურის უქონლობა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე, კინო-სურათების უქონლობა ეროვნულ უმცირესობათა ცხოვრებიდან და წარწერებით ეროვნულ უმცირესობათა ენებზე. რადიო-დადგმულობათა სიმცირე. ბევრ ადგილას ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატები ხმაჩაკმედილ აპარატებად გადაიქცნენ, აგრეთვე სუსტია რადიო-გადაცემა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე.

მხატვრული მუშაობის სფეროში ეროვნულ უმცირესობებს თბილისში ემსახურება ორი სახელმწიფო დრამა: თურქული და სომხური. მიმდინარე სეზონიდან ეს თეატრები გადავიდნენ რევოლიუციონური თარგმნილი პიესების დადგმაზე და მუშათა კლუბებისათვის სამსახურის გაწევაზე, რასაც წინად ადგილი არ ჰქონია.

დაიწყო თეატრის აგება ავლაბარში. თბილისში არსებობს ხელოვნების სახლი სომხებისათვის—„ჰაიარტუნი“; „ჰაიარტუნის“ მუშაობა უმთავრესად სექციებში მიმდინარეობს. ძირითადი სექცია ოთხია: სალიტერატურო, სამხატვრო, დრამატიული და მუსიკალური. აქვე შექმნილია სომეხ-ზოკების სექცია. დროა ვიფიქროთ იმაზეც, რომ აღმოსავლეთის და დასავლეთის ხალხებისათვის გაიხსნას კულტურის სახლები, რომლებშიაც უნდა გაერთიანდეს ეროვნულ უმცირესობათა შორის წარმოებული მთელი კულტურული მუშაობა.

თბილისში არსებობს მუშათა თეატრი და მოზარდ მაყურებელთა თეატრები, რომლებსაც აქვთ სამი სექტორი: რუსული, სომხური და თურქული. ეს სექტორები სუბსიდიას ღებულობენ თბილისის პოლიტგანისაგან.

ეროვნულ უმცირესობათა ენებზე თბილისში გამოდის 6 გაზეთი 85.000 ცალის ტირაჟით და 4 ჟურნალი, აქედან 2 საბავშო—7.000 ცალის ტირაჟით. ეროვნულ უმცირესობათა ენებზე სახელმძღვანელოებისა და სხვა ლიტერატურის გამოცემის მხრივ საქმე მეტად ცუდ მდგომარეობაშია. გამოცემული ლიტერატურა როგორც ენით, ისე შინაარსით მცირედ შეეფერება ეროვნული უმცირესობების მშრომელთა მოთხოვნილებებს. მისი ნაწილი იდეოლოგიურად სრულიად გაუმართავია (ემუხვარის „არალეგალური მუშაობის ტრაგედია“ და ბააზოვის „დელამარ“).

მუშგლეხკორთა მოძრაობა ეროვნულ უმცირესობებს შორის სწრაფად ვითარდება, მაგრამ ჯეროვანი ხელმძღვანელობა მათ მიმართ პარტიული ორგანოებისა და რედაქციების მხრივ ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი.

როგორია ის ღონისძიებანი, რომლებიც უნდა მივიღოთ მომავალში?

1) უახლოეს წლებში უნდა მოხდეს ეროვნულ უმცირესობათა ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლების სრული გაეროვნება.

2) ეროვნულ უმცირესობათა შორის სკოლებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების (სამკითხველოების, ბიბლიოთეკების, თეატრების, კინოების, კლუბების, რადიოს) ზრდის უფრო სწრაფი ტემპის უზრუნველსაყოფად და წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე ცოდნის ლიკვიდაციის მიზნით განათლების სახალხო კომისარიატის ბიუჯეტში უნდა მოხდეს სახსრების გადანაწილება იმ ანგარიშით, რომ ამ სახსრების წილი ეროვნულ უმცირესობათა რაიონებისათვის უფრო სწრაფად იზრდებოდეს, ვიდრე საქართველოს მოწინავე რაიონებისათვის.

3) უნდა დაიწყოს მუშაობა პედაგოგიური პერსონალის გეგმაშეწონილად მომზადებისა და გადამზადებისათვის ეროვნულ უმცირესობათა მშრომელი ფენებიდან, ამ უკანასკნელთა მოთხოვნილებების აღრიცხვით.

4) ვინაიდან სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის ზრდის ეხლანდელი ტემპი სრულებით არ არის საკმაო, ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავე ორგანიზაციებმა შემდეგში უნდა აიღონ მტკიცე კურსი ხსენებულ დაწესებულებათა უფრო სწრაფი ზრდისაკენ, ამასთან ანგარიშში უნდა გაუწიონ სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობათა რაიონებისა და ეროვნული უმცირესობების ეკონომიურ, სოციალურ, ენობრივ და საყოფაცხოვრებო თავისებურობებს (ოთხწლედების, შვიდწლედებისა და ათწლედების ქსელის სათანადო ნორმებამდე აყვანა, პედაგოგიურ ტეხნიკუმებისა და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მშენებლობა, სამკითხველოების, კლუბების და ეროვნულ უმცირესობათა ქალების კუთხეების მშენებლობა) და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელის (საბავშო ბაღების, მოედნების, სახლების) განვითარებას.

სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობითი ზრდის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათი მუშაობის ხარისხს, როგორც პროგრამულ-მეთოდიური ხასიათისა და მუშაობის შინაარსის მხრივ, ისე საჭირო ინვენტარით, სასწავლო ხელსაწყოებით და მოწყობილობით უზრუნველყოფის მხრივ.

5) ეროვნულ უმცირესობებისათვის უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის მუშაკების მომზადების მიზნით, განსაკუთრებით უნდა გაეწიოს ანგარიში მათ მოთხოვნილებებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლების, მუშფაკებისა და სპეციალური ტეხნიკუმების შევსების დროს, აგრეთვე საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში გასაგზავნად მუშაკების შერჩევის დროს, რისთვისაც უნდა გამოიყოს განსაკუთრებული სასტიპენდიო ფონდი.

6) ყველა გამომცემლობებმა (სახელგამმა, „შრომამ“, ცეკავშირის გამომცემლობამ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ეროვნულ უმცირესობათა მოთხოვნილებებს შესაფერი ლიტერატურის, სახელმძღვანელოების, სასწავლო ხელსაწყოების გამოცემას. აგრეთვე გაძლიერებულ უნდა იქნას საქართველოს გამომცემლობათა კავშირი სომხეთის, აზერბეიჯანის და სხვა რესპუბლიკების სახელმწიფო გამომცემლობებთან (ეროვნულ უმცირესობათა ლიტერატურაზე შეკვეთების თავის დროზე მიცემა) იმ მიზნით, რომ თავის დროზე მიიღონ მათგან საჭირო ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და სასწავლო ხელსაწყოები ეროვნულ უმცირესობათა სკოლებისათვის მისაწოდებლად.

7) ვინაიდან სასკოლო შენობები საშინლად მძიმე მდგომარეობაშია, ხოლო ზოგან სასკოლო შენობები სრულებითაც არ მოიპოვება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასკოლო მშენებლობას ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში, როგორც საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ასიგნებათა გადიდებით, ისე ადგილობრივ ბიუჯეტში სასკოლო მშენებლობის ფონდის სისტემატიური ზრდით და ამ საქმეში თვით მოსახლეობის სახსრების ფართოდ მოზიდვით.

8) განათლების სახალხო კომისარიატის პროგრამებში უნდა გაძლიერდეს ეროვნულ უმცირესობათა მშრომელი მასების ანტი-რელიგიური და ინტერნაციონალური აღზრდის ელემენტები, სახალხო განათლების ხუთწლიან გეგმაში შეტანილ უნდა იქნას პუნქტი ეროვნულ უმცირესობათა საყოველთაო სავალდებულო სწავლის შესახებ მომავალი წლიდან, აგრეთვე უნდა მოხდეს განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობის დიფერენციაცია ცალკე ეროვნებების მიხედვით.

9) დასასრულ, საჭიროა, რომ ეროვნულ უმცირესობათა რაიონებმა გამოაცხადონ ერთმანეთს შორის სოციალისტური შეჯიბრება ეროვნულ უმცირესობათა მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებაზე იმ მიზნით, რომ ეროვნული უმცირესობანი რაც შეიძლება მალე ჩაებან ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

ვ. პიტოევი.

## სას.-სამ. კოოპერაციის რეორგანიზაცია

„სოფლის კავშირი“ შეუდგა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაციას. ამ მიზნით „სოფლის კავშირი“-ს გამგეობის წევრები და პასუხისმგებელი მუშაკები გაემგზავრენ რაიონებში, სადაც მათი ხელმძღვანელობით ჩატარდება ადგილობრივი მუშაკების ფართო თათბირები რეორგანიზაციის საკითხებზე და ცალკე მაზრებსა და ოლქებში დაარსდება რეორგანიზაციის ხელმძღვანელი კომისიები. „სოფლის კავშირი“-ს შედგენილი აქვს რეორგანიზაციის კალენდარული გეგმა, რომლის მიხედვითაც მერძეობა-მესაქონლეობის ძირითად კოოპერატიული ქსელის და რესპუბლიკანური კავშირის ჩამოყალიბება უნდა დამთავრდეს ა.-წ. 5 დეკემბრისათვის, მეხილეობა-მებოსტნეობის ქსელისა და რესპუბლიკანური კავშირის ჩამოყალიბება—5 იანვრისათვის, „საქართველოს ღვინო“-ს სისტემის—15 მარტისათვის, მეფრინველეობის ქსელისა და კავშირის—20 მარტისათვის და მემინდვრეობის ქსელისა და რესპუბლიკანური კავშირის—1 აპრილისათვის.

ამჟამად არსდება ძირითადი ამხანაგობები რაიონებში. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ამხანაგობები უკვე დაარსებულია მესაქონლეობის დარგში გარე-კახეთში, საგარეჯოში, კაკაბეთში, მალხაზოვკაში, მანავში, გომბორში, ზემო-მაჩხაანში, ქვემო-მაჩხაანში, არბოშიკში და მირზაანში. გარდა ამისა ძირითადი ამხანაგობები ჩამოყალიბებულია სანდარის რაიონის 7 სოფელში.

რაიონული კავშირების დასაარსებლად მოწვეულია ყრილობები: ბაშკიჩეთში (17 შემდგა), წალკაში—21 ნოემბერს, საგარეჯოში—22 ნოემბერს, მირზაანში—24 ნოემბერს და სხვ.

## შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომრის ინსპექციის ფურცელში მოთავსებული იყო კორესპონდენცია სათაურით — „კეთილ-მოყვრების დაწინაურება“. კორესპონდენციის ავტორი „მტვირთველი“ აღნიშნავს, თითქოს ყოფ. შორაპნის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. ნიორაძე აწინაურებდა თავის ნათესავებს და ახლობლებს.

აღნიშნული შინაარსისვე კორესპონდენცია მოთავსებული იყო გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“, რის გამოც მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა საქმის ვითარების დაწვრილებით გამოკვლევა. კომისიამ ყოველმხრივ განიხილა ამხ. ნიორაძის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებანი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არც ერთი ბრალდება სინამდვილეს არ შეეფერება. ამასთანავე გამოირკვა, რომ კორესპონდენცია აგებულია პირად ანგარიშზე.

ჩვენ გაზეთში ამ მასალის გამოქვეყნება არის სრულიად შემთხვევითი სამწუხარო გაუგებრობის შედეგი.

რედაქცია.

---

20 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში
გაიხსნება
**სრულიად საქართველოს პარტიული თათბირი**
**ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის შესახებ**
საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპგანყოფილება.

---

დღეს, 19 ნოემბერს, საღ. 6 საათზე თბილისის მუშათა უნივერსიტეტის კლუბში (კამოს ქ. № 52) შესდგება
**თბილისის მუშათა ანტირელიგიური უნივერსიტეტის**
**მსმენელთა საორგანიზაციო კრება**
დასწრება ყველა იმათი, ვინც განცხადება შემოიტანა, სავალდებულოა
დაუგვიანებლივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქრონიკა

### საბიბლიოთეკო ლაშქრობა

პოლიტგანათლების მთავარმა მართველობამ შუამდგომლობა აღძრა სახელგამის წინაშე, რათა საბიბლიოთეკო ლაშქრობის განმავლობაში ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და პოლიტგანათლების სხვა დაწესებულებებს სახელგამის გამოცემანი დაეთმოს 30 პროც. დაკლებით, ხოლო პერიოდული გამოცემანი —20 პროც. დაკლებით.

### საექიმო დაწესებულებების მუშაობის გაცნობა

გორის, ცხინვალის და ახალციხის საექიმო დაწესებულებების მუშაობის გასაცნობად და ადგილობრივ მედპერსონალისათვის კონსულტაციის გასაწევად, ჯანსახკომმა მიავლინა პროფ. მუხაძე, პროფ. ელენტი, პროფ. ყიფშიძე და რამდენიმე სპეციალისტი ექიმი, რომლებიც უკვე დაბრუნდნენ თბილისში. ადგილობრივ საავადმყოფოებში თბილისიდან ჩასულთა თანდასწრებით გაკეთებული იქნა რამდენიმე ოპერაცია, რის დროსაც ექიმებს ეძლეოდათ შესაფერი რჩევა და დარიგება. გარდა ამისა, რთულ ავადმყოფების შესახებ ჩატარებული იქნა საუბარი და ახსნა-განმარტებები.

### ბამბის დამზადება

16 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე ამიერკავკასიაში დამზადებული იქნა 18.968 ტონა ბამბა. აქედან საქართველოში დამზადდა—1.715 ტონა, აზერბეიჯანში—14.170 და სომხეთში—3083 ტონა. მებამბეობის რაიონები უზრუნველყოფილია პურით. სუსტად სწარმოებს მებამბეობის საწარმოო პროდუქტებით მომარაგება.

### ჯანმრთ. კომისარიატში

◆ ცხინვალის კლინიკაზე შეფობა მიიღო თბ. ცენტრ. კლინიკამ.

◆ დახმარება. აფხაზეთის საბავშო ამბულატორიის გასაფართოებლად ჯანსახკომმა გადასდო 500 მანეთი.

◆ ხულოს მაზრაში არსებული საბავშო კონსულტაციები გადაყვანილი იქნა სახელმწიფო ბიუჯეტზე.

◆ მოძრავი კონსულტაცია. ჯანსახკომთან დაარსდა დედათა და ბავშთა ცენტრალური მოძრავი კონსულტაცია.

### სახ. უნივერსიტეტში

— სტიპენდიის განაწილება—სტუდენტთა შორის სტიპენდიის გასანაწილებლათ გამოიყო სპეციალური კომისია ამხ. მ. ტოროშელიძის თავმჯდომარეობით.

— კლუბის გახსნა. ამ დღეებში გაიხსნა სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა კლუბი.

### სხვადასხვა

◆ შკლოვსკის ლექცია. დღეს, 19 ნოემბერს, განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის 3) საქართველოს მთიელთა კულტ-საზოგადოება მართავს ვ. შკლოვსკის ლექციას „ფშავი და ხევსურეთი" (ფშავ-ხევსურეთი).

◆ ახალი წიგნები. რედაქციამ მიიღო დ. თურდოსპირელის საყმაწვილო მოთხრობებისა და ლექსების წიგნი „პირველი ბილიკები" და „ოქროს სიმშმრები".

—:—

### ხელოვნების ქრონიკა

◆ კონსერვატორიასთან 15 ნოემბრიდან გაიხსნა პედაგოგიური ფაკულტეტი.

◆ ხაკლუბი ესტრადების ხელმძღვანელებისათვის მოსამზადებლად თბილისში იხსნება კურსები.

◆ „გედების ტბა". დღეს ოპერის თეატრში მიდის „გედების ტბა".

◆ სათეატრო ოლიმპიადა. მაისში მოსკოვში იმართება საკავშირო სათეატრო ოლიმპიადა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქართული თეატრები. ხელოვნების მთ. მმართველობასთან დაარსდა ოლიმპიადის ხელისშემწყობი კომისია.

◆ „მწვერვალები". მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „მწვერვალები".

—:—

### „ქართული მწერლობა"

გამოვიდა ჟურ. „ქართული მწერლობა"-ს მორიგი ნომერი შემდეგი შინაარსით: მხატვრული ლიტერატურა: ი. გრიშაშვილი—საუბარი ასოთ-ამწყობთან ჩემი წიგნის დაბეჭდვის დროს, რაჟდენ გვეტაძე—თორმეტი ვეფხი, იოჰანეს ბეჰერ—რუსის პროლეტარი (თარგ. უ. უ.-სი), მატე ზალკა—განთიადისას (თარგ. ელ. პოლუმორდვინოვის), ვალერიან გაფრინდაშვილი—ბაქო, სიმონ ჩიქოვანი—ემიგრაციის „მწერლებს", ლადო მაჭავარიანი—ოქტომბერი. კალე ბობოხიძე—ხალხური სიმღერა, სიმონ ჩიქოვანი—ერთი თვე სვანეთში, გერცელ ბაზოვი—ოქროს საათი.

წერილები: ბესარიონ ჟღენტი—მწერლობა სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე, გრიგოლ რობაქიძე—ხის ჯვრები, ლ. ა.—რევ. ლიტერატურის საერთაშორისო ბიუროს დელეგაცია თბილისში, თ. ბ—ელი—იაპონიის საბავშო ლიტერატურის გამოფენა.

ლიტერატურული დოკუმენტები: არ. ხუნდაძე—დანიელ ჭონქაძე.

ბიბლიოგრაფია: მ—ლი—გ. წერეთელი. გულქან, ლევან ასათიანი—ელ. პოლუმორდვინოვი. შაშინდარ ლიტერატურული ცხოვრება.

# სასამართლო

### ვ. ფანჯავიძის და სხვ. საქმე

საქართველოს უზენაეს სასამართლომ ამხ. ბოცვაძის თავმჯდომარეობით გუშინ დაამთავრა სვანეთის ხე-ტყის დამამზადებელ რაიონის ხელმძღვანელების პორფილე დავითის ძე ფანჯავიძის, სიმონ შუბლაძის და ნესტორ კბეჟმაძის საქმის განხილვა.

როგორც ვწერდით, აღნიშნულ პირებს ბრალად ედებოდათ დაუდევრობა, კერძო მოიჯარადრეების ინტერესების დაცვა და სატყეო ტრესტისათვის 45.000 მანეთის ზარალის მიყენება.

სასამართლო ძიებით არც ერთი ბრალდება არ დადასტურდა. გამოირკვა, რომ საქმე არ ყოფილა სათანადოთ გამოძიებული, ანგარიშების გასინჯვა მომხდარა ზერელედ, „რევიზორებს", რომლებმაც დასკვნა გამოიტანეს 45,000 მანეთის ზარალის შესახებ, არ მოუხდენიათ რაიონში არსებულ მორების დაწვრილებით აღრიცხვა. მორების დანაკლისს სინამდვილეში არ ჰქონია ადგილი. მოიჯარადრეებთან დადებული ხელშეკრულებები არ ყოფილა საზარალო ტრესტისათვის.

სასამართლომ ბრალდებათა დაუმტკიცებლობის გამო სამივე ბრალდებული გაამართლა.

—:—

### დახვრეტა ყაჩაღს

საქართველოს უზენაეს სასამართლოს სახელზე კახეთიდან მიღებულია დეპეშა, რომ უზენაეს სასამართლოს სესიამ, რომელიც ამჟამად ყვარელში იმყოფება, გაუსწორებელ ყაჩაღს ლადო მიხეილის ძე აზარიაშვილს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

### ყაჩაღი და მისი მფარველები სათანადოთ დაისაჯნენ

უზენაეს სასამართლოს კახეთის სესიამ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით გაასამართლა ს. ახმეტის მცხოვრები ლუკა გიორგის ძე ლეფსწვერიძე, სოლომონ ვანოს ძე და ბაბალე ალექსის ასული გარჯიკაშვილი.

ლუკა ლეფსწვერიძე ცნობილი იყო ს. ახმეტაში, როგორც მავნე და სოციალურად საშიში პიროვნება. 1925 წელს ის გასამართლებული იყო ხალიჩის მოპარვისათვის, რამდენიმე ხნის შემდეგ ლეფსწვერიძე გამოვიდა ციხიდან და ჩაიდინა მეორე კიდევ უფრო აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედება—გაიტაცა და გააუპატიურა თავისივე სოფლის მცხოვრები ახალგაზრდა ქალი.

რამდენიმე წლის პატიმრობის შემდეგ ლეფსწვერიძე ისევ თავისუფლად დათარეშობს ს. ახმეტაში.

უკანასკნელად, გასული წლის მაისის ბოლო რიცხვებში შეიარაღებული ლეფსწვერიძე სხვა პირებთან ერთად თავს ესხმის ცხენით მიმავალ მგზავრებს ს. ახმეტის მახლობლად. მგზავრებს ყაჩაღები ართმევენ ყველაფერს, იტაცებენ ცხენებს და იმალებიან. ლეფსწვერიძის ერთ-ერთი თანამონაწილე ილიკო ბუიშვილი მილიციელებთან შეტაკების დროს მოკლულ იქნა. ლეფსწვერიძემ ნაძარცვი საქონლით თავი შეაფარა სოლომონ გარჯიკაშვილის ოჯახს. სოლომონ გარჯიკაშვილმა და მისმა დედამ ბაბალემ ნაძარცვი საქონელი შეინახეს ბეღელში... ნაწილი საჩუქრის სახით მიიღეს ყაჩაღისაგან...

მალე შეპყრობილ იქნა ლეფსწვერიძე. გარჯიკაშვილებს უნახეს გადამალული ნაძარცვი საქონელი.

სასამართლომ ლუკა ლეფსწვერიძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით სასტიკი იზოლიაციით, 5 წლით სამოქალაქო უფლებების აყრა და სასჯელის მოხდის შემდეგ კახეთიდან გადასახლება 5 წლის ვადით.

გარჯიკაშვილებს მიესაჯა ორ-ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.

გერ.

# ნარევი

### ალის ყველაზე მაღალი ტემპერატურა

დღემდე ყველაზე მეტი სიმხურვალის მქონე ალად ითვლებოდა მჟავბად-აცეტილენის ან წყალბად-აცეტილენის ნარევის ალი. ამერიკელმა სტრონგმა, სირაკუზის უნივერსიტეტის მუშაკმა, აღმოაჩინა კიდევ უფრო მხურვალე ალი. ეს ალი წარმოიშობა ფხვნილ ალუმინის დაწვის დროს მჟავბადის ძლიერ ნაკადში. ამ ალში დნება ყველა ცნობილი მაგარი ნივთიერებანი.

### ტრანსატლანტიური ფოსტის დასაჩქარებლად

ევროპიდან ფოსტის მიღების დასაჩქარებლად ამერიკის აეროპლანები გემებს ხვდებიან 600 მილის მანძილზე ნაპირიდან. განსაკუთრებული ანკესის საშუალებით აეროპლანები აიღებენ ფოსტას გემიდან, რომელზედაც დადგმული იქნება ისეთი მოწყობილობა, რომელიც საშუალებას არ მისცემს ანკესს გასცილდეს საფოსტო ამანათების შეკვრას. ფოსტის აღების დროს აეროპლანები იქნებიან 200 ფუტის სიმაღლეზე წყლის ზედაპირიდან.

### სათევზაოები სახურავებზე

ამერიკაში გამოიგონეს ახალი გასართობი მდიდრებისათვის. თევზის ჭერის მოყვარულებს შეუძლიათ ქალაქიდან წაუსვლელად მიეცენ თავის საყვარელ სპორტს. ამ მიზნით მრავალ სართულიანი სახლების თავებზე ეწყობა ფართე აუზები, ხელოვნური ნაპირებით, რომელშიც უშვებენ თევზებს. თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი გასართობი მისაწვდომია მხოლოდ ჯიბე-სქელ ხალხისათვის.

### 12° საათი ჰაერში



სენ-ლუისში (შეერთ. შტატები) დაამყარეს ფრენის ხანგრძლივობის რეკორდი. სურათზე ნაჩვენებმა აეროპლანმა „რობინ"-მა ჰაერში (მიწაზე დაუშვებლად) დაჰყო 120 საათი. ასეთი ხანგრძლივი ფრენა შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ აეროპლანს ჰაერში აწვდიდნენ საწვავ მასალას, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები. საწვავი მასალის მიწოდების დროს ორივე აეროპლანის სიჩქარე 70 მილს უდრიდა საათში.

# რადიო-გადაცემა

### სამშაბათი, 19 ნოემბერი

თბილისის რადიო სადგურიდან დღეს გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა:

დილით: სატრანსლიაციო ქსელით—მუშათა შუადღე—უკანასკნელი ამბები, კონცერტი.

საღამოთი: პიონერის და მოსწავლის საათი „ახალგაზრდათა კომინტერნის 10 წელი"—ქართულ ენაზე. რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე, ლიტერატურულ-მუსიკალური საათი სოფლისათვის, თემა „ახალი ყოფა-ცხოვრება", „ახალგაზრდათა კომინტერნი" კომკავშირის ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის მოხსენება. გაზეთი „პროლეტარი" [illegible] ხურ ენაზე, ლექცია სანიტარო პროპაგანდის ციკლიდან „თავდაცვა-ავიაქიმის მიზანი და ამოცანები"—ქართულ ენაზე. რადიოს მეგობართა საზოგადოების საათი (ტექნიკური კონსულტაცია). ცნობები და დროის შემოწმება. სრულიად საკავშირო კონცერტის ტრანსლიაცია მოსკოვიდან. ინფორმაცია და უკანასკნელი ამბები.

# შრომის ბირჟაში

### მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს 19 ნოემბერს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

შავ-მუშათა სექციიდან: მიხეილ სვანიშვილი, ალექსი სტეპანიანი, არშაკ მანუკოვი, იოსებ საკოვი, ნიკოლოზ რაზმაძე, ელისაბედ თეიმურაზოვა, მიხეილ პეტროსიანი, ბაგრატ ქავკაია, დავით ავალიანი.

მშენებელ მუშაკთა სექციიდან: ივანე სიგნაშვილი, ოვანეს მარტიროსიანი, ათანას გლოვიანი, გიორგი მაისურაძე.

რკინისგზელთა სექციიდან: ვასილ ხუთაშვილი, სერგო ნაკაიძე, შუშანა მანჯგალაძე, დავით ინაშვილი.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტ. (ბ) ცეკას აგიტპროპგანყოფილება იუწყება, რომ დღეს 19 ნოემბერს, დილის სრულ 11 საათზე შესდგება თათბირი ლენინის თხზულებათა გავრცელების შესახებ. თათბირზე უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

ბახტაძე (ა. ლ. კ. კ. ცეკა), „სოფლის კავშირის" პასუხისმგებელი წარმომადგენელი, არუთინოვი (პროფსაბჭო), ჩხარტიშვილი (პოლიტგანათლების მთავარი მმართველობა), ზიზინეიშვილი (სახელგამი) და სას.-სამეურნეო ბანკის პასუხისმგებელი წარმომადგენელი.

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას საღრიცხვო სექტორი სთხოვს ამხ. ვაგან პეტროვს, ვასილ ცინცაძეს, პალადი დარახველიძეს, ანასტასია პოპოვას, იოსებ გაგლოევს, ივანე პრეობრაჟენსკის, სოლომონ ესაკიას, გიორგი საყვარელიძეს და ერმალოზ გორდელაძეს სამი დღის განმავლობაში შეიარონ ცეკაში ამხ. ჩარკვიანთან (ოთახი № 22).

ლენრაიკომის აგიტპროპგანყოფილება იუწყება, რომ დღეს, 19 ნოემბერს, პლეხანოვის სახ. კლუბის სალექციო დარბაზში მოწვეულია კომუჯრედების აგიტპროპკომისიების და პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა გაფართოებული თათბირი.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიუროკოლექტივი იუწყება, რომ დღეს საღამოს 5 საათზე სტუდენტთა კლუბში მოწვეულია სოციალ-ეკონომიური, პედაგოგიური, აგრონომიული და სამკურნალო ფაკულტეტებთან არსებული კომკავშირის ჯგუფური კრებები.

დასწრება სავალდებულოა კომკავშირის წევრებისა და კანდიდატებისათვის.

—:—

დღეს, 19 ნოემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უპარტიო სტუდენტებთან ერთად შესდგება ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის საზეიმო სხდომა, რომელიც მოწვეულია ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის 10 წლის თავის აღსანიშნავად.

# სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა 3 წლის განმავლობაში ჩატარდეს სოფლის მეურნეობის სრული მექანიზაცია.

ამ მიზნით შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, 1929—30 წელში საქართველოში შემოტანილი იქნება 22.615 გუთანი, 450 მსუბუქი გუთანი, 5.785 ფარცხი, 4025 კულტივატორი, 2060 ბამბა-სიმინდის სათესი მანქანა, 455 ხორბლეულის სათესი და სხვადასხვა კულტურების სათესი 75 მანქანა. გარდა ამისა სხვადასხვა ინვენტარის შესაძენად გადადებულია 987.977 მანეთი.

სულ 1929—30 წელში საქართველოში შემოზიდული იქნება 1.892.362 მანეთის იარაღ-მანქანები. გარდა ამისა, აფხაზეთში შეზიდული იქნება 9830 გუთანი, 1290 ფარცხი, 300 კულტივატორი, ბამბა-სიმინდის სათესი—300, ხორბლეულის და სხვა კულტურების სათესი—40. ამასთანავე შეტანილი იქნება 117.175 მანეთის სხვადასხვა ინვენტარი.

სულ აფხაზეთს 1929—30 წელს მიეცემა—284.470 მანეთის იარაღ-მანქანები.

# კ. მარქსის „კაპიტალი"-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციას და გამომცემლობას მოსდის დიდძალი შეკითხვები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია კ. მარქსის „კაპიტალი"-ს ბეჭდვის საქმე და როდის მიიღებენ ხელის მომწერლები ამ წიგნს.

პირველი კითხვის შესახებ გამომცემლობას შეუძლია განაცხადოს, რომ კ. მარქსის „კაპიტალი"-ს პირველი ტომის ბეჭდვა დაიწყო ოქტომბრის 25-ს.

რაც შეეხება მეორე შეკითხვას, თუ როდის დამთავრდება ბეჭდვა და როდის მიიღებენ ხელისმომწერლები „კაპიტალს", ამაზე ზუსტი პასუხის მიცემა ძნელია; ვიტყვით მხოლოდ, რომ, როგორც სახელგამის, ისე „კომუნისტი"-ს გამომცემლობის, „კაპიტალი"-ს თარგმანის რედაქტორებისა და სტამბის მიერ მიღებულია საჭირო ზომები ბეჭდვის დასაჩქარებლად იმ ვარაუდით, რომ წიგნი მზად იქნას დეკემბერში ან იანვარში.

„კომუნისტი"-ს გამომცემლობა აქვე სარგებლობს შემთხვევით, რათა მკითხველებს მისცეს განმარტება იმ ხელისშემშლელ პირობების შესახებ, რომლებმაც გამოიწვიეს „კაპიტალი"-ს გამოცემის დაგვიანება. პირველი—მდგომარეობს „კაპიტალი"-ს თარგმანის სარედაქციო მუშაობის სიძნელეში. თარგმანის რედაქტორებს მოუხდათ უდიდესი მუშაობის გაწევა იმ დაბრკოლებათა დასაძლევათ, რომელიც მდგომარეობს ასეთი რთული, უცხო, მეცნიერული ნაშრომის გადმოთარგმნაში. რედაქტორებს სავსებით გათვალისწინებული ჰქონდათ არა მარტო პასუხისმგებლობა ხელისმომწერლების წინაშე და ის უხერხული მდგომარეობა, რომელიც იქმნებოდა „კომუნისტი"-ს გამომცემლობისათვისაც წიგნის დაგვიანებით გამოცემის გამო, არამედ ის უდიდესი პასუხისმგებლობაც, რომელიც მათ დაეკისრა პროლეტარიატის უდიდესი მეცნიერის გენიალური ნაშრომის ქართულად რაც შეიძლება უნაკლოთ გამოცემის საქმეში. რედაქტორების წინაშე იდგა საკითხი: 1) ან დაეჩქარებიათ სარედაქციო მუშაობა და მით ზიანი მიეყენებიათ მარქსის მეცნიერული ნაშრომისათვის, ან და 2) სარედაქციო მუშაობა ეწარმოებიათ გულდასმით, უაღრესი დაკვირვებით, თუნდ ამას შედეგად მოჰყოლოდა გამოცემის რამოდენიმე თვით დაგვიანება. არჩეული იქნა მეორე, ჩვენის აზრით, უფრო მართებული გზა.

აი, ამის გამო დედანის ერთი ნაწილი სტამბას გადაეცა ასაწყობად მხოლოდ მიმდინარე წლის სექტემბერში.

მეორე დაბრკოლება დაკავშირებული იყო ქაღალდის კრიზისთან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კ. მარქსის ეს უდიდესი ნაშრომი იბეჭდება 15.000 ეკზემპლიარის რაოდენობით. ამ, ჩვენს სინამდვილეში არაჩვეულებრივ ტირაჟს, აუარებელი ქაღალდი ესაჭიროება—დაახლოებით 1800—2000 ფუთი. ამოდენა ქაღალდის შოვნა და ისიც კარგი ხარისხის არ იყო ადვილი საქმე. მიუხედავათ ამისა, სახელმწიფო გამომცემლობას დღეს უკვე უწყვია საწყობში „კაპიტალი"-სთვის საჭირო ქაღალდი და ამ მხრივ ჩვენ არავითარი დაბრკოლება აღარ შეგვხვდება წინ.

ხელი შეგვიშალა აგრეთვე შრიფტის ჩამოსხმამაც. ასეთი სერიოზული ნაშრომის, როგორსაც „კაპიტალი" წარმოადგენს, ძველი, ნახმარი შრიფტით ბეჭდვა, შეუძლებელია. საჭირო გახდა 200—250 ფუთი სრულიად ახალი შრიფტის ჩამოსხმა და მისი კასებში ჩალაგება.

დანარჩენ ხელისშემშლელ პირობებზე აღარ შევჩერდებით. არ შევჩერდებით, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ეს სიძნელენი ამჟამად უკვე გადალახულია და „კაპიტალი"-ს ბეჭდვა, რომელიც დაიწყო 25 ოქტომბერს, უკვე ერთგვარი წესრიგით მიმდინარეობს.

აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ წიგნის ბეჭდვის უფრო დაჩქარება შეიძლება. მაგალითად, ერთი ფორმის ნაცვლად შეიძლება ორი ფორმაც დაიბეჭდოს დღეში, მაგრამ ერთი პირობით, თუ წიგნს, ხუთი-ექვსი კორექტურის ნაცვლად, მხოლოდ ორი-სამი კორექტურა გაუკეთდება. მაგრამ ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ვიქნებით დაზღვეული შეცდომებისაგან. ამიტომ ვფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნება, თუ გადაჭარბებული აჩქარებით საქმეს არ გავაფუჭებთ და ჩვენს პირობებში წიგნის ბეჭდვის ნორმალურად მიჩნეულ ტემპს არ დავარღვევთ.

„კომუნისტი"-ს გამომცემლობა სავსებით დარწმუნებულია, რომ ჩვენი ხელისმომწერლები სათანადო ანგარიშს გაუწევენ ყველა იმ პირობებს, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი და რომლებმაც ხელი შეგვიშალეს „კაპიტალი"-ს დროზე გამოცემაში.

25 ოქტომბერი, როდესაც დაიბეჭდა მარქსის შრომის პირველი ფურცელი, ფრიად მნიშვნელოვან თარიღს წარმოადგენს საქართველოს მუშათა კლასის პოლიტიკური და კულტურული წინსვლის ისტორიაში და დარწმუნებული ვართ, ყველანი განსაკუთრებული სიხარულით შეხვდებიან ცნობას ამის შესახებ.

გამომცემლობა, თუმცა ცოტა დაგვიანებით, მაგრამ სავსებით შესძლებს ხელისმომწერთა დაკმაყოფილებას სულ ახლო მომავალში.

„კომუნისტი"-ს გამომცემლობა.

# კინო

### საქ. სახკინმრეწვში

ახალი სურათები. ამჟამად წარმოებაშია შემდეგი ახალი სურათები: „ბრმა" (რეჟ. მ. კალატოზიშვილი, სცენარი და კონსულტაცია ტრეტიაკოვის, ოპერატორები ლაპინსკი და შ. გეგელაშვილი, მთავარ როლებში ლ. ესაკია, ა. ხინთიბიძე, ს. ჯალიაშვილი და ს. ფალავანდიშვილი), „კავკასიელი ყაჩაღი" (რეჟ. მ. გელოვანი, სცენარი ბელიაშვილის, ოპერატორი პოლიკევიჩი, მთავარ როლებში ა. ზნაჩკოვსკი, ს. ჟოზეფი და დ. ყიფიანი), „900 მეტრიან ტალღაზე" (სცენარი შ. ხუსკივაძის და ლ. პუშის, რეჟ. ლ. პუში, ოპერატორი ვ. პოზნანი, მთავარ როლებში რ. მჭეიძე, ლ. ხოტივარი, შ. ხუსკივაძე, ა. ბიხოვა და სხვა), „კამერა № 79" (სცენარი შ. ალხაზიშვილის და ს. დოლიძის, რეჟ. შ. ბერიშვილი, ოპერატორი ა. დიგმელოვი, მთავარ როლებში სახ. არტ. ნინო ჩხეიძე, თ. ბოლქვაძე, ნიკ. მამულაიშვილი, დ. ძნელაძე, კოხტა ყარალაშვილი და სხვა).

კულტურულ ფილმებიდან გადაღებულია „შოვი" (რეჟ. ნინა ღოღობერიძე, ოპერატორი ს. ზაბოზლაევი), „მიწის ძახილი". (რეჟ. ს. დოლიძე), „სვანსოლი" (რეჟ. კალატოზიშვილი), „ხევსურეთი" (რეჟ. პუში) და „საქართველოს კურორტები" (რეჟ. სუპატაშვილი).

# ფეხბურთი

### „დინამო"—ტრანსპორტელები

„დინამო"-ს და ტრანსპორტელთა კავშირის პირველი გუნდების შეჯიბრებით დამთავრდა ქალაქის პირველობის გათამაშება ფეხბურთში.

გუნდებმა ამ შეჯიბრებაში გამოიყვანეს საუკეთესო შემადგენლობა, რომელიც კი მათ მოეპოვებათ, ამიტომ გასაგები იყო ის სიფრთხილე, რომლითაც თამაშობდა ორივე მხარე.

მოთამაშეები ზომავენ ერთმანეთის ძალღონეს.

ასე გრძელდება 15 წუთი, სანამ დინამოელი სომოვი მოულოდნელად ბურთს არ გაიტანს. განსაკუთრებული აქტივობა ეტყობა „დინამო"-ს, რომელიც ფაჩულიას სახით ჩქარა მეორე ბურთით უმასპინძლდება ტრანსპორტელებს.

ეს უკანასკნელები არ იმჩნევენ მარცხს. მათი ფორვარდები მძლავრ შეტევას ანვითარებენ და ერთხანს ძლიერად ავიწროვებენ დინამოელებს. ხუთი წუთის წინ ტაიმის დამთავრებამდე, ახალგაზრდა სომოვი ძლიერი დარტყმით აქვითებს ერთ ბურთს. სამი წუთის შემდეგ ასლამაზოვისაგან დარტყმული ბურთი კვლავ „დინამო"-ს ბადეშია მოქცეული.

მეორე ტაიმი ტრანსპორტელების ენერგიული შეტევით იწყება; მეათე წუთზე ასლამაზოვს გააქვს მესამე ბურთი.

შემდეგში თამაში უფრო თანაბარ ხასიათს იღებს. შუა ტაიმში ანიკინი შორიდან ურტყამს ბურთს. ტრანსპორტელების მეკარე ხოლონინი გვიან ეცემა ძირს ბურთის ასაღებად; ბურთი მოექცა ტრანსპორტელების ბადეში.

ანგარიშის გაქვითების შემდეგ, ორივე გუნდი იკრეფს უკანასკნელ ძალღონეს და მეტად სწრაფ ტემპს ანვითარებს.

ერთერთ კრიტიკულ მომენტის დროს სოლონინი იჭერს კორნერიდან მიწოდებულ ბურთს, მაგრამ უეცრად იგი ხელიდან უვარდება და ბურთი შეიჭრება ტრანსპორტელების ბადეში.

გუნდების შემდეგ ცდებს ნაყოფი აღარ გამოუღია და შეჯიბრება დამთავრდა 4:3 „დინამო"-ს სასარგებლოდ.

გამარჯვებული გუნდი თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: ბალდოევი, ფოჩხუა, ვორონოვი, ფრუიძე, ანიკინი, პარამონოვი, ქოიავა, ფაჩულია, აბაშიძე, სომოვი და გარაყანიძე.

ტრანსპორტელებიდან ამ დღეს ჩვეულებრივზე სუსტად თამაშობდნენ ორივე ბეკი და სოლონინი.

ამრიგად, ქალაქის პირველობა ფეხბურთში აიღო „დინამომ". მეორე ადგილი დაიკავეს ტრანსპორტელებმა.

# რკინისგზებზე

### შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადასვლა

მთავრობის კომისიის დადგენილებით, საბჭოთა კავშირის რკინის გზებზე ამ ხუთი წლის განმავლობაში მატარებლების და ორთქლმავლების ბრიგადები გადაყვანილი უნდა იქნენ შვიდი საათის სამუშაო დღეზე.

ამჟამად ა.-კ. რკინის გზების გამგეობამ აწარმოებს ამ საკითხის დამუშავებას.

### 288.840 კუბ. მეტრი ხე-ტყის მასალა

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ ხელშეკრულება დასდო სატყეო სინდიკატთან. ხელშეკრულების თანახმად, სინდიკატმა გზას უნდა ჩააბაროს ამ წლის განმავლობაში 288.840 კუბიკური მეტრი ხე-ტყის მასალა ერთი მილიონი მანეთის ღირებულებით.

### ხორბლის გასაწმენდი საწყობები

თბილისში და ბაქოში ეწყობა სპეციალური საწყობები, სადაც იწარმოებს მავნებლებისაგან დაავადებულ ხორბლეულის გაწმენდა-გაჯანსაღება.

### მეორე ხაზი

ბაქოს ხაზზე, ატბულახ-ალიათის შორის დამთავრდა მეორე ხაზის დაგება. ამ დღეებში ამ უბანზე გაიხსნება მოძრაობა ორივე ხაზით.

### 10.000 მანეთის გაფლანგვა

გუშინ ა.-კ. რკინის გზების გამგეობამ მიიღო ცნობა, რომ სამტრედიაში რკინის გზის მეარტელეებს გაუფლანგავთ სახაზინო თანხა.

გაფლანგული თანხის რაოდენობა ჯერ საბოლოოდ გამორკვეული არ არის. წინასწარი გამოანგარიშებით, გაფლანგულია 10.000-დე მანეთი. ირკვევა, რომ რკინის გზის ადგილობრივი ადმინისტრაცია არავითარ ზომებს არ ღებულობდა გაფლანგვის თავის დროზე აღმოსაჩენად.

გამფლანგველები დაპატიმრებული არიან.

### ნავთის დაქცევა

სადგ. ბათომში გასკდა ნავთის ერთ-ერთი აუზის მილი.

მილიდან ნავთი იქცეოდა 10 წუთის განმავლობაში.

მილი შეკეთებულ იქნა საათ-ნახევარში.

# შემთხვევები

### სამი დაჯახება

ავტომანქანა, რომელსაც მართავდა შოფერი სერგო ნიკოლაევი, კარლ მარქსის მოედანზე დაეჯახება მეეზოვე ოგანეზ პეტროსძე მანუკიანს, რომელსაც დაზიანებული აღმოაჩნდა მარჯვენა ფეხი. როგორც გამოირკვა, შოფერმა არ მისცა მანუკიანს შესაფერი სიგნალი. ს. ნიკოლაევი დაპატიმრებულია.—გუშინ წინ, ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი ლევან ტატუროვი, პლეხანოვის პროსპექტზე დაეჯახა ტრამვაის ვაგონს. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ეტლი, რომელიც მიჰყავდა შარიფ კრიმჩევს, მუხრანის ქუჩაზე დაეჯახა არონ იოსებისძე ზოხელაშვილს, რომელიც ქუჩაზე გადადიოდა. ზოხელაშვილი მძიმედ დაშავდა. მეეტლე კრიმჩევი დაპატიმრებულია.

### პატიმრის გაქცევა

სპეცდანიშნულების იზოლიატორიდან გაიპარა პატიმარი ვაგან თომასისძე გრიგორიანცი.

### გასტეხეს მუშკოოპის საყაჭრო

ბოროტმოქმედებმა გასტეხეს მუშკოოპის მაღაზია (პლეხანოვის პროსპ., 11), მაგრამ საქონლის წაღება ველარ მოასწრეს. ერთი ბოროტმოქმედი იქვე დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა ალექსი პეტროვი.

### დაჭრა

ნიკოლოზ სოლომონისძე ალაზაშვილმა ჩხუბის დროს დანით დასჭრა რაფი მარკოსისძე სარქისოვი. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

### 2.016 მან. მოპარვა

თედორე ივასჩენკოს (მცხ. პავლოვის ქ., № 11), ვიღაც ბოროტმოქმედმა სიმთვრალის დროს ჯიბიდან ამოაცალა 2.016 მანეთი და მიიმალა.

### ქურდობა

გაქურდეს „რაჭის" პურის საცხობი (პლეხანოვის პროსპ., 129); წაიღეს ფულად 240 მანეთი. გარდა ამისა, 17 ნოემბერს, ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 6 შემთხვევა.

# ოფიციალური განყოფილება

## ცირკულიარი

### სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

### საგლეხო მეურნეობაში საქირავნო შრომის კანონების შეფარდებისათვის ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ

რადგან შემჩნეულია, რომ ადგილებზე სისწორით არ არის გატარებული კანონი სასოფლო-სამეურნეო მუშების შრომის შესახებ, ამიტომ, რათა ეს მოვლენა თავიდან იქნეს აცილებული და შესრულებულ იქნეს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1929 წ. აპრილის 16-ს დადგენილება „საგლეხო მეურნეობაში საქირავნო შრომის კანონების შეფარდებისათვის ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ" (ა.-კ სფსრ კან. კრებ. 1929 წ. მე-8 №-რი, მუხ. 78), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად

**1. საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს:**

1. მიიღონ ღონისძიება, რათა მთლად და სავსებით განხორციელებულ იქნეს სოფლის მეურნეობის მუშათა შრომის კანონმდებლობა; ამასთანავე, მხედველობაში იქონიონ ის გარემოება, რომ სოფლის მეურნეობის მუშების და მუშა-ქალების (ამბოკარების) შრომის დაცვის პირობები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპისაა დაქირავებული შრომის გამომყენებელი მეურნეობა: ა) საგლეხო შრომითი (ღარიბი და საშუალო) მეურნეობაში, სადაც დაქირავებული შრომაა გამოყენებული, როგორც დამხმარე შრომა, მუშებს უნდა შეეფარდოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა.-წ. ივლისის 11-ს დამტკიცებული „დროებითი წესები საგლეხო შრომითი მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების შესახებ", (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 46 №-რი მუხ. 401 და 402) და ინსტრუქცია, რომელსაც ამ წესების განსავითარებლად გამოსცემს ა-კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო (აღნიშნული წესების გამოცემამდე მოქმედი „დროებითი წესები", ყველა მასში შეტანილი ცვლილებით—სსრკ კან. კრებ. 1925 წ. 26 №-რი, მუხ. 183; სსრკ კან. კრებ. 1926 წლ. 52 №-რი, მუხ. 387; სსრკ კან. კრებ. 1927 წლ. 60 №-რი, მუხ. 609 და სსრკ კან. კრებ. 1928 წ. 22 №-რი, მუხ. 196 და ამ წესების შესაფარდებლად გამოცემული ა-კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ივნისის ინსტრუქცია 30-ს ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს); ბ) კულაკური ტიპის საგლეხო მეურნეობას შეეფარდება შრომის კანონთა კოდექსი — ყველა იმ ცვლილებით და დამატებით, რაც აღნიშნულია სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. თებერვლის 20-ის დადგენილებაში „კულაკურ მეურნეობაში შრომის კანონთა კოდექსის შეფარდების შესახებ" (სსრკ კან. კრებ. 1929 წ. მე-14 №-რი, მუხ. 117); ამასთანავე, ის საკითხი, თუ რომელი გლეხური მეურნეობა ჩაითვლება კულაკურ მეურნეობად, უნდა გადაწყვეტილ იქნეს თანახმად სსრკ სახ. კომისართა საბჭოს 1929 წ. მაისის 21-ის დადგენილებისა, „იმ კულაკური მეურნეობების ნიშნების შესახებ, რომელთაც უნდა შეეფარდოს შრომის კანონთა კოდექსი" (სსრკ კან. კრებ. 1929 წ. 34 №-რი, მუხ. 301) და ამ დადგენილების განსავითარებლად გამოცემული კანონებისა; გ) სამეწარმეო ხასიათის მეურნეობას (სამრეწველო ბოსტნები და პლანტაციები) — სსრკ კან. კრებ. 1929 წ. მე-14 №-რი, მუხ. 117 — ისეთ კულაკურ მეურნეობას, რომლის შემოსავალიც, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეწერისათვის გამოანგარიშებული, სულზე 300 მანეთს აღემატება, ხოლო მთელ მეურნეობაზე 1.500 მანეთზე ნაკლები არ არის — (სსრკ კან. კრებ. 1929 წ. 34 №-რი, მუხ. 301), საბჭოთა მეურნეობას და სხვ., მთლიანად შეეფარდება შრომის კანონთა კოდექსი.

2. გააძლიერონ ინსტრუქტორობის გაწევა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სოფლის საბჭოებისათვის შრომის ხელშეკრულებების სავალდებულო რეგისტრაციაში გატარების სფეროში, და მიიღონ ღონისძიება, რათა სოფლის საბჭოებს საკმარისად მიეწოდოს დაწესებული ფორმის დავთრები ხელშეკრულებათა რეგისტრაციისათვის.

3. მიიღონ ღონისძიება ა.-წ. ივლისის 11-ის „დროებითი წესებისა" და იმ ინსტრუქციის გამოსაცემად და გასავრცელებლად სახელმწიფო და ეროვნულ უმცირესობათა ენებზე, რომელსაც აღნიშნული წესების განსავითარებლად გამოსცემს ა.-კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

4. მიეწოდოს სასოფლო საბჭოებს ისეთი ლიტერატურა, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მუშათა შრომის კანონმდებლობის ფართო პოპულიარიზაციას.

5. დაეკისროს პრეზიდიუმის ერთ-ერთ წევრს მუდმივ თვალყური ადევნოს შრომის კანონთა შესრულებას და მიღებულ იქნეს ღონისძიება, რათა ამგვარივე დავალება შეასრულონ სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და სასოფლო საბჭოებმა.

6. მიიღონ ღონისძიება სასოფლო საბჭოების კულტურულ-განმანათლებელი სექციების მუშაობის გამოსაცოცხლებლად შრომის საკითხების დარგში, რისთვისაც უნდა მოეწყოს მოხსენებები, ლექციები და საუბრები ამ საკითხების გამო.

**II. იუსტიციის სახალხო კომისარიატს**

1. მიიღოს ღონისძიება, რათა სახალხო სასამართლოებში დაუგვიანებლივ ირჩეოდეს სოფლის მეურნეობის მუშების საქმეები შრომის კონფლიქტების თაობაზე.

2. მიიღოს ღონისძიება იმ პირთა პასუხისგებაში მისაცემად, ვინც დაარღვევს კანონებს საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
**მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
**ს. თოდრია.**

1929 წლის ოქტომბრის 5.
თბილისი, სასახლე.

## დადგენილება

### საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1929 წლის ოქტომბრის 4

### სასოფლო და სატყეო მეურნეობის, სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავეებისა და სპეციალისტების შეკრების მიზნით განცხადების შრომის კომისარიატის ორგანოებში წარდგენის ვადების შესახებ

ამიერ-კავკასიის შრომის სახკომისარიატის მიერ 1929 წ. ივნისის 5-ს თარიღით და № 5-თ ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1929 წ. მარტის 25-ს თარიღით „შრომის ბაზრის მოწესრიგებისა, აგრეთვე სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავეებისა და სოფ. და ტყის მეურნეობის სპეციალისტების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ გამოქვეყნებულ დადგენილების გამოყენებისათვის" (ა კ. ს. ფ. ს. რ. კან. და განკ. კრ. 1929 წ. № 6) გამოცემული ინსტრუქციის თანახმად, საქ. ს. ს. რ. შრომის სახკომისარიატი წინადადებას აძლევს ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებასა და საწარმოს:

1. მიაწოდოს შრომის სახკომისარიატის ორგანოებს ცნობები მათთვის სოფლისა და ტყის მეურნეობის სპეციალისტების და სამედიცინო და სავეტერინარო მუშაკთა საჭირო რაოდენობის შესახებ და აგრეთვე აღნიშნულ კატეგორიის მომუშავეების შემცირებასთან დაკავშირებით განთავისუფლებულ ადგილების თაობაზე სპეციალობის აღნიშვნით—შემდეგ ვადებში:

ა) მომუშავეთა ჯგუფობრივი (5 კაცზე არა ნაკლები რაოდენობით) დაქირავების დროს, როგორც ახლად დაარსებული, ისე თავის მუშაობის გამფართოვებელი საწარმონი დაწესებულებანი და მეურნეობანი მუშაობის დაწყებამდე ორ თვეზე არა უგვიანეს, დანარჩენ შემთხვევაში არა უგვიანს ორი კვირისა.

ბ) მუშაკების ჯგუფობრივად (5 კაცზე არა ნაკლები რაოდენობით) მოსალოდნელ დათხოვნის დროს დათხოვნამდე ორი თვით ადრე, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ორი კვირით ადრე.

შენიშვნა 1: აღნიშნული დადგენილება ვრცელდება შემდეგი კატეგორიის მუშაკებზე:

ყველა სპეციალობის სამედიცინო და სავეტერინარო ექიმებზე, აგრონომებსა და თანაშემწეებზე, აგრონომიის დარგის ინსტრუქტორებზე, ტყის გამგეებზე და მათ თანაშემწეებზე მიწის მზომლებსა და მათ თანაშემწეებზე.

შენიშვნა 2: აღნიშნულ ცნობების წარმოდგენა არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მუშა-ძალის მოსაწოდებლად განცხადებათ და არ შეიძლება იგი გახდეს საფუძვლად შრომის ორგანოების მიერ სამუშაოზე უმუშევართა გაგზავნისათვის.

შრომის სახკომისარი **მჟარეულაშვილი.**
შრომის ბაზრის გან. გამგის მოადგილე **ჯაბადარი.**

---

დები: ფაფალა, პაჭა, ძმა დოტი, ბიცოლა ეკატერინე, ბიძაშვილები: გელა, შალვა, თატკა, თინა, ვერა, კისია, კაკო გარდაფხაძეები და სიძე მიშა ქიქოძე აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს რომ ზემო სვანეთში მესტიაში უეცრად გარდაიცვალა

**ბორის ალის ძე გარდაფხაძე**

დასაფლავება სვანეთში 19 ნოემბერს. 4294

---

სვანეთის მაზრის აღმასკომის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან თავიანთი თანამშრომლის

**ბორის ალის-ძე გარდაფხაძის**

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება სვანეთში, მესტიაში, სამშაბათს, 19 ნოემბერს. 4291

---

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მეუღლე კესარია, შვილები: ვლასი მეუღლით ლენათი და შვილით მელანიათი, პარმენი ცოლით დარეჯანით და შვილი ფარვიზით, სანდრო შვილებით—მაყვალათი და გივით, ქალიშვილები: კატო, ყიფო, ფედოსი, მაშო და ლიზა თავიანთი ქმარშვილით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე და დანარჩენების მუდამ დაუვიწყარი მამა

**მოსე ლაზარეს ძე მეგრელიშვილი**

დასაფლავება დაბა ჩოხატაურში 21 ნოემბერს, სალ. 4 საათზე. (ე)

---

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: კატო ქმრით—მათე ცინცაძე, ყიფო ქმრით—გიორგი კალანდაძე, ფედოსი ქმრით—სეფე ბერძენიშვილი, მაშო ქმრით—დიმიტრი შილოვი, ლიზა ქმრით—დათიკო ჩხიკვაძე და ბაბუას მოყვარული შვილისშვილები: თამარა, ნაზია, ვახტანგი, სიმონი, ელენე, ილიკო, მიხა, ციცინო, მანცქვალა, ცისანა, ნათელა, ასმათი, ციალა, ტატუსია, გარი და უგულითადესი მეგობარი ანტანინა სვიტიჩი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

**მოსე ლაზარეს ძე მეგრელიშვილი**

დასაფლავება დაბა ჩოხატაურში 21 ნოემბერს. (ე)

---

დამწუხრებული მეუღლე მინადორა, შვილები გიორგი, თამარი, ფატი, რუსიკო და შვილისშვილი ირაკლი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

**სოლომონ დიმიტრის-ძე დიდია**

გამოსვენება დღეს, 3 საათზე, რკინის გზის საავადმყოფოდან. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 4292

---

ღრმათ დამწუხრებულნი დედა ნატალია ლორთქიფანიძისა, მეუღლე ივანე ცაგარელი და ანა ქავთარაძისა ქმარ-შვილით, შვილები ეთერი და რეზიკო იუწყებიან, რომ ხვალ 20 ნოემბერს, 4 საათზე, ქართველ კათოლიკეთა სასაფლაოზე (სოლოლაკი) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

**ნინო ილარიონის ასული ლორთქიფანიძე-ცაგარლის**

ხსოვნის აღსანიშნავად. 4289

---

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: ქმარი ვასო, სიდედრი ნინო, სიმამრი კონსტანტინე, რძალი ფლორენცია, მულები ოლღა, კატო, ნადია, მაზლები ვლადიმერ და ნიკოლოზ, მაზლის შვილები: შუშანა, შაკო და კუსკუ ხუციშვილები, სიძე გიორგი კვახვაძე, ამასიელ ტიკარაძე და იესე გაბეჩავა იუწყებიან, რომ 17 ნოემბერს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

**ჟენია (ევგენია) ხუციშვილისა**

გამოსვენება მოხდება 20 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ქალ. თბილისში პირველ საავადმყოფოდან (ყ. არამიანცის), დასაფლავება იქვე მახლობლად, ავლაბრის სასაფლაოზე. (დ)

---

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: დედა ტერეზი, და ოლია, ძმები: შოთა, ბორის და აპოლონი, რძლები: ვერა, თინა და ელიკო, სიძე აქვსენტი, დისშვილები: ჟორჟონა და ქეთო, ძმისშვილები: კიკა, კუკური, მიშა და გუგული იუწყებიან, რომ 17 ნოემბერს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

**ჟენია (ევგენია ჯინჭარაძე-ხუციშვილისა**

გამოსვენება მოხდება 20 ნოემბერს, შუადღის 4 საათზე, ქალ. 1-ლ საავადმყოფოდან (ყ. არამიანცის). დასაფლავება ავლაბრის სასაფლაოზე ქ. თბილისში. (დ)

---

დამწუხრებული შვილები: გაბო და ცაბუ ჯგუშია, რძალი ლენა და სიძეები ვასო ლაითაძე და თეოფანე გოგოხია აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარი

**პარასკევა (პასიკო) ლუკას ასული მიქაძის**

გარდაცვალებას. დასაფლავება 20 ნოემბერს, ზუგდიდში. ბ. 3367

---

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

მორიგი მე-5 (დეკემბრის) შესატანის მიღება 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 აბონემენტებზე იწყება 20 ნოემბერს და მიიღება სალარო № 3-ში დღის 10-დან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე შემდეგი რიგით:
1 და 2 აბონემენტებით 20, 21 ნოემბერს და 1, 2 დეკემბერს,
3 „ 4 „ 22, 23 ნოემბერს და 3, 4 დეკემბერს,
5 „ 6 „ 24, 25 ნოემბერს და 5, 6 დეკემბერს,
7 „ 8 „ 26, 27 ნოემბერს და 7, 8 დეკემბერს.
ფაბქარხადგილკომებისაგან შესატანების კოლექტიურად მიღება იწარმოებს 28, 29 და 30 ნოემბერს.
რიგების თავიდან ასაშორებლად, ადმინისტრაცია სთხოვს აბონენტებს სასტიკად დაიცვან დაწესებული ვადები. ბ. 3364

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1929—30 წ. სეზონი
სამშაბათი, 19 ნოემბერი, მე-3 აბონემ. მე-2 წარმ. გედების ტბა
ოთხშაბათი, 20 ნოემბერი, მე-8 აბონემ. მე-2 წარმ. მ. პ. მაქსაკოვას (უკანასკნელად) და ნ. კ. პეჩკოვსკის მონაწილეობით ვერტერი
ხუთშაბათი, 21 ნოემბ. მე-5 აბონემ. მე-2 წარმ. ჩიო-ჩიო-სან (ქ-ნი ბატერფლეი)
ყველა საბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია ხელზე გასასყიდათ. გამოსყიდული ტალონებით ბილეთები გაიცემა რიგს გარეშე დღის 2 საათამდე. შეღავათიანი ტალონების გაყიდვა შესწყდება 25 ნოემბერს.
ბ. 3350

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1929—1930
ბ. 3361
სამშაბათს, 19 ნოემბერს,
სერია ა 1-ლი აბონემენტის მე-2 წარმოდგენა
ვ. იალცევი ღვარძლი
დრ. 4 მოქ. თარგ. ს. შანშიაშვილის.
დადგმა—ალ. ახმეტელის და კ. პატარიძის
მხატვარი—ნ. პელიონკინი
მუს. ნაწ. გამგე—ზრ. კილაძე დასაწყისი სრულ 8 საათზე
თეატრის დირექტორი, სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი — ალ. ახმეტელი.
აბონემენტების ფულის შემოსატანის მესამე ვადა თავდება 20 ნოემბერს.

ყველას საყვარელი მუსიკალური ექსცენტრიკოსები
6 ლავროვი
პროგრამის გარეშე
ყოველ სეანსზე
კინო დარბაზში
ბ. 3363

აპოლო სეზონის საუკეთესო ფილმი ნანუკ
სოლეი უცხოეთის მხატვრული ფილმი პოეტი ნიკ. კოლინის მონაწილეობით
მინიონი საუკეთესო ამერიკული ფილმი სიცოცხლის ფასად (ინჟენერ სტონგის პროექტი)
პალასი პრემიერა მოსამართლე რეიტანესკუ ზოია ვალევსკაიას მონაწილეობ
არფასტო რიჩარდ ტოლმეჯი ახალ სურათში სილამაზის საიდუმლოება
დარბაზი 6 ლავროვი ყოველ სეანსზე ეკრანზე მწვანე შესახვევი
0—7

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ.
ტელეფონი 8—04.
სამშაბათი, 19 ნოემბერი
დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად
ცირკის შემადგენლობის საუკეთესო ძალების მონაწილეობით
ხეიფეცის გასტროლების უკანასკნელი კვირა
ფენომენალური მეხსიერება. ცოცხალი საანგარიშო მანქანა.
დეიმონდების დებიუტის უკანასკნელი დღეები. ადამიანი-ბურთები
წაიკითხეთ აფიშები. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.
ბ. 3362 3—1 დირექცია.

ყველამ უნდა ნახოს
საბჭოთა კინემატოგრაფიის
შედევრი
იმპერიის ნამსხვრევი
რეჟისორი—ფრიდრიხ ერმლერი
მალე
კინო-თეატრ პალასში
ბ. 3363

მათემატიკის მასწავლებელი
ივ. მაჩაიძე
ამზადებს გერმანულში, რუსულსა და მათემატიკაში
(არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ., სიმწიფ. მოწმ. უმაღლ. სასწავ. მე-9 და მე-10 ჯგუფ. შესასვლელად და ყველა საგნებში 7-წლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტექნიკ. (ინდუსტ. ქიმ. და ფარმაც.), ვასწორებ სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს. შესავალი პლეხანოვის პრ. № 25 და ჩერნიშევის ქუჩის კუთხიდან № 5.
9—12 საათ. 4—6 საათ.
8—4 4213

### ქუთაისის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი დ. აშორდია

ამით აცხადებს, რომ 1929 წლის 21 ნოემბერს, დღით 2 საათზე ქ. ქუთაისში სარაჯიშვილის ქ. № 13 საჯარო ვაჭრობით გაყიდის ეკატერინე შუბლაძის ორსართულიან აგურის და ქვითკირის სახლს, რომელიც შეიცავს ზედა სართული 5 თვალს და ქვედა კი 5-ს, ორ სამზარეულოთი, წინ შუშაბანდი, დახურული თუნუქით, აგებული ნაკვეთ მიწაზე, ზომით 70 კვად. საჟენი; სახლი შეფასებულია 1.800 მანეთად.

აღმასრულებელი ფურცელი, გაცემული ქუთაისის მაზრის სასამართლოს მიერ 6 სექტემბერს 1929 წლ. № 4971 ნიკო ჯანუაშვილის სახელზე, უკანასკნელის მიერ კი ეს აღმასრულებელი ფურცელი გადაცემულია ყოველივე უფლებებით ნინა თევასოვას სახელზე, თანახმად ქუთაისის სანოტარო კანტორის წარწერისა 19 სექტემბერს 1929 წ. № 3848.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან; ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს, უნდა წარმოადგინოს ცნობები, თანახმად სამ. საპ. კოდ. № 311 და 312 მუხლ. და საწინდარი 10 პროც. ბ. 3 60

---

საბჭოთა აპარატის გამწმენდი თბილისის საოლქო კომისია აცხადებს ქალაქ თბილისის მოსახლეობის საყურადღებოთ, რომ ა. წ. 20 ნოემბერს მელითონეთა ცენტრალურ კლუბში, პლეხანოვის პრ. № 123, საღამოს 5-დან 10 საათამდე

**მოხდება თელასის აპარატის წმენდა**

გამწმენდი კომისია სთხოვს ყველა მოქალაქეს, ვისაც კი აქვს რაიმე განცხადება თელასის აპარატის მუშაკებზე, წარმოუდგინოს კომისიას წერილობითი სახით.

საბჭოთა აპარატის გამწმენდი თბილისის საოლქო კომისიის თავმჯდომარე **გელაშვილი.**

ბ. 3368 2—1

---

სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბი
აცნობებს თავის წევრებს, რომ მან
დღეიდან დაიწყო პერსონალურ წევრთა
ხელახალი აღრიცხვა
აღრიცხვა ხდება ყოველდღე კლუბში საღამოს 7-დან 10 საათამდე თანამშრომელ გაიკ გაბრიელოვთან. ბ. 3366 3—1

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პროსპ. № 10 — სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, [illegible]ნის და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი). ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფი მამაკაცების და ქალების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე. 13—3

### ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები (დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად.

— საპენსიო წიგნაკი და მუშკოოპის საწევრო წიგნაკი პელაგია [illegible] სახელზე. 4287
— პირადობის მოწმობა ოვანეზ გრიგოლის-ძე არაქელოვის სახელზე. 4290
— პურის წიგნაკი მარიამ მაისურაძეს სახელზე. 4293
— მეტრიკული ამონაწერი თინა ზაუტაშვილის სახელზე.
— მუშკოოპის წიგნაკი № 11143 იოსებ (იასონ) სოლომონის-ძე [illegible]ბიანის სახელზე. 4288

ტირაჟი—43.344
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904